საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი
მერია
GEORGIA
RUSTAVI CITY MUNICIPALITY
CITY HALL

N 13366-02
31/10/2018

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ **ლევან ონიანს**

ბატონო ლევან,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 88-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად წარმოგიდგენთ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაოების შესახებ ანგარიშს.

დანართი: PDF File

პატივისცემით,

ირაკლი ტაბაღუა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია

საქართველო, რუსთავი 3700, კოსტავას 20 ტელ: (+995 341) 22 00 97; ფაქსი: (+995 341) 22 47 74
E-mail: municipality@rustavi.gov.ge Web: www.rustavi.gov.ge
20 Kostava, Georgia, Rustavi, 3700, Tel: (+995 341) 22 00 97; Fax: (+995 341) 22 47 74

მოგესალმებით,

წარმოგიდგენთ, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მიმდინარე წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს მოკლე მიმოხილვას. დასაწყისშივე მინდა აღვნიშნო, რომ ამ ანგარიშში თქვენ შეიტყობთ არა მარტო იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება შევძელით, არამედ ვისაუბრებთ იმაზეც, თუ რა მიზეზით არ გადაწყდა ესა თუ ის, ერთი შეხედვით მარტივი პრობლემა.

ანგარიშს, მერიის აპარატის მიერ გაწეული სამუშაოს პრეზენტაციით დავიწყებთ. აქ მოგიყვებით იმის თაობაზე, თუ რა ცვლილებები შევიტანეთ მერიის სტრუქტურულ ერთეულებში და რა გავაკეთეთ იმისთვის, რომ თითოეული რუსთაველისთვის, ნებისმიერი მუნიციპალური სერვისი მეტად ხელმისაწვდომი და მოქნილი გაგვეხადა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, შემუშავდა და განხორციელდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაცია, რომელიც დაწესებულების უწყვეტ და მდგრად განვითარებაზეა ორიენტირებული.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების პირობებში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის დღის წესრიგში დადგა, სტრუქტურული ერთეულების მართვისა და განვითარების ერთიანი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც არსებული და სამომავლო რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, უზრუნველყოფდა არა ცალკეული სტრუქტურული ერთეულების შიდა ორგანიზაციულ მოწყობას, არამედ ერთიან პოლიტიკურ ხედვას, რომელიც საჯარო სამსახურის სხვადასხვა ერთეულებისთვის განვითარების საერთო გეზის მიმცემი იქნებოდა. მერიის სტრუქტურული ერთეულების კონცეფცია სისტემურ მიდგომაზე და ერთიან ხედვაზეა დამყარებული. არსებული მდგომარეობით, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ცალკეულ სამსახურებს შორის ფუნქციების გამიჯვნა, კომპეტენციების ან ფუნქციების გადაფარვა, რომელიც მოითხოვდა აუცილებელ რეგულირებას. აღნიშნული მოცემულობიდან გამომდინარე, შემუშავდა კონსოლიდირებული სტრატეგიები, სადაც გათვალისწინებული იქნა თითოეული სამსახურის კომპეტენციაში შემავალი ყველა სფეროს ერთიანი განვითარება. პრიორიტეტების განსაზღვრა, თანამშრომელთა ჩართულობა.

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის დაწყების შესახებ,“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 18 იანვრის N84 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა მერიის სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაცია. რეორგანიზაციის შედეგად, ახლებურად განისაზღვრა სამსახურების დასახელებები, დამტკიცდა სტრუქტურული ერთეულის დებულებები, რომლითაც უფრო დაზუსტდა და დეტალურად გაიწერა მათი ფუნქცია-მოვალეობები. გაუქმდა მერიის პრეს სამსახური და შეუერთდა აპარატს, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზების უზრუნველსაყოფად, ინფრასტრუქტურის სამსახურში, შეიქმნა ტრანსპორტის განვითარების განყოფილება, რომლის უფლებამოსილებასაც წარმოადგენს, საქალაქო ტრანსპორტის სფეროს განვითარების ღონისძიებების შემუშავება და მათი რეალიზაციის ხელშეწყობა, მომსახურების ხარისხზე ზრუნვა და ამ სფეროში დასაქმებული პირების საქმიანობის კოორდინაცია. მშენებარე შენობა-ნაგებობის საპროექტო,

ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, კანონმდებლობით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფაზე, ზედამხედველობის განხორციელება დაევალა, არქიტექტურის სამსახურში შექმნილ განყოფილებას, რამაც გაამარტივა და ეფექტური გახადა გაცემულ მშენებლობის ნებართვებზე პირობების შესრულების კონტროლი. განათლების, სპორტის, ახალგაზრდობის, კულტურის პრიორიტეტული მიმართულებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებად განესაზღვრა აღნიშნული და სფეროს კოორდინაციის ფუნქცია დავალებოდა მერიის სოციალური მომსახურების და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს, სადაც შეიქმნა განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდული განვითარების კოორდინაციის განყოფილება. რუსთაველი მოქალაქეების დასაქმების ხელშესაწყობად, მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის ეკონომიკის განყოფილებაში განისაზღვრა დასაქმების საკითხებზე პასუხისმგებელი პირის საშტატო ერთეული.

ქალაქ რუსთავის მერია, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მუდმივად განიცდის ცვლილებას, რაც უშვებს შესაძლებლობას, ჩამოყალიბებულ სტრატეგიაში შევიდეს ცვლილება, რომელიც გარკვეულ საკითხებს, შესაბამის დროსა და სივრცეში უკეთ დაარეგულირებს. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, უცვლელი დარჩება ის ძირითადი პოსტულატები, რაც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირთა საკეთილდღეოდ და მათი ინტერესების გათვალისწინებით, საჯარო სამსახურის ფუნქციების განხორციელებას გულისხმობს.

ეფექტური მართვის პირობებში, 2018 წელს განხორციელდა რიგი ცვლილებები ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში. აღნიშნული ცვლილებები განაპირობა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გათვალისწინებულმა ვალდებულებამ, მუნიციპალიტეტებს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, კანონთან შესაბამისობაში მოეყვანათ ა(ა)იპების საქმიანობა. ლიკვიდაცია განიცადა ა(ა)იპ ,,იურიდიული დახმარების ცენტრმა“ და ა(ა)იპ „ ინფორმაციის ანალიზისა და დამუშავების ცენტრმა“. ადმინისტრაციული რესურსის შემცირების მიზნით, მენეჯერული თანამდებობების ხარჯზე, რეორგანიზაციის შედეგად, ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის დასუფთავებას“ მიუერთდა ა(ა)იპ ,,უზრუნველყოფა“ და სახელწოდება განისაზღვრა - ა(ა)იპ ,,რუსთავ სერვის ცენტრი“. შერწყმის შედეგად, დაინერგა მმართველობის ეფექტური სისტემა, რაც აისახა მომსახურების ხარისხზე. განხორციელდა კულტურისა და სპორტის სფეროში მოქმედი რამდენიმე ა(ა)იპის შერწყმა/მიერთება. რეორგანიზაციის დასრულების შედეგად, შეიქმნა ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“. რეორგანიზაციამ ხელი შეუწყო აღნიშნულ სფეროებში მჭიდრო თანამშრომლობას და მიმართულებების კოორდინაციას.

ზემოაღნიშნული რეორგანიზაციების განხორციელებისას, აქცენტი გაკეთდა თვითმმართველობის უპირველეს მოვალეობაზე, რაც მოქალაქეთათვის მიწოდებული მომსახურების ხარისხის ამაღლებას გულისხმობს. მომსახურების ხარისხის ამაღლება უშუალო კავშირშია პროფესიული საჯარო სამსახურის არსებობასთან. პროფესიული საჯარო სამსახური, თავის მხრივ, პროფესიულ საჯარო მოხელეს მოითხოვს. აღნიშნულის გათვალისწინებით და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 125-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული

რანგისთვის მიკუთვნებულ მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, რანგირების ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მოხდა მერიაში დასაქმებულ პირთა პროფესიულ-საჯარო მოხელეებად ჩამოყალიბება.

2017 წლის დეკემბრის თვეში, განისაზღვრა საჯარო მოხელეთა შეფასების მეთოდი და შეფასების პირობები. შეფასების მიზანს წარმოადგენს მოხელის კარიერული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, წახალისების, პროფესიული განვითარების საჭიროებებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი შედეგების წარმოშობის წინაპირობების დადგენა, ასევე საჯარო დაწესებულების ორგანიზაციული განვითარება. შეფასების პროცესი ახალი კანონის მოთხოვნაა და მისი იმპლემენტაცია ითვალისწინებს ინოვაციურ მიდგომებს საჯარო მოხელეთა განვითარებისთვის.

პროფესიული განვითარება განსაკუთრებულ როლს თამაშობს მოხელის კარიერულ განვითარებაში. ყველაზე დაბალი იერარქიული საფეხურიდან, კარიერის მწვერვალისკენ მოხელის გადაადგილება, დამოკიდებულია მის მიერ შეთვისებულ უნარებსა და განვითარებულ შესაძლებლობებზე. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას და პროფესიული გამოცდილების გზაზე შეძენილი კომპეტენციები, მოხელეს ეხმარება მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებასა და ინდივიდუალური შედეგების გაუმჯობესებაში, რაც ხელს უწყობს, შემდგომში საჯარო სამსახურის მიერ კვალიფიციური და პროფესიული მომსახურების მიწოდებას მოქალაქეებისათვის.

საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციიდან და ზოგადად საჯარო სამსახურის განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე, ჩვენ ორიენტირებულნი ვართ, პროფესიული საჯარო მოხელის, როგორც ძირითადი წამყვანი ბირთვის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ასევე საჯარო დაწესებულების ორგანიზაციულ განვითარებაზე, რაც აამაღლებს საჯარო სამსახურში პროფესიონალიზმის ხარისხს. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, სისტემატიურად მიმდინარეობს მერიის საჯარო მოხელეთა სასწავლო, კვალიფიკაციის ასამაღლებელ სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2017 წლის ნოემბრიდან დღემდე, კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგებში მონაწილეობდა 56 საჯარო მოხელე.

საჯარო დაწესებულებაში დასაქმების მსურველ პირებს, პროფესიული გამოცდილების შეძენის, შესაბამისი პროფილის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ სახელმწიფო სტაჟირების პროგრამაში, „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილების შესაბამისად.

ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლება ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, შესაბამისად, რუსთავის მერია, საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, პროფესიული პრაქტიკის მისაღებად მიმართონ მუნიციპალიტეტის მერიას და გაიღრმავონ უნარ-ჩვევები მერიის სტრუქტურულ ერთეულებში, განათლებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად. მუნიციპალიტეტმა გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, მათი თეორიული ცოდნის რეალიზება მოახდინონ მუნიციპალიტეტის მერიის სხვადსხვა სტრუქტურულ ერთეულებში. 2018 წლის განმავლობაში, პროფესიული პრაქტიკა რუსთავის მერიაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და სხვა სასწავლებლების სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა, სულ ოცმა ახალგაზრდამ გაიარა.

პრაქტიკისთვის კი, მოთხოვნების ძირითადი ნაწილი არქიტექტურის, დიზაინის, იურიდიულ და ფინანსური სფეროთი დაინტერესებაზე მოდის. აღნიშნული ღონისძიებები მიმართულია ახალგაზრდების მომავალი დასაქმების პერსპექტივის შექმნისა და კვალიფიციური რუსთაველი კადრის მომზადებისთვის.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სერვისების განვითარებისა და მოქალაქეებისთვის მომსახურების გაწევის მიმართულებითაც. 2017 წლის დეკემბრის თვიდან, მერიის სერვისების განვითარებისა და საქმის წარმოების განყოფილება, გადავიდა ახალ ელექტრონულ MMS პროგრამაზე, რომელიც გულისხმობს საქმის წარმოების ყველა ეტაპის წინასწარ გაწერას და შაბლონირებას, დასრულებულ ოპერაციაზე რედაქტირების შეტანის გამორიცხვას. ამგვარი მიდგომა, თანამედროვე და აპრობირებულია, მისი მთავარ დადებითი მხარე არის ის, რომ პროგრამულად წინასაწარ არის გაწერილი ყველა ის მოთხოვნა, ეტაპი თუ ოპერაცია რაც მოქალაქეებისთვის საჭიროა კონკრეტული სერვისის მიღებისათვის და აბსოლიტურად ყველა განმცხადებელი თანასწორ მდგომარეობაშია, მომსახურება გამჭვირვალე და ეფექტურია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები, 2018 წლიდან, სარგებლობენ ელექტრონული საქმის წარმოების სისტემით, რაც თავის მხრივ ამარტივებს კომუნიკაციას შიდა უწყებებს შორის და იზოგება როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსი. სხვადასხვა უწყებებს შორის კავშირი გამარტივებულია, სწრაფია, რაც გადაწყვეტილების სწრაფად მიღების საშუალებას იძლევა.

მერია აქტიურად მუშაობს სერვისების გამარტივების მიმართულებითაც, მაქსიმალურად ვცდილობთ გავითვალისწინოთ მოქალაქეების მოთხოვნები. სერვისების განვითარება არ გულისხმობს ყველაფრის ელექტრონიზაციას და ყველა სერვისის ონლაინ გაცემას. რუსთავის სოციალური ფონიდან და მოქალაქეთა მომართვიანობიდან გამომდინარე, თვითმმართველობამ გადაწყვიტა გარკვეული კატეგორიის სოციალური სეგმენტისთვის გაემარტივებინა პროცედურა და კონკრეტული სერვისის მიღება, მათ უკვე მერიაში მოუსვლელად, მერიის ადმინისტრაციულ ერთეულებში შეუძლიათ. მერის წარმომადგენლები, უფლებამოსილნი არიან, მიიღონ როგორ სოციალურ, ისე სხვა საკითხებთან დაკავშირებით მოქალაქეთა განაცხადები.

მოქალაქეთა მომსახურებისა და მათი საჭიროებების შესწავლის კუთხით, მნიშვნელოვანია აღმასრულებელი ორგანოს უშუალო კავშირი საზოგადოებასთან. ამის კარგი მაგალითია, თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში, მერის გასვლითი შეხვედრები მოქალაქეებთან. მიმდინარე წლის განმავლობაში, მერის მიღების ფარგლებში, 300-ზე მეტ რუსთაველს შევხვდით და მოსახლეობის მიერ მიღებაზე დასმული საკითხების თითქმის 80% შევასრულეთ. ვერ გადაწყდა მხოლოდ ისეთი პრობლემები, რომლებიც მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებს სცილდებოდა. ასეთ სიტუაციაში, შესაბამისი სამსახური, აგრძელებს პირად კომუნიკაციას მოქალაქესთან და მაქსიმალურად ცდილობს, მის მიერ დასმული საკითხის გადაწყვეტის კანონიერი გზა ასწავლოს, ან დაუსახოს.

როგორც მოგეხსენებათ, უმნიშვნელოვანესია მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამის ნათელი მაგალითია, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მოქმედი მერის მრჩეველთა საბჭო, რომელიც აქტიურად მუშაობს ქალაქში არსებულ სხვადასხვა პრობლემური საკითხების გადაჭრაში. 2017 წლის ნოემბრიდან, განახლდა მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა და მოხდა მისი საქმიანობის

ეფექტურობის გაზრდა. ახალმა საბჭომ ჩაატარა 22 სამუშაო შეხვედრა, მოსახლეობასთან თანამშრომლობის შედეგად, მოამზადა საბიუჯეტო პრიორიტეტების დოკუმენტები და 2017 წლის ბიუჯეტის ანგარიშის მონიტორინგის დოკუმენტი. საბჭო დღესაც წარმატებით მუშაობს და შეიძლება ითქვას, ესაა ყველაზე აქტიური და პროდუქტიული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო საქართველოს მასშტაბით, რაც არაერთხელ აღინიშნა სხვადასხვა კონფერენციებზე და ფორუმებზე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში ასევე ფუნქციონირებს ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოც". მისი ფუნქციაა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა, რათა არ მოხდეს ამ ნიშნით ადამიანების დისკრიმინაცია. პირთა შრომითი, საგანმანათლებლო, სოციალური და სხვა ხასიათის მქონე უფლებების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, საბჭო მუშაობს გარკვეულ პროექტებზე და გასცემს რეკომენდაციებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით. საბჭოს მიერ განხილულ იქნა სხვადასხვა საკითხები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების რეალიზების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი საშუალებებისა და ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით, რაც საშუალებას მისცემს აღნიშნულ პირებს, მაქსიმალურად ჩაერთონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. საბჭო აქტიურად აგრძელებს მუშაობას ახალ პროექტებზეც, რომელიც გათვალისწინებული იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საბჭოს შემადგენლობაში შედიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებსაც შშმ პირთა საჭიროებებიდან გამომდინარე, აქვთ ახალი ინიციატივები. ასევე მნიშვნელოვანია მათი მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესშიც.

ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტი აღმოჩნდა ერთ-ერთი პირველი საქართველოს მასშტაბით, რომელმაც 2017 წელს დაამტკიცა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა (2018-2022) შემუშავებულია საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი"-ს შესაბამისად და ეფუძნება „საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიასა და 2016-2020 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმას. დოკუმენტი, ადგენს ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც, მუნიციპალიტეტი განახორციელებს ნარჩენების მართვას მომდევნო 5 წლის განმავლობაში და დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას. გეგმა შემუშავდა „მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მომზადების სახელმძღვანელო დოკუმენტის" საფუძველზე, რომელიც მომზადდა USAID–ის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში" (WMTR) ფარგლებში, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით. გეგმის შემუშავების პროცესში, ჩატარდა რიგი საკონსულტაციო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან. გადაიდგა ეფექტური ნაბიჯები ნარჩენების სეპარაციის მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში დაინერგა პირველი სეპარირების სისტემა, რომელიც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტსა და შპს ,,მწვანე ციკლი"-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში უზრუნველყოფს გამოყენებისთვის უვარგისი ქაღალდის ფურცლების გადაცემას

შემდგომი დამუშავების მიზნით. მერიის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსდა მაკულატურის შესაგროვებელი მწვანე ყუთები, სადაც თანამშრომლები ახორციელებენ მაკულატურის განთავსებას. სანაცვლოდ, კი კომპანია მერიას გადასცემს შესაბამისი ღირებულების შპს ,,გამომცემლობა პალიტრა L"-ის მიერ გამოცემულ წიგნებს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტი ზრუნავს ეკოლოგიასა და უნარჩენო წარმოებაზე და ამავე დროს, აძლევს რუსთავის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს შესაძლებლობას, მათი აღსაზრდელებისათვის უფასოდ მიიღონ სასურველი ლიტერატურა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად აგრძელებს მუშაობას ნორმატიული აქტების შემუშავებაზე, რათა შეიქმნას სამართლებრივი ბაზა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისთვის. მერის ინიციატივით წარდგენილ იქნა 40-მდე ნორმატიული ხასიათის აქტის პროექტი, რომელიც დაამტკიცა საკრებულომ. სამართლებრივი აქტების მიღებამ, შესაძლებლობა მოგვცა, სამსახურებს არსებული პრობლემური საკითხები გადაგვეწყვიტა მოკლე ვადებში და საკანონმდებლო ცვლილებების კვალდაკვალ მოგვეყვანა მუნიციპლიტეტის სამართლებრივი აქტები კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

რუსთავის მერიის ინოვაციების ჰაბი

2018 წელს, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს (PSDA) დახმარებით, ქალაქ რუსთავის მერიაში შეიქმნა ინოვაციების ჰაბი, რომელიც მმართველობის და განვითარების სფეროში ინოვაციური მეთოდებით მუშაობს. მსგავსი ჯგუფის შექმნა, საქართველოში უპრეცენდენტოა და მისი საქმიანობა, არაერთხელ იქცა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზეც განხილვის საგნად.

გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) და იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოსთან (PSDA) თანამშრომლობით, ქალაქ რუსთავის თვითმმართველობა ჩართულია საერთაშორისო პროგრამაში Social Impact Bound (SIB), რომლის ფარგლებშიც, მოხდება საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის ახალი მოდელის შემუშავება ქალაქში არსებული აქტუალური სოციალური საკითხების (დასაქმება, ჯან. დაცვა) მოსაგვარებლად.

ქალაქის თვითმმართველობა თანამშრომლობს UNDP-სთან და ფონდ ,,ორბელიანთან", რათა ქალაქში დამკვიდრდეს სხვადასხვა სექტორებს შორის თანამშრომლობის თვისობრივად ახალი სისტემა, რომელიც არსებული პრობლემების ერთობლივ მოგვარებაზე იქნება ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ თანამშრომლობის ეს ფორმატი აბსოლუტურად ახალია საქართველოში და მსოფლიოს მასშტაბითაც მისი მაგალითები არც თუ ისე ბევრია. სისტემა გულისხმობს ქალაქში ელექტრონული პორტალის ამუშავებას, რომლის მეშვეობითაც, რუსთავის ყველა მაცხოვრებელს და მოქმედ ბიზნესმენს საშუალება ექნება მოახდინოს გარკვეული რესურსების მობილიზება ქალაქში არსებული პრობლემების გადასაჭრელად, მოახდინონ ყველაზე აქტუალური პრობლემის იდენტიფიცირება, მის აღმოსაფხვრელად რესურსების მიმართვა და პროცესის სრული მონიტორინგი.

2017 წელს, ქალაქი რუსთავი, შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას - ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG). ინიციატივის ფარგლებში, მერიის თანამშრომლების მიერ, მომზადდა ქალაქ რუსთავის მოკლევადიანი (2019-2020 წწ.) ეკონომიკური განვითარების გეგმა. გეგმა მოიცავს ქალაქი რუსთავის თვითმმართველობის მიერ განსახორციელებელი ღონიძიებების ჩამონათვალს, რაც შემდეგ მიზნებს ემსახურება: ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების მოზიდვა, რუსთავის ტურისტული მიმზიდველობის გაზრდა, დასაქმების ბაზრის განვითარება. გეგმა გადაგზავნილია ინიციატივის სამდივნოში და მსოფლიო ბანკში შემდგომი განხილვისთვის. მიმდინარეობს თანამშრომლობა გაეროს განვითარების პროგრამასთან, გეგმაში გაწერილი საქმიანობების იმპლემენტაციის პროცესში მათი ჩართულობისთვის.

აღნიშნულ პროგრამაში ჩართვით, ქალაქ რუსთავი შეუერთდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობების დიდ გაერთიანებას, რითაც მას ეძლევა შანსი, გაამყაროს თავისი საერთაშორისო კავშირები, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად იმუშაოს ადგილობრივი ეკონომიკის მწყობრი, თანმიმდევრული განვითარებისთვის და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისათვის. პროგრამის ფარგლებში, 2018 წლის ნოემბერში, ქალაქ კიევში იმართება საერთაშორისო კონფერენცია, სადაც საქართველოდან სიტყვით გამოვა 3 მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი. რუსთავი ერთ-ერთი მათგანია. გამოსვლის თემა იქნება, ბიზნესსექტორისა და ხელისუფლების თანამშრომლობა საქართველოში.

ინოვაციების ჰაბი მუშაობს, მმართველობის პროცესში სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობის ინოვაციური ფორმების შესამუშავებლადაც. მსგავსი ჯგუფის შექმნა საქართველოში უპრეცედენტოა და მისი საქმიანობა მრავალჯერ იქცა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე განხილვის საგნად. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს მოლაპარაკება ორგანიზაციასთან ,,სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG)“ რუსთავში არსებული გამოცდილების თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში რეპლიკაციისთვის

ინოვაციურ საკითხებზე მუშაობა მსოფლიოს ახალი ტრენდია და იგი მჭიდროდაა დაკავშირებული გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს (SDG). ჰაბის შექნით, რუსთავის ადგილობრივმა თვითმმართველობამ ხაზი გაუსვა თავის მზადყოფნას, მხარი აუბას მსოფლიოში მიმდინარე სიახლეებს, იყოს ქვეყანასა და რეგიონში ამ სიახლეების ავანგარდში, ახლებური მეთოდები და ხედვები გამოიყენოს მმართველობის, განვითარებისა და ქალაქის მდგრადობის საკითხებში.

უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის მუდმივი ზრდა ცხადყოფს, რომ ქალაქ რუსთავის თვითმმართველობას, გამომდინარე თავისი საქმიანობის პროცესში გამოვლენილი გამჭვირვალობის, ღიაობის და დიალოგის მუდმივი მზადყოფნით, გააჩნია ნდობის ძალიან დიდი მანდატი საერთაშორისო დონეზე, რაც განაპირობებს მათ მიერ ქალაქში დაგეგმილი სხვადასხვა საქმიანობების მხარდაჭერას და რუსთავის მონაწილეობას დიდ საერთაშორისო აქტივობებში.

UNDP - სთან თანაშრომლობით, მზადდება საპილოტე პროექტი, ქალაქ რუსთავის ერთ-ერთი სკოლის, მზის პანელების აღჭურვისთვის. აღნიშნული პროექტის განხორციელებით ქალაქი რუსთავი საერთაშორისო დონეზე გააკეთებს განაცხადს, რომ ის მზადაა ალტერნატიული ენერგიის წყაროების ასათვისებლად. აღნიშნული პროექტი, მთლიანად შეესაბამება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს და რუსთავის მიერ, ,,მერების შეთანხმების" ფარგლებში აღებულ ვალდებულებებსაც.

ინოვაციების ჰაბი ქალაქის რევიტალიზაციის პროექტზეც მუშაობს. აქვე მინდა განვმარტო თუ რას მოიცავს თვითონ მცნება ქალაქის რევიტალიზაცია. განვითარების ამ გზით წავიდა აღმოსავლეთ ევროპის არაერთი ქალაქი და მათ შედეგი უკვე სახეზე აქვთ. მთავარი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ქალაქის განვითარება არსებული რესურსის სახეცვლილების, მისთვის ახალი დანიშნულების მინიჭების გზით მოხდეს. მაგალითად, ყველამ ვიცით, რომ რუსთავი ერთ დროს ინდუსტრიულ ცენტრად ითვლებოდა. დღეს ქალაქს ეს ნიშა აღარ აქვს, რადგან იმ სამრეწველო გიგანტების ნაწილი, რომლებზეც იდგა ეს ქალაქი, დღეს უფუნქციოდაა დარჩენილი. თითოეული ეს შენობა, საბჭოთა პერიოდშია აშენებული და ამ ქალაქის და ქვეყნის ისტორიის ნაწილია. ამ ნაგებობების დიდი ნაწილი, უკვე დაშლილი და გაყიდულია, ნაწილი, რა თქმა უნდა, უკვე ათვისებულია ახალი საწარმოების მიერ, მაგრამ რაც დაგვრჩა, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. იგივე შეიძლება ითქვას რკინიგზის ძველ შენობაზეც, რომლის განახლების თაობაზეც, უკვე მიმართული გვაქვს ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის. თითოეულ ამ ნაგებობას, რომლებსაც დღეს არავითარი ფუნქცია არ გააჩნია, ახალი დატვირთვა შეიძლება მიეცეს, რასაც ინდუსტრიიდან, რადიკალურად განსხვავებულ სფეროში გადავყავართ. რუსთავს აქვს ამის რეალური პოტენციალი.

ფაქტობრივად მიღწეულია შეთანხმება UNDP - თან, რომლის მიხედვითაც, მოხდება ქალაქში არსებული ერთ-ერთი კულტურული ობიექტის რევიტალიზაცია და მასში საზოგადოებრივი სივრცე მოეწყობა. აღნიშული პროექტი, თბილისში არსებულ ცნობილ ,,ფაბრიკასთან" შეიძლება ასოცირდეს, რომელიც თავის თავში სამუშაო და გასართობ სივრცეებს აერთიანებს. პროექტის განხორციელების შედეგად, ქალაქ რუსთავში, შეიქმნება ახლაგაზრდების თავშეყრის ადგილი, სადაც მათ, ახალ იდეებზე მუშაობის საშუალებაც ექნებათ და გართობისაც. რაც მთავარია, ასეთი სივრცის არსებობა, მეტად მიმზიდველს გახდის ქალაქს ახალგაზრდებისათვის და შეამცირებს რუსთავიდან მათი მიგრაციის პროცესს.

2018 წლის 19-21 ივლისს საქართველოში ჩატარდა ღია მმრთველობის პარტნიორობის (OGP) მსოფლიო სამიტი, რომელსაც ესწრებოდა მსოფლიოს ასამდე სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომდგენელი. 2017 წლიდან, რუსთავი აქტიურად თანამშრომლობს OGP – ის საქართველოს სამდივნოსთან. ქალაქს გააჩნია ღია მმრთველობის განვითარების სტრატეგია. გამომდინარე აქედან, სამიტის პარალელურად, საქართველოს ადგილობრივი თვითმმრთველობების ეროვნული ასოციაციის (ათეა) ინიციატივით, 2018 წლის 19 ივლისს, რუსთავში ჩატარდა ღია მმართველობის საერთაშორისო კონფერენცია, სადაც რუსთავის თვითმმართველობა წარსდგა პრეზენტაციით ღია მმართველობის სფეროში ქალაქში განხორციელებული პროექტების შესახებ. 20 ივლისს, კი ქალაქი რუსთავი მონაწილეობდა მსოფლიო სამიტის ერთ-ერთ პანელში, სადაც ასევე გაკეთდა პრეზენტაცია OGP-სთან

რუსთავის თვითმმართველობის თანამშრომლობაზე. რუსთავი ჩართულია ღია მმართველობის ეროვნულ გეგმაშიც, რომლის მიხედვითაც, UNDP დაეხმარება რუსთავს ელექტრონული მმართველობის საკითხების გაუმჯობესებასა და ანგარიშვალდებულების ინსტრუმენტების განვითარებაში.

ჩვენი დიდი სურვილია და ზოგადად ქალაქის რევიტალიზაციის პროექტიც სწორედ ამას ითვალისწინებს, რომ რუსთავის განვითარების საქმეში რუსთაველები და განსაკუთრებით კი ახალგაზრდები იყვნენ აქტიურად ჩართულები.

2018 წლიდან, რუსთავის თვითმმართველობის ბიუჯეტში გამოიყო 100 000 ლარი ახალგაზრდული ინიციატივების თანადაფინანსებისთვის. ნებისმიერ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას ან ინიციატორთა ჯგუფს, საერთაშორისო დაფინანსების მიღების შემთხვევაში, რაც ითვალისწინებს ახალგაზრდობის განვითარების ხელშემწყობი საქმიანობის განხორციელებას ქალაქ რუსთავში, შეუძლია მიმართოს ქალაქის მერიას და მიიღოს თანადაფინანსება, პროექტის ღირებულების 50 %-ის ოდენობით. აღნიშული პროგრამა, ხელს შეუწყობს ქალაქში ახალგაზრდული აქტივობის ზრდას. თანადაფინანსების პროგრამები კარგი ინსტრუმენტია ადგილობრივი სამოქალაქო აქტიური ჯგუფების მხარდაჭერისათვის, მათი მოტივაციისა და აქტიურიბის გაზრდისათვის.

ეს იყო მოკლედ, რაც ჩვენს მიერ დაარსებული ინოვაციების ჰაბის საქმიანობის შესახებ შეიძლებოდა გვეთქვა.

ანგარიშის მომდევნო ნაწილში, ვისაუბრებთ პროექტებზე, რომლის განხორციელებაზეც, რუსთავის ბიუჯეტიდან ყველაზე დიდი თანხა იხარჯება და რაზე ზრუნვაც, ქალაქის განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა. საუბარია ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და რეაბილიტაციაზე.

2018 წლისთვის დაგეგმილი პროექტები ინფრასტრუქტურის მიმართულებით.

2018 წლისთვის, ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით დაგეგმილი პროექტების ნაწილი უკვე დასრულებულია, ნაწილი კი, წლის ბოლომდე შესრულდება. გვაქვს ისეთი პროექტებიც, რომელთა დასრულებაც, ტენდერში გამარჯვებული კომპანიების დაუდევრობის, ფინანსური ან ტექნიკური პრობლემების გამო, ხელშეკრულებებით დადგენილ ვადებში არ ხერხდება.

მიმდინარე წელს, ინფრასტრუქტურულ პროექტებში ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან 12 644 460,36 ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული სამუშაოები ხორციელდება.

2018 წლის 9 თვის განმავლობაში, სამსახურმა, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის განკუთვნილი, 30 საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შეისყიდა, რომლებსაც უკვე ჩაუტარდა საზედამხედველო კომპანიის მიერ ექსპერტიზა. ობიექტების საერთო სამშენებლო ღირებულება შეადგენს - 7 413 961,36 ლარს.

წარმოდგენილი პროექტების ნაწილზე, კერძოდ 10 პროექტზე, უკვე გამოცხადებულია ტენდერი და მიმდინარეობს სამუშოები. ასევე საპროექტოების მიერ წარმოსადგენია 41

სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოსთვის განკუთვნილი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

რეგიონული განვითარების ფონდიდან, რუსთავის მუნიციპალიტეტისათვის, 10 პროექტის განსახორციელებლად გამოიყო 8 154 451 ლარი (თანამონაწილეობით **9 235 753,28** ლარი), რომლის ფარგლებშიც, ხორციელდება 52 ოჯახზე გათვლილი სოციალური საცხოვრისის მშენებლობა და გზების რეაბილიტაცია 6 პროექტის ფარგლებში. (საერთო ჯამში მოეწყობა 148 465 კვადრატული მეტრი ა/ბეტონის საფარი.). ასევე დაგეგმილია, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ტიპიური შენობის მშენებლობა. (414744 ლარი) ტენდერში გამარჯვებულ, სამუშაოების შემსრულებელ კომპანია შპს ,,გრანიტთან," უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება და მშენებლობა, 2019 წლის აპრილში უნდა დასრულდეს. იგეგმება 2 საბავშვო ბაღის: N8 (150 912 ლარის ღირებულების პროექტი) და N25 ბაღის (311 483 ლარის ღირებულების პროექტი) გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების ჩატარებაც. აქედან, 25-ე ბაღის გამაგრების სამუშაოებს, აწარმოებს კომპანია ,,აბსთა", ხოლო მე-8 ბაღის გამაგრებაზე, გამოცხადებული გვაქვს ტენდერი და მიმდინარეობს პრეტენდენტის შერჩევა-შეფასების პროცესი.

ადგილობრივი ბიუჯეტით, საერთო ჯამში ხორციელდება 34 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულებაც, 3 408 707,08 ლარს შეადგენს, აქედან, 31 პროექტზე გაფორმებულია ხელშეკრულება და მათ მნიშვნელოვან ნაწილზე, დასრულებულია სამუშაოები. მიმდინარე და დასრულებული პროექტების საერთო ღირებულება შეადგენს 3 020 270,91 ლარს, ხოლო დარჩენილი 3 ხელშეკრულება, გაფორმდება უახლოეს მომავალში, რომელთა სატენდერო ღირებულებაც შეადგენს 388 436,18 ლარს.

2018 წლის განმავლობაში, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დასრულებული გზების სარემონტო სამუშაოების მოცულობამ, შეადგინა 15 646 კვადრატული მეტრი. სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება 670258,73 ლარია. ფაქტიურად გადარიცხულია 602 514,13 ლარი. მიმდინარე წლის განმავლობაში, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით, ხორციელდება 8 258 351,96 ლარის გზის საფარის მოწყობის სამუშაოები.

გადახურვის სამუშაოები ჩატარდა 43 მისამართზე. პროექტების სახელშეკრულებო ღირებულება 183 915,89 ლარია, ხოლო შესრულებული სამუშაოს ფაქტიურმა ღირებულებამ კი, 162 711,19 ლარი შეადგინა. მიმდინარე წლის დასასრულამდე, სახურავის რეაბილიტაცია განხორციელდება 18 მისამართზე, სამუშაოების სავარაუდო ღირებულება, კი 393 800,38 ლარია.

2018 წელსვე, მოეწყო სამი სპორტული მოედანი და ერთი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კუთხე, გარემონტდა N25-ე სკოლის სპორტული დარბაზი და განხორციელდა შარტავას მოედანზე ბიუსტის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის და შიდა ეზოში (ლერმონტოვის #4, 8, გურამიშვილის #5,9) სკვერის მოწყობისთვის საჭირო სამუშაოები. სპორტული ინფრასტრუქტურის და სკვერების რეაბილიტაცია-მოწყობისთვის, დღეის მდგომარეობით, უკვე გადარიცხულია 175 752,97 ლარი და წლის ბოლომდე, დაგეგმილია 483 803, 8 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულება.

უფრო თვალსაჩინო რომ იყოს, 2018 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პროექტებს, ცხრილის სახითაც წარმოგიდგენთ:

მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები			
N	**პროექტის დასახელება (საპროექტო, სამშენებლო, სარემონტოდაა.შ. სამუშაოები)**	**სახელშეკრულებო ღირებულება**	**შემსრულებელი კომპანია**
1	ძლიერი ქარის(სტიქიის) შედეგად დაზიანებული 42 შენობის სახურავის გადახურვის სარეაბილიტაციო სამუშაოები	165,272.92	შპს ,,ლიბო“
2	გზის ორმული დამუშავება	296,997.19	გზატკეცილი+
3	N40 და N41 საბავშვო ბაღების სარინერის და ტერიტორიის გზის საფარის მოწყობა	172,332.43	გზატკეცილი+
4	N32 საბავშვო ბაღის შემოღობვის მოწყობა და მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	117,775.72	გზატკეცილი+
5	ქალაქ რუსთავში, მე-8 მკრ-ში, N15 საჯარო სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის, ქალაქ რუსთავში XXI მკრ-ში N10 ეზოს და N22 სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის, ქალაქ რუსთავში მე-12 მიკრორაიონში, კაპანაძის ქუჩის ტროტუარების მოწყობის, ქალაქ რუსთავში გზირიშვილის და მაჩაბლის ქუჩების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოების შესყიდვა	222,375.49	გზატკეცილი+
6	ქალაქ რუსთავში ოდიშარიას ქუჩის დარჩენილი ნაწილის გზის და ტროტუარების (ფიროსმანის ქუჩიდან მშენებელთა ქუჩამდე) რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოების შესყიდვა	157,775.09	შპს ,,იბერი“
7	ქალაქ რუსთავში, 4 (ოთხი) სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოების შესყიდვა	163,467.65	შპს ,,თიდა“
8	ქალაქ რუსთავში, #25 სკოლაში არსებული სპორტული დარბაზის რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოების შესყიდვა	81,766.14	შპს ,,ტენდექსი“
9	ქალაქ რუსთავში, რჩეულიშვილის N10 და N10ა-სშორის სანიაღვრე სისტემის მოწყობისთვის საჭირო სამუშაოების შესყიდვა	58,074.05	გზატკეცილი+

10	ქალაქ რუსთავში, წმინდა ნინოს ქუჩიდან პარკში ჩასასვლელი ზიგზაგური პანდუსის მოწყობისთვის საჭირო სამუშაოების შესყიდვა	27,700.45	შპს შა-გი 2010
11	ქალაქ რუსთავში, თოდრიას N13 საცხოვრებელი სახლის პარაპეტის რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოების შესყიდვა	18,642.97	ზურაბ ჯავახიშვილი
12	ქალაქ რუსთავში, შარტავას მოედანზე ბიუსტის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის და შიდა ეზოში, (ლერმონტოვის #4, 8, გურამიშვილის #5,9) სკვერის მოწყობისთვის საჭირო სამუშაოების შესყიდვა	126,646.00	ალგეთი
13	ქალაქ რუსთავში, სამხარეო პროკურატურის წინამდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა	7,310.52	გზატკეცილი+
14	ქალაქ რუსთავში, რჩეულიშვილის ქ. N18-მუნიციპალიტეტის შენობის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	156,254.00	შპს გლობალსერვი სი +
15	ქალაქ რუსთავში, სხვადასხვა ქუჩაზე, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების (ე.წ. „მწოლიარე პოლიციელები“) მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	25,622.58	გზაჯვარედინი
16	ქალაქ რუსთავში, N20 საბავშვო ბაღში ორი სააღმზრდელო ჯგუფის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა	85 446.14	შპს თიდა
17	ქალაქ რუსთავში N37 საბავშვო ბაღის შემოღობვის სამუშაოების შესყიდვა	16,650.96	შპს შა-გი 2010
18	ქალაქ რუსთავში 4 (ოთხი) სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	109 053,38	შპს Our Group ჩვენი ჯგუფი
19	ქალაქ რუსთავში N20 საბავშვო ბაღის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა	32,524.33	შპს ლიბო
20	ქალაქ რუსთავში, მეგობრობის გამზირის N45-ის მიმდებარედ, ბავშვთა გასართობი მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	37,493.63	შპს თიდა
21	ქალაქ რუსთავში თბილისის ქუჩის და საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-წითელი ხიდი (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზასთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო (ფალიაშვილის ქუჩის დარჩენილი ნაწილი) სამუშაოების შესყიდვა	210,908.34	შპს ტექნო მშენ ჯგუფი

22	ქალაქ რუსთავში მერიის შენობის შესასვლელი კარების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა	24,755.22	შპს შა-გი 2010
23	ქალაქ რუსთავში N36 საბავშვო ბაღში ფანჯრების შეცვლისთვის საჭირო სამუშაოების შესყიდვა	34,773.16	შპს კარკოვზი
24	ქალაქ რუსთავში, შენობების სახურავების გადახურვის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა	337,479.88	შპს ლიბო
25	ქალაქ რუსთავში ავარიული საცხოვრებელი სახლების, აივნების და ლოჯების გამაგრება-გაძლიერებისთვის საჭირო სამუშაოების შესყიდვა	262,824.00	
26	ქალაქ რუსთავში ა(ა)იპ „რუსთავის მოხუცებულთა სახლი“-ს პანსიონატის შენობის სახურავის და მე-7ა მკრ-ში მდებარე, კრივის დარბაზის შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა	19,746.05	შპს თიდა
27	ქალაქ რუსთავში, N1 საბავშვო ბაღის იატაკისა და ჭერის ასევე, N33 საბავშვო ბაღის ჭერის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა	11,960.98	შპს თიდა
28	ქალაქ რუსთავში, გარეჯის ქუჩის #21 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა	99,999.00	ხომერიკი და კომპანია
29	ქალაქ რუსთავში, სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოები	187,257.17	შპს პე-ბე
30	ქალაქ რუსთავში, მე-11 მკრ-ში, იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლის მ/ტ გზის საფარის რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოების შესყიდვა	77,681.76	

31	ქალაქ რუსთავში მოედნების რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოების შესყიდვა	49,465.09	შპს შა-გი 2010
32	ქალაქ რუსთავში, მე-12 მკრ-ის #7-8-9 საცხოვრებელ კორპუსებს შორის, სკვერის მოწყობისთვის საჭირო სამუშაოების შესყიდვა	47,930.42	
33	ქალაქ რუსთავში, მეგობრობის გამზირზე შუაგამყოფი ზოლის რეაბილიტაციისა და მეგობრობის გამზირის #12-დან #20-მდე კორპუსებთან ტროტუარზე, ბოძკინტების მოწყობისთვის საჭირო სამუშაოების შესყიდვა	33,628.02	გზატკეცილი+
34	ქალაქ რუსთავში, N20 საბავშვო ბაღის სამზარეულოს სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა	16,562.50	შპს თიდა
	ჯამი	**3 408 707,08**	

N	**2018 წელს ტრანსფერით დაფინანსებული პროექტები**	**სამუშაოს ტიპი**	**სახელშეკრულებო ღირ ებულება**
1	მშვიდობის ქუჩისა/ბეტონის რეაბილიტაცია	გზა	1,221,776
2	ქალაქ რუსთავში მარჯვენა სანაპიროს გზების და ეზოების საფარის რეაბილიტაცია და სანიაღვრე სისტემების მოწყობა	გზა	1,087,776
3	ქალაქ რუსთავში მარცხენა სანაპიროს გზების და ეზოების საფარის რეაბილიტაცია და სანიაღვრე სისტემების მოწყობა	გზა	2,560,355

4	ქ. რუსთავში ბალანჩივაძის ქუჩის მ/ტ (ბალანჩივაძის N2,3,4,5,6,7,10,12,14, ბალანჩივაძის გასავლელი N4,6,8,10, N9 სკოლის წინ) საცხოვრებელი კორპუსების ეზოების ა/ ბეტონის საფარის რეაბილიტაცია და სანიაღვრე ქსელის მოწყობა.	გზა	844,105.0
5	ქ. რუსთავში ნ.ნიკოლაძის ქუჩის მ/ტ (ნ.ნიკოლაძის N3,5,7,9,6ა, რუსთაველის 39) საცხოვრებელი კორპუსების ეზოების ასფალტ-ბეტონის საფარის რეაბილიტაცია და სანიაღვრე ქსელის მოწყობა	გზა	468,599.2
6	გორის ქუჩა-ჩიხების, ვაჟა-ფშაველას ქუჩა-ჩიხების, ყაზბეგის ქუჩა-ჩიხების, ვახუშტის ქუჩის და იაღლუჯის ქუჩის რეაბილიტაცია	გზა	1,407,000
7	ქალაქ რუსთავში მე-11 მიკრორაიონში სოციალური საცხოვრისის მოწყობა	შენობა	824,439
8	სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ტიპიური შენობა N1	შენობა-ნაგებობა	411,411
9	N8 ბაღის გამაგრება/გაძლიერების სამუშაოები	საბავშო-ბაღები	150912
10	N25 ბაღის გამაგრება/გაძლიერების სამუშაოები	საბავშო-ბაღები	259380
			9 235 753,28

2017 წელს დაწყებული მრავალწლიანი პროექტები

2017 წელს დაიწყო და 2018 წელს გაგრძელდა, (მრავალწლიანი გახდა) 9 პროექტი. აქედან, 4 შემსრულებელს შეუწყდა ხელშეკრულება მიმდინარე წელს, ხოლო 5 ხელშეკრულება დასრულდა. ერთ-ერთ შეწყვეტილ ხელშეკრულებაზე, (სპოტრული მოედნების მოწყობა) მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში, გამოცხადდა ტენდერი დარჩენილ სამუშაოებზე და მიმდინარეობს პრეტენდენტის შერჩევის პროცედურები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2018 წელს, ინფრასტრუქტურისთვის გათვალისწინებული თანხა, ადგილობრივი ბიუჯეტის და ტრანსფერის სახსრებით, ჯამში 13 მილიონ ლარს აღწევს. თითოეულ ამ პროექტზე, სატენდერო პროცედურების დასრულების შემდეგ, ხელშეკრულების გაფორმება ხდებოდა მასმედიის თანდასწრებით. ამით გვინდოდა, კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გაგვეხადა მოსახლეობისთვის ინფორმაცია, თუ რა გამოცდილების

მქონე კომპანიები იმუშავებდნენ, მათი ეზოების და ზოგადად ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე.

მინდა ბოდიში მოვუხადო რუსთაველებს, იმ დისკომფორტისთვის, რომელიც მშენებლობების პროცესში შეექმნათ. ყოველდღიურ რეჟიმში ვახორციელებთ მონიტორინგს მიმდინარე პროექტებზე, მაქსიმალურად უზრუნველვყოფთ ჩართულობას, საზედამხედველო კომპანიასთან ერთად. გამოვლენილია პრობლემური ობიექტები, სადაც კანონით გათვალისწინებულ ყველა ბერკეტს ვიყენებთ, საჯარიმო სანქციების ჩათვლით, იმისათვის რომ პროცესი დაჩქარდეს.

როგორც უკვე მოგახსენეთ, მიმიდნარე წელს, რუსთავის მერიაში ჩატარებული რეორგანიზაციის შემდეგ, ინფრასტრუქტურის სამსახურს, ახალი განყოფილება დაემატა, რომელიც ტრანსპორტის მონიტორინგზეა პასუხისმგებელი.

ტრანსპორტის განყოფილება

სერვისის გაუმჯობესებისა და ტრანსპორტით უკეთ მომსახურების მიზნით, ყოველდღიურად მიმდინარეობს M2 კატეგორიის ავტობუსების მონიტორინგი. რის შედეგადაც, შიდასაქალაქო მარშრუტებზე, 58 სატრანსპორტო საშუალება შეიცვალა, შესაბამისად, საგრძნობლად გაუმჯობესდა მანქანების საერთო მდგომარეობა.

ბოლო პერიოდში, მოსახლეობა დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამს, რუსთავი-თბილისის ხაზზე, მგზავრთა გადაყვანის კონკურსში გამარჯვებული კომპანია ,,ინტერტრანსის“ მუშაობის გამო. ამ თემაზე, მოქალაქეთა ჯგუფს, პეტიციაც ჰქონდა შემოტანილი რუსთავის მერიაში. შესაბამისად, ტრანსპორტის მართვის და კონტროლის განყოფილებამ, ჩაატარა კომპლექსური შემოწმება შპს ,,ინტერტრანსში“.

ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ შპს ,,ინტერტრანსის“ მიერ არ სრულდება თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს N218 დადგენილებით გათვალისწინებული ზოგიერთი ვალდებულება, კერძოდ:

შპს ,,ინტერტრანსი,“ არ იცავს მგზავრთა გადაყვანის და ბარგის გადაზიდვის წესებს.

შპს ,,ინტერტრანსი“ მარშრუტებზე არ იცავს კონკრეტული მარშრუტის დაწყება-დამთავრების დროს და მარშრუტებს შორის ინტერვალებს.

ნებართვის მფლობელი კომპანია ვალდებულია 2014 წლის 7 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, საერთო ჯამში ყველა მარშრუტზე, ყოველდღიურად ამუშაოს 195 სატრანსპორტო საშუალება. რეალურად კი, მუშაობს საგრძნობლად ნაკლები, (ავტობუსების ოდენობა მუდმივად იცვლება, შემოწმების მომენტისთვის იყო 187 ერთეული) რაც იწვევს ინტერვალის ცვლილებას.

ჩვენ შევხვდით კომპანია ,,ინტერტრანსის“ დამფუძნებლებს. შეხვედრაზე გადაწყდა, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ინტრატრანსს“ შორის მემორანდუმის გაფორმება. მემორანდუმის ფარგლებში, ,,ინტერტრანსმა“ აუცილებელი ღონისძიებები უნდა განახორციელოს, უფრო კონკრეტულად კი, მემორანდუმის მიხედვით, შპს ,,ინტერტრანსს“ შემდეგი ვალდებულებები ექნება:

ა) კომპანიამ რუსთავი-თბილისის მარშრუტებზე, მგზავრთა გადაყვანა M2 კატეგორიის 250 ერთეული სატრანსპორტო საშუალებით უნდა განახორციელოს. აქედან, 195 სამარშრუტო ტაქსი, ყოველდღიურად უნდა მუშაობდეს ხაზზე, 55 ავტომანქანა, კი რეზერვში ირიცხებოდეს.

ბ)კომპანიამ არ უნდა დაუშვას, ავტოსატრანსპორტო საშუალებით, მანქანის რეალურ მგზავრტევადობაზე მეტი მგზავრის გადაყვანა, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, აქ საუბარია სამარშრუტო საშუალებებში, დამატებითი სავარძლების პრობლემაზე, რომელსაც სამართლიანად აპროტესტებენ რუსთაველები.

გ),,ინტერტრანსმა“, ასევე უნდა უზრუნველყოს, ხაზზე გაშვებული თითოეული ავტობუსის ტექნიკური გამართულობის და სანიტარულ-ჰიგიენური სტანდარტების დაცვა, მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტობუსების ექპლუატაციის ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ნორმები და მოთხოვნები.

დ) კომპანიამ უნდა უზრუნველყოს, აღნიშნულ ხაზზე მომუშავე ყველა მძღოლის პირადი ჰიგიენის და ჩაცმულობის შესაბამისობა ნორმებთან.

ე),,ინტერტრანსმა“ უნდა უზრუნველყოს, მარშრუტის მუშაობის დაწყება-დამთავრების დროისა და ინტერვალის დაცვაც. იმ შემთხვევაში, როცა ინტერვალის ცვლილება, გამოწვეული იქნება ფორსმაჟორული სიტუაციით, (ავტოსაგზაო შემთხევა, საცობი) კომპანია ვალდებულია, დაუყონებლივ მიაწოდოს ეს ინფორმაცია, როგორც მგზავრებს, ასევე რუსთავის მერიას.

ვ) კომპანიამ უნდა უზრუნველყოს, თითოეულ მარშრუტზე მომუშავე ავტობუსის აღჭურვა სვლა-გეზის მაჩვენებელი ფირნიშებით(ელექტრო-ტაბლოებით) და მგზავრობის ფასის გადახდის თანამედროვე სალარო-აპარატებით.

ზ) კომპანიამ უნდა უზრუნველყოს მასთან დასაქმებულ მძღოლთა ეტაპობრივი გადამზადება.

თ) უნდა შექმნას მძღოლთა ერთიანი ბაზა (რეზერვი)

ი) უზრუნველყოს 2018 წლის 1 დეკემბრამდე N 01-N11 ლოტის სრულად ჩანაცვლება ყვითელი ფორდ ტრანზიტის ტიპის სატრანსპორტო საშუალებებით.

კ) კომპანიამ უნდა უზრუნველყოს მარშრუტის დაგრძელება (N2 ლოტის სვლა-გეზის კორექტირება) თბილისი- მოლამდე (კარფური) მიმართულებით.

ლ) უნდა უზრუნველყოს მარშრუტის დაგრძელება (N8 ლოტის სვლაგეზის კორექტირება) ვაკის მიმართულებითაც.

მ) ალტერნატივის სახით უნდა მოახდინოს M3 კატეგორიის ავტობუსების დამატებაც.

მემორანდუმის გაფორმების შემთხვევაში, ვფიქრობ, რუსთავი-თბილისის ხაზზე დღეს არსებული სიტუაცია საგრძნობლად გაუმჯობესდება და მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნაც დაკმაყოფილდება.

ა(ა) იპ ,,რუსთავის კორპუსი"

ა (ა) ი პ „ რუსთავის კორპუსი"-ს მიერ, 2018 წელს შესრულებული სარემონტო სამუშაოები:

2018 წლის კაპიტალური ხარჯი შეადგენს 567 000,00 ლარს

2018 წლის 1-ლი იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, დაიხარჯა სულ: 362 074,09 ლარი.

გადახურვა : 211 510,09 ლარი 13833,5 მ2

წყალ-კანალი: 70 906,25 ლარი 2556 გ/ მ

წყალ-საწრეტი: 19 514, 65 ლარი 840 გ /მ

რკინის კარები : 28 572, 84 ლარი 566,39 მ 2

რკინა-ბეტონის კონსტრუქცია: 2 478, 54 ლარი 8,08 მ2

სადარბაზოს შიდა რემონტი : 10 661, 37 ლარი 426,5 მ 2

სენსორული განათება: 14 130,30 ლარი 170 ც

ფასადის რეაბილიტაცია: 4 300,05 ლარი 680 გ/ მ

მიმდინარე წლიდან, რუსთავის კორპუსში, ,,ახალი ინიციატივების პროგრამის" განხორციელება დავიწყეთ, რაც მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის მხრიდან, პროექტების თანადაფინანსებით განხორციელებას ითვალისწინებს. პროგრამის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კორპუსის გადახურვის, ან სხვა საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი ყიდულობს სამუშაოებისთვის საჭირო მასალებს და გადასცემს

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას. მოსახლეობა კი, თავის მხრივ, მიღებული მასალით, სარემონტო სამუშაოებს ასრულებს საკუთარი სახსრებით. ამ პრინციპით მუშაობა, ვფიქრობ, ეფექტური იქნება, რადგან ამ გზით, სამუშაო გაცილებით მოკლე დროში შესრულდება, ვიდრე ეს, სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის გამოსავლენად, სატენდერო პროცედურების გავლის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. შესაბამისად, მოსახლეობის პრობლემაც, უფრო მოკლე ვადაში და ოპერატიულად გადაწყდება.

პროგრამის შესაბამისად, განცხადებების საფუძველზე, პირველ ეტაპზე მასალების შეძენა - გადაცემა განხორციელდა 17 მისამართზე. საერთო ღირებულებამ შეადგინა 34 093, 74 ლარი ჩათვლით. მთლიანი საპროექტო ღირებულება შეადგენდა 74 500 ლარს.

მომდევნო ეტაპზე, მასალების გადაცემა მოხდება 32 მისამართზე ღირებულებით 64 700, 00 ლარი. მთლიანი საპროექტო ღირებულება შეადგენს 180 459,07 ლარს.

2018 წლიდან, ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსმა“ დანერგა ამხანაგობის თავმჯდომარეების წახალისების განახლებული სისტემაც. რაც გულისხმობს, თავმჯდომარეების წახალისების ოდენობის განსაზღვრას, შესრულებული სამუშაოების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. კერძოდ, ყველა კრიტერიუმის შესრულების შემთხვევაში, კორპუსის თავმჯდომარეს ეძლევა კვარტალურად 300 ლარი, კრიტერიუმების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, კი 200 ლარი, ხოლო მათი არშესრულების შემთხვევაში, წახალისება არ გაიცემა. აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს თავმჯდომარეების სტიმულირებას და შრომის ეფექტურობის ამაღლებას. გარდა ამისა, დაჩქარდება იმ კატეგორიის ამხანაგობების იდენტიფიცირება, სადაც აუცილებელი იქნება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება.

ა(ა) იპ ,,რუსთავ სერვის ცენტრი“

2018 წლის 1-ელ თებერვალს, ახალი ა(ა)იპ-ი ,,რუსთავის სერვის ცენტრი“ შეიქმნა. აღნიშნული, განხორციელდა, ა(ა)იპ ,,უზრუნველყოფის“ და ,,ქალაქ რუსთავის დასუფთავების“ შერწყმის შედეგად. ა(ა)იპ ,,რუსთავ სერვის ცენტრი,“ ქალაქისთვის აუცილებელ, რამოდენიმე სერვისს აერთიანებს.

ერთ-ერთი მათ შორის, ქალაქის გამწვანებაა. ის, რომ რუსთავის ფლორას გამდიდრება და მოვლა ესაჭიროება, დამატებით არგუმენტაციას არ მოითხოვს, ამიტომ, პირდაპირ შესრულებული სამუშაოს ჩამონათვალზე გადავალ.

2018 წელს, ,,რუსთავ სერვის ცენტრის" მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია ,,ტაომ" 39 910 ლარის ღირებულების სამუშაო შეასრულა. საუბარია, დენდროლოგიურ პროექტზე. რომლის ფარგლებშიც, მოხდა შარტავას და ქუთაისის ქუჩების კვეთაზე მდებარე კლუმბის გამწვანება, დაირგო ზეთის ხილის, ნანა ბზის, გართხმული ღვიის, პოტინიას, ვარდის ყვავილნარი. გამწვანდა თოდრიას და მესხიშვილის ქუჩების კვეთაზე მდებარე კლუმბი: დეკორატიულად გალამაზდა და დაირგო: ზეთის ხილი, ტუია ნანა, პოტინია და ვარდი. დონეცკ-მეტალურგთა ქუჩაზე, N7 და N 9 კორპუსებს შორის მდებარე სკვერში, დაირგო: უნგრული ცაცხვი, ლეილანდი, ნანა ბზა, ტუია ნანა, კანადური „ტსუგა", გართხმული ღვია, კოწახური, ვარდი და ზღვის ბალახი.

დაკვირვების და სპეციალისტების დასკვნების საფუძველზე დადგინდა, რომ რუსთავში ფიჭვის ხეების დიდ ნაწილს, პათოგენური სოკო აღმოაჩნდა. შესაბამისად, მივიღეთ გადაწყვეტილება და ქალაქის მასშტაბით, ფიჭვის ყველა ხე შეიწამლა (დაახლოებით 75 ჰა.) ფუნგიციდების კლასის სადეზინფექციო საშუალება „ნორდოქსით" (5844 ლარის ღირებულების).

მწვანე საფარის სარწყავ წყალზე, 2018 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, 78, 361, 5 ლარი, ხოლო მის მოვლა-პატრონობაზე ,, რუსთავ სერვის ცენტრის" ბიუჯეტიდან, 44 257 9 ლარია დახარჯული.

,,რუსთავ სერვის ცენტრის" გამწვანების სამსახურის და სანერგე მეურნეობის მიერ, საშემოდგომოდ დაირგო 970 ძირი და დაკალმდა 1700 ძირი ხე-მცენარე. დეკორატიული მცენარეებით გალამაზდა ქუთაისის და ლეონიძის კვეთაზე არსებული მოედანიც.

სამუშაოების საწარმოებლად, მიმდინარე წელს, ,,რუსთავ სერვის ცენტრმა" სხვადასხვა სახის ტექნიკაც შეიძინა. მათ შორის: 5 ერთეული სათიბი მანქანა (თითოეულის ფასი 812 ლარი და 80 თეთრი) 6 ცალი ბენზო-ცელი (თითოეულის ფასი 345 ლარი და 74 თეთრი) და 7 ცალი ბენზო-ხერხი.(თითოეულის ფასი 240 ლარი)

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ, რუსთავში არსებული ტყის მასივის მოვლა-პატრონობას. ტყის ტერიტორიაზე გაიწმინდა სანერგე მეურნეობისკენ მიმავალი წყლის არხი, ხე-მცენარეები მუშავდება კირის ხსნარით, შევიყვანეთ სასმელი წყლის მილები. ხორციელდება ტყის მასივში არსებული მდგომარეობის მონიტორინგი და იქ არსებული ფლორის დაცვაც.

თოთოეული რუსთაველის განსაკუთრებული სიამაყის საგანია რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც მოგეხსენებათ, ერთ-ერთი უნიკალური ბუნებრივი ტყე-პარკია. რამოდენიმე წლის წინ, მოხდა ამ ტერიტორიის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ჩვენ შეძლებისდაგვარად, ყოველწლიურად ვცდილობთ, რომ ახალი ხიბლი შევძინოთ მას. კულტურისა და დასვენების პარკის მოვლა-პატრონობაც ,,რუსთავ სერვის

ცენტრის“ ფუნქციებში შედის. მიმდინარე წელს, რეაბილიტაცია ჩაუტარდა პარკში არსებულ შადრევნებს, აღვადგინეთ საფეხბურთო მოედნის ინფრასტრუქტურა, რუსთავის ციხესა და პარკის ტერიტორიაზე არსებულ ტბას შორის გაკეთდა ჯებირი, სადაც ბეტონის ფილები დავაგეთ, პარკის ტერიტორიაზე კირით შეთეთრდა 838 ძირი ხე, აღვადგინეთ სარწყავი სისტემის დაზიანებული მონაკვეთები, სისტემატიურად იწმინდება ხელოვნური ტბა, გარე განათებები შეიცვალა სპორტულ მოედნებზე და განათდა რუსთავის ციხის ტერიტორია, რომელიც განსაკუთრებულ იერს სძენს ამ ადგილს და ქალაქის ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მოგეხსენებათ, რუსთავის ციხე V-VIII საუკუნის ძეგლია, ეს არის ერთადერთი ციხე საქართველოში, რომელიც ფრესკებით იყო მოხატული. შესაბამისად, ამ ტერიტორიის მოვლა და მის შემდგომ განვითარებაზე ფიქრი, რუსთავის მომავლისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

პარკის ტერიტორიაზე მოქმედებს დაცვისა და სამაშველო სამსახური. განთავსებულია გამაფრთხილებელი ბანერები, საბანაოდ დასაშვები მონაკვეთი შემოსაზღვრულია სპეციალური რგოლებით და მზადყოფნაშია სამაშველო კატერიც, რომელიც ყველა საჭირო ინვენტარითაა აღჭურვილი.

,,რუსთავ სერვის ცენტრის’ კიდევ ერთი მოვალეობაა ქალაქის გარე განათებაზე ზრუნვა.

ქალაქის მასშტაბით, სხვადასხვა ლოკაციაზე დამონტაჟდა 498 ცალი დიოდური სანათი. მოხდა ფალიაშვილის ქუჩიდან ქალაქის შემოსასვლელამდე ტროტუარების განათება ორგმინის ბურთებით (300ც მეტი), განათება მოეწყო ავტობუსების მუნიციპალურ საწარმოში, მეორადი სანათები დამონტაჟდა სხვადასხვა ქუჩებზე, (დაახლოებით 150ცალი) ოდიშარიას ქუჩაზე შეიცვალა ელექტრო კაბელები, შეიღება და შეკეთდა განათების სისტემა, გარე განათების ბოძები დამონტაჟდა ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე, (86 ცალი) განახლდა და შეიცვალა ელექტრო გადამცემი კაბელები.(7000 მეტრზე მეტი)

გარე განათებაზე, 2018 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით, 149 841,75 ლარია დახარჯული. აქვე იგულისხმება საახალწლო განათებაზე დახარჯული თანხაც, რომელზეც ტენდერი 2017 წლის ნოემბერში ჩატარდა და 51 000 ლარს შეადგენს.

ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე დაიხაზა და მოეწყო ქვეითთა გადასასვლელები და საპარკინგე ზონები.

ქვეითთა გადასასვლელები დაიხაზა:

თოდრიას ქუჩაზე, რუსთაველის გამზირზე, მესხიშვილის ქუჩაზე, №6 ბაგა-ბაღთან, №17, №12, #1, #26,#14, #25 საჯარო სკოლებთან, №24 ქართულ გიმნაზიასთან, მაჩაბლის ქუაჩაზე, ბარათაშვილის ქუჩისა და სუმგაით-მეტალურგთა ქუჩების კვეთაზე, ლეონიძის ქუჩისა და ე,წ, და „სტამბოლის“ ბაზრის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩაზე, თოდრიას წრესთან, რუსთაველის ქუჩაზე არსებულ სპორტ კომპლექსთან, რუსთაველის და დავით გარეჯის ქუჩების კვეთაზე, ხელოვნების სასწავლებელთან და ქალაქის მერიასთან.

კიდევ ერთი და ძალიან მნიშვნელოვანი სერვისი, რომელსაც ,,რუსთავ სერვის ცენტრი“ ახორციელებს, ქალაქის დასუფთავებაა. ამ კუთხით, მართლაც დიდი სამუშაო ტარდება. სულ რუსთავს 226 მეეზოვე ემსახურება, რომლებიც დილის 06.00. საათიდან ასუფთავებენ ქალაქს. მათ, ყოველ დილით, ქალაქის ყველა ქუჩის, პარკისა თუ სკვერის დაგვა-დასუფთავება უწევთ და ეს შრომა აუცილებლად უნდა დავაფასოთ. აქ მუშაობენ მრავალშვილიანი დედები, რომელბიც შვილებთან ერთად გამოდიან უთენია ქალაქის დასასუფთავებლად, მუშაობენ ასაკოვანი ადამიანებიც.

ქალაქის ქუჩების დასუფთავებას ემსახურება მეეზოვეების 12, ხოლო შიდა ეზოებს, 3 ჯგუფი. თითო ჯგუფი, დღეში დაახლოებით 7000 კვადრატულ მეტრ ფართობს ასუფთავებს. 2018 წელს, რუსთავში მყარი ნარჩენების კომპანიის დახმარებით, შემოვიტანეთ ნარჩენების შემკრები 350 ახალი კონტეინერი, სულ ქალაქში 1450 ცალი ლითონის და პლასტმასის კონტეინერი გვაქვს განთავსებული.

ა(ა)იპ „რუსთავ სერვის ცენტრი“აღჭურვილია 5 ერთეული სპეციალური ნაგავმზიდი ტექნიკით, რომლითაც მუნიციპალური ნარჩენების 40%-ის გატანა ხდება, ხოლო ნარჩენების 60% -ის გატანას, ტენდერში გამარჯვებული კერძო კომპანია - შპს „ავტომობილი 2003“ ახორციელებს.

,,რუსთავ სერვის ცენტრის“ ცალკე განყოფილებაა სარეაბილიტაციო სამსახური

სამსახურის მიერ, მიმდინარე წელს შესრულებული სამუშაოებიდან, ერთ-ერთი უმთავრესი და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია საყოფაცხოვრებო ნარჩენების ბუნკერების დალუქვის პროცესი. მიმდინარე წელს, ბინკერების გაუქმება, ქალაქის ყველა მაღლივ კორპუსში დავასრულეთ. სანიაღვრე ჭების სახურავების შეცვლას, ქალაქის სხვადასხვა ადგილებზე ღობეების მოწყობას, დასასვენებელი ზონებისთვის სკამების განთავსებას, არსებული ძეგლების და ქანდაკებების მოვლას და სხვა სამუშაოებს, სარეაბილიტაციო სამსახური ახორციელებს.

ყველას გვახსოვს და ვიცით, როგორი სტიქია დაატყდა თავს რუსთავს მიმდინარე წლის 2 ივნისს. მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ თანამშრომელს და უბრალოდ მოხალისე რუსთაველს, ვინც სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაში დაგვეხმარა. 2 ივნისის სტიქიის შემდეგ, იაღლუჯის მთის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხი გავწმინდეთ, ახალი გოფრირებული მილით შევცვალეთ სასტუმრო ,,ვეჯინის“ მიმდებარედ არსებული დ-400 მმ სანიაღვრე კოლექტორის 16 გრძივი მეტრის დაზიანებული მონაკვეთი. ქალაქის მასშტაბით, სხვადასხვა ლოკაციაზე, ჩატარდა სტიქიის შედეგად ჩამოტანილი ლამისგან ტერიტორიის გაწმენდვითი სამუშაოები.

იმისთვის, რომ სამომავლოდ მსგავსი სტიქია თავიდან ავიცილოთ და რუსთავს მოვუხსნათ ეს პრობლემა, აქტიურად ვთანამშრომლობთ რეგიონული განვითარების და ინფრასრტრუქტურის სამინისტროსთან, რომელიც შესაბამის საპროექტი სამუშაოებზე მუშაობს.

,,რუსთავ სერვის-ცენტრში“-ვე ფუნქციონირებს სანიაღვრე სამსახურიც, რომელიც დაზიანებული სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციას ახდენს.

მიუსაფარი ძაღლების დროებითი თავშესაფარი

მიუსაფარი ძაღლების დროებითი თავშესაფარი ახორციელებს უმეთვალყურეო ცხოველების ჰუმანური, საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული მეთოდებით დაჭერას, იზოლაციას და ვეტერინარულ ზედამხედველობას. (კასტრაცია, სტერილიზაცია და ვაქცინიზაცია). ყოველთვიურად ხდება დაახლოებით 40-50 ძაღლის სტერილიზაცია-კასტრაცია, ანტიბაქტერიული ვაქცინაცია, საყურე ნიშნის გაკეთება. აგრესიული და ჯანმრთელობისათვის საშიში დაავადების მქონე ძაღლის გამოვლენის შემთხვევაში, კეთდება ევთანაზია.

და ბოლოს, ,,რუსთავ სერვისცენტრის“ მიერ გაწეული ხარჯები მისივე შესყიდვების და ლოჯისტიკის სამსახურის მიერ არის წარმოდგენილი და შემდეგნაირად გამოიყურება:

შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახური

12 ელექტრონული ტენდერი - 918834 ლარის ღირებულების;
33 გამარტივებული ტენდერი - 34472,30 ლარის ღირებულების;
3 კონსოლიდირებული შესყიდვა - 231652 ლარის ღირებულების;
5. გადაუდებელი შესყიდვა - 11214 ლარის ღირებულების;
1 ერთ პირთან გადაუდებელი შესყიდვა - 25 000 ლარის ღირებულების.
სულ: 1,221,172.3 ლარის ღირებულების.

II.კვარტალი
ჩატარდა:
14 ელექტრონული ტენდერი - 289,821 ლარის ღირებულების
51 გამარტივებული ტენდერი - 26 579,23 ლარის ღირებულების;
3 კონსოლიდირებული შესყიდვა - 3 740 ლარის ღირებულების.

სულ: 320,140,23 ლარის ღირებულების

III კვარტალი

ჩატარდა:

4 ელექტრონული ტენდერი - 39 436,19 ლარის ღირებულების

19 გამარტივებული ტენდერი - 11 541,83 ლარის ღირებულების.

ქალაქის დასუფთავებასა და მისი იერ-სახის გაუმჯობესებაზე, ასევე მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე აქტიურად იმუშავა **მერიის აპარატის კოორდინაციის განყოფილებამაც.**

ამ პერიოდის განმავლობაში, სამსახურებთან ერთად, რეგულარულად ვახდენდით, წინასაარჩევნო კამპანიის დროს მიცემული დაპირებების შესრულების მონიტორინგს. მუდმივად ვატარებდით შეხვედრებს მოქალაქეებთან სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში.

მერის წარმომადგენლები და კოორდინაციის განყოფილების თანამშრომლები, აქტიურად მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტებში შეხვედრაზე ჩაწერილი მოქალაქეების შეხვედრების ორგანიზებაში. მიღებაზე მოსახლეობის მიერ დასმულ საკითხებს, სწავლობენ შესაბამისი სამსახურები, წყვეტენ შესაძლებლობის ფარგლებში და ამზადებენ სხვადასხვა კომისიებზე განსახილველად. სპეციალური მუშა ჯგუფი, ყოველ მეორე თვეს უბრუნდება შესრულების მიმდინარეობას და ამას რეგულარული კონტროლის ხასიათი აქვს. კოორდინაციის განყოფილება აქტიურად მონაწილეობდა საკრებულოს დეპუტაციის შეხვედრების მომზადებაშიც.

სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, განყოფილების თანამშრომლები ნაყოფიერ კოორდინაციას უწევდნენ მერის წარმომადგენელთა საქმიანობას. მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების ფარგლებში, მიმდინარეობდა ბენეფიციარებთან მჭიდრო კომუნიკაცია და საჭირო დოკუმენტაციის წარმოება, რაც კონკრეტული მოქალაქის, სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის, აქტის სახით დადგენას ითვალისწინებს. აღნიშნული დოკუმენტი, უფრო ნათელს ხდის, თუ რამდენად ესაჭიროება მოქალაქეს მედიკამენტებით, სამკურნალო-საოპერაციო თანხებით, სწავლის საფასურით, თუ სხვა სოციალური პროგრამით სარგებლობა.

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	სამკურნალო და საოპერაციო	მედიკამენტები	სწავლის დაფინანსება	ცხოვრების ფაქტის დადგენა	გარდაცვალების ფაქტის დადგენა	მერთან შეხვედრა
13 ასურელი მამის	**99**	**16**	**3**	**8**	**4**	**3**
გ. ჭყონდიდელის	**44**	**17**	**6**	**29**	**4**	**3**
ი. ჭავჭავაძის	**108**	**27**	**1**	**24**	**0**	**4**
ჟ. შარტავას	**116**	**29**	**4**	**26**	**3**	**2**
ი. ცურტაველის	**122**	**33**	**4**	**59**	**6**	**2**
დ. აღმაშენებლის	**137**	**22**	**6**	**39**	**3**	**3**
ძველი რუსთავის	**108**	**45**	**3**	**64**	**0**	**4**

ვ. გორგასლის	133	24	3	24	3	4
შ. რუსთაველის	127	41	1	38	3	4
ნ. ბარათაშვილის	102	20	7	209	2	4
	1096	274	38	520	28	33

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	მოქალაქეთა რაოდენობა	ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა	რეესტრი	დარეგისტრირებული განცხადება	სოციალური პროგრამის ფარგებში გაცემული საჩუქრები	უსინათლო და შ.შ.მ.პ
13 ასურელი მამის	42	0	140	6	105	2
გ. ჭყონდიდელის	65	0	194	12	120	32
ი. ჭავჭავაძის	61	0	140	3	122	57
ჟ. შარტავას	43	0	137	17	114	44
ი. ცურტაველის	48	0	299	10	152	70
დ. აღმაშენებლის	83	0	197	22	133	88
ძველი რუსთავის	77	0	329	7	49	70
ვ. გორგასლის	108	0	260	59	110	64
შ. რუსთაველის	108	1	81	14	104	116
ნ. ბარათაშვილის	110	0	343	1	260	45
	745	1	2120	151	1269	588

მერის წარმომადგენლები, სისტემატიურად ამოწმებენ, ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას და მოსახლეობის ნებისმიერ მოთხოვნას, თუ წინადადებებს ოპერატიულად აწვდიან მერიის შესაბამის სამსახურებს.

აღსანიშნავია, რომ წელს, სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში არსებული, სამშენებლო ნარჩენებისა და სხვა დარღვევების დასურათება-დამისამართებაც მოვახდინეთ, რის შემდეგაც, ქალაქის ხუთ ადმინისტრაციულ ერთეულში დასუფთავების მასშტაბური აქციები ჩავატარეთ და იქ არსებული, უსახური შემოღობვებისა და ავტოფარეხების დემონტაჟიც მოვახდინეთ. ტერიტორიები

დასუფთავდა დარჩენილი სამშენებლო მასალებისა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან.

საერთო ჯამში, 700-ზე მეტი სატვირთო მანქანის ტევადობის, სამშენებლო თუ სხვა სახის ნარჩენები იქნა გატანილი ქალაქიდან. აღსანიშნავია, რომ ამ აქციებში აქტიურად მონაწილეობდა მოსახლეობაც. უნდა აღინიშნოს, რომ საჭირო განმარტებების გაკეთების და მოსახლეობასთან კონსულტაციების შედეგად, რუსთაველები უკვე თავად მოგვმართავენ ეზოების უსახური შემოღობვებისგან და ნაგებობებისგან გასუფთავების თხოვნით. გამოთავისუფლებულ და დასუფთავებულ სივრცეებში, კი სკვერების, სპორტული მოედნებისა და საბავშვო მოედნების მოწყობას ვგეგმავთ და ამის პრეცედენტი უკვე გვაქვს მე-12 მკ/რნ-ში.

დაწყებული სამუშაოები არ შემოფარგლულა ერთდღიანი აქციებით, ყოველდღიურ რეჟიმში გრძელდება და შესაბამისად, დაეტყო კიდეც ქალაქს.

2 ივნისს, ქალაქში მომხდარი სტიქიის შედეგად, დაზიანდა ქალაქის დიდი ნაწილი. დაიტბორა კორპუსების სარდაფები, ეზოები, კერძო ბინების პირველი სართულები და კომერციული ფართები. მოსახლეობას დაუზიანდა სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ნივთები. მერის წარმომადგენლები განყოფილების თანამშრომლებთან ერთად, ადგილზე გასვლით გაეცნენ სტიქიისგან მიყენებულ ზიანს. ეს იყო უძილო ღამეები და მართლაც ტიტანური შრომა. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო და მადლობა არ ვუთხრა, საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის მოხალისეებს, რომლებმაც გასაოცარი შრომისმოყვარეობით და ერთგულებით გამოიჩინეს თავი, როგორც სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის, ასევე ქალაქის დასუფთავების აქციებში. 2018 წელი, რუსთავის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის წელია, რადგან მათთან ერთად გასახორციელებელი, არაერთი პროექტი დავგეგმეთ.

2 ივნისის სტიქიასთან დაკავშირებით, სულ მოქალაქეებისგან შემოვიდა და დარეგისტრირდა 88 განცხადება. კომპენსაციის სახით დაფინანსდა 62 მოქალაქე, საერთო ჯამში- 68856.84 ლარით. აღსანიშნავია, რომ სამუშაო ისეთი სიზუსტით ჩატარდა, რომ არცერთი საფუძვლიანი პრეტენზია არ შემოსულა ქალაქის მერიაში.

კოორდინაციის განყოფილება აწარმოებს ქალაქში მიმდინარე საყოველთაო აღწერას და ინტენსიურად მუშაობს საინფორმაციო ბაზის ფორმირებაზეც.

მერის წარმომადგენლებმა და კოორდინაციის განყოფილების თანამშრომლებმა ასევე დახმარება გაუწიეს სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს,

ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, უაღრიცხვო წვევამდელთა მოძიებაშიც.

ქალაქში გაკეთდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტულ მოედნებს, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ახალგაზრდებში სპორტისადმი ინტერესი. ქალაქში გამართულ, მერიის თასის ჩემპიონატში მინი ფეხბურთში, მერის წარმომადგენლებმა და კოორდინაციის განყოფილების თანამშრომლებმა, თავიანთი ადმინისტრაციული ტერიტორიების მიხედვით, შექმნეს ფეხბურთის მინი გუნდები, სადაც მონაწილეობას იღებდნენ 11-იდან 13 წლამდე ასაკის ბავშვები. გამარჯვებული გუნდი - „ XXI საუკუნე“, (ილია ჭავჭავაძის სახელობის ადმინისტრაციული ერთეული) ქალაქის მერიისგან დაჯილდოვდა აქვა პარკის „ჯინო ფერედაისი“ ერთდღიანი აბონემენტით.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში (2017 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის ოქტომბრამდე) გაწეული სამუშაოს ანგარიში

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციონირების ძირითად სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი. 2018 წელს, მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციის შედეგად, შეიცვალა სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა, შემცირდა სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის შტატი და სანაცვლოდ სამსახურის შიდა კონტროლის და მონიტორინგის განყოფილებას დაემატა მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული. სიახლეს წარმოადგენს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ მერიაში მოქმედი შინაგანაწესის შესრულების კონტროლიც დაევალა შიდა აუდიტის სამსახურს. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს ქალაქის მერის ბრძანებით დამტკიცებული წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ, ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ,“ საქართველოს კანონის თანახმად, მტკიცდება კალენდარული წლის დაწყებამდე. ამდენად, სამსახურის 2018 წლის სამუშაო გეგმა დამტკიცებული იქნა ქალაქის მერის 2017 წლის 25 დეკემბრის #1957 ბრძანებით.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ჩატარებულია შიდა აუდიტორული შემოწმება შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში:

2017 წლის ბოლოს ჩატარდა შიდა აუდიტორული შემოწმება ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის დასუფთავება“-ში, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის ,,ქ.რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება-ი.ჭავჭავაძის სახელობის მთავარ ბიბლიოთეკა“-ში, შპს ,,რუსთავის საფეხბურთო კლუბ“-ში .

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 25 დეკემბრის #1957 ბრძანების თანახმად დამტკიცებული წლიური სამუშაო გეგმის მიხედვით, 2018 წლის დასაწყისიდან განვლილ 10 თვეში, შიდა აუდიტორული შემოწმება უნდა განხორციელებულიყო

მუნიციპალიტეტის მიერ 50 %-ი და მეტი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ ერთ შპს-ში და 4 ა(ა)იპ-ში. ასევე, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ 2 არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირსა და 2 შპს-ში, უნდა მომხდარიყო, შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგიც.

2018 წლის იანვარ-ოქტომბერში, შიდა აუდიტის მიერ განხორციელებული იქნა შემდეგი შიდა აუდიტორული შემოწმება და აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი:

შპს ,,რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო"-ს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმება, (შესამოწმებელი პერიოდი მოიცავდა 01.04.2015 - 31.12.2017 წლებს.) ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაეთიანების" ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმება (შესამოწმებელი პერიოდი მოიცავდა 01.09.2015 – 20.02.2018 წწ-ს.)

განხორციელდა გასულ წელს შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგიც.

აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი განხორციელდა ა(ა)იპ ,,რუსთავის კორპუსში". მიმდინარე წელსვე, აუდიტორული შემოწმება ჩატარდა ,,გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალურ თეატრშიც."

წელსვე, სამსახურმა შპს ,,საფეხბურთო კლუბი რუსთავი"-ში, 2017 წელს ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი ჩაატარა.

განხორციელდა ა(ა)იპ ,,რუსთავის მუნიციპალური არქივი"-ს 2016-2018 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმებაც.

აუდიტორულად შემოწმდა ა(ა)იპ ,,რუსთავის ისტორიული მუზეუმიც" (2016-2018 წლების) ასევე განხორციელდა ,,მუნიციპალურ ავტოტრანსპორტში" ჩატარებული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგიც.

2017 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის ბოლომდე, სამსახურის მიერ არანაირი სახელმწიფო შესყიდვა არ განხორციელებულა, ხოლო მიმდინარე 2018 წლის განვლილ 9 თვეში, მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები შემდეგნაირად გამოიყურება:

	2018

N	დასახელება, რაოდენობა	საერთო თანხა (ლარი)
1	კომპიუტერული ტექნიკა-2 ც კომპიუტერი	2378
2	საკანცელარიო ნივთები	348.47
3	ქაღალდი-20 ყუთი	724
4	კომპიუტერის აქსესუარები (კლავიატურა, მაუსი, მეხსიერების ბარათი)	112.1
5	კარტრიჯები -20 ცალი	181.72
6	ერთჯერადი ჭიქები-4000 ცალი	118

სულ ჯამი: 3862.29 ლარი

ზედამხედველობის და ადგილობრივი მოსაკრებლის სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურში შექმნილია ორი განყოფილება: ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილება და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილება.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახური ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად, ახორციელებს შემდეგ საქმიანობას: ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ,'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით განსაზღვრულ, პირველ კლასს დაქვემდებარებული ობიექტების საპროექტო და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე კონტროლს, სათანადო ნებართვის გარეშე მიმდინარე მშენებლობებისა და შენობა-ნაგებობათა დემონტაჟის კონტროლს, უკანონო, უსახური და ამორტიზებული ჯიხურების, დახლების სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, აფიშების, პლაკატების და სხვა სარეკლამო ატრიბუტიკის უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენას და მათ აღკვეთას. პირველ კლასს დაქვემდებარებული ობიექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე კონტროლსა და დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

ზედამხედველობის სამსახურის ვალდებულებაა: იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კეთილმოწყობის წესების დაცვა, გარე იერსახის, გარე რეკლამის გაკონტროლება, ადმინისტრაციული და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმის წარმოება, შესაბამისი სამართლებრივი აქტების შედგენა, მოსაკრებელს დაქვემდებარებული ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მოსაკრებლის გადახდის ადმინისტრირება და კონტროლი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების 2018 წლისI-II კვარტლის სამშენებლო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების ანგარიში

I-II-IIIკვარტალი

1	გაიცა მითითება	უნებართვო მშენებლობა	7	23	23
		ავარიული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის განუხორციელებლობა	-	1	-
2	გამოვიდა დადგენილება	დაჯარიმება	2	1	1
		საქმის შეწყვეტა	4	2	14
3	მიმდინარეობს საქმის წარმოება		1	21	9

1	გაფორმდა სამართალდარღვევის ოქმი	მსხვილფეხა პირუტყვი	5	11	9
		იერ-სახის თვითნებური შეცვლა	1	_	2
		სისუფთავისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესების დაუცველობა	2	1	1
		მსუბუქი კონსტრუქციის თვითნებური მონტაჟი ან/და განთავსება	3	1	4

		გადათხრის ადგილების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვება	1	–	-

დასუფთავების მოსაკრებლის თანხები 2018 წელი

თვეები	**დასუფთავების მოსაკრებელი**			
	იურიდიული პირები	**ფიზიკური პირები**	**სულ**	**გეგმა %**
იანვარი	45066.86	17526.15	62593.01	79.06
თებერვალი	47760.56	12574.05	60334.61	76.20
მარტი	72236.93	9347.65	81584.58	103.04
I კვარტალი	**165064.35**	**39447.85**	**204512.20**	**86.10**
აპრილი	49339.23	9553.56	58892.79	74.38
მაისი	71194.71	33325.16	104519.87	132.01
ივნისი	47628.56	19133.43	66761.99	84.32
II კვარტალი	**168162.50**	**62012.15**	**230174.65**	**96.91**
ივლისი	62936.56	12064.58	75001.14	94.73
აგვისტო	55150.92	8437.69	63588.61	80.31
სექტემბერი	58197.33	8413.44	66610.77	84.13
III კვარტალი	**176284.81**	**28915.71**	**205200.52**	**86.39**
სულ 9 თვე	**509511.66**	**130375.71**	**639887.37**	**89.80**

წლის გეგმა: 950100,00 თვის გეგმა: 79175,00

სერვისის გაუმჯობესების მიზნით, მერიასა და სს ,,ლიბერთი ბანკს“ შორის გაფორმდა შეთანხმება და 2018 წლის მაისის თვიდან შესაძლებელი გახდა, ფიზიკური პირებისათვის დასუფთავების მოსაკრებელის ბანკის სწრაფი გადახდის აპარატების და ინტერნეტ ბანკინგის მეშვეობით გადახდა. ბანკთან შეთანხმებით, ასევე სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ავტობუსების გაჩერებებზე დამონტაჟდა 5 ერთეული ახალი სწრაფი გადახდის აპარატი,

რითაც ფაქტობრივად გადაიჭრა მოსახლეობის მხრიდან ხშირად წამოჭრილი შენიშვნები ბანკში არსებული რიგების და ამ მიზეზით გადახდების შეფერხებების თაობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მერიის ინიციატივით, დასუფთავების მოსაკრებელის გადახდა მოსახლეობას შეუძლია სრულიად უფასოდ, ბანკის საკომისიოს გარეშე.

მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მიზნით შესრულებული პროგრამები და პროექტები

რუსთავის მერიის სოციალური პროგრამები

რუსთავის მერია წელს 27 სოციალურ პროგრამას ახორციელებს. მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ თითოეული ეს პროგრამა, რუსთაველ მოქალაქეებზე და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე იყოს მორგებული. რა თქმა უნდა, ეს არაა საკმარისი და ამით ჩვენ ქალაქში არსებულ სოციალურ ფონს ვერ შევცვლით, მაგრამ სამწუხაროდ, ეს პროგრამები სასიცოცხლოდ აუცილებელია იმ რუსთაველებისთვის, ვისაც სოციალური დახმარება სჭირდება.

უფასო სასადილოებით მომსახურების პროგრამა

უფასო სასადილოებით მომსახურების პროგრამა სოციალურად დაუცველი, (0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულა) და შშმ მოქალაქეების უფასო კვებით დღეში ერთჯერად უზრუნველყოფას ითვალისწინებს. 2017 წელს პროგრამის ბიუჯეტი 840, 777 ლარს შეადგენდა. 2018 წლისთვის კი პროგრამის დასაფინანსებლად ბიუჯეტში 940,000 ლარი გავითვალისწინეთ და ბენეფიციარების რაოდენობა 1800-მდე გავზარდეთ. გაუმჯობესებულია სასადილოს ყოველდღიური მენიუც. ქალაქში სულ ოთხი ასეთი ტიპის სასადილო გვაქვს და იქ არსებული სიტუაციის მონიტორინგი, როგორც მენიუს დაცვის, ისე, ჰიგიენის თვალსაზრისით ყოველდღიურ რეჟიმში ხდება. მოგეხსენებათ, მსგავსი პროგრამების დაფინანსების საწყისი ბიუჯეტის ოდენობა იცვლება წლის განმავლობაში, მერიაში შემოსული განცხადებების საფუძველზე. შესაბამისად, მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში, უფასო სასადილოებით მომსახურებისთვის რუსთავის ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა, 837 420 ლარი შეადგინა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ უფასო სასადილოებში კვების ხარისხის მნიშვნელოვანმა გაუმჯობესებამ თითქმის შეწყვიტა ბენეფიციართა როტაცია და მომავალი წლისთვის სავარაუდოდ მოთხოვნილების გაზრდასთან დაკავშირებით ბენეფიციართა რაოდენობა 2100-მდე გაიზრდება. (უკვე რეგისტრირებული განცხადებების საფუძველზე).

რუსთავში რეგისტრირებული სტუდენტებისთვის გათვალისწინებული პროგრამა

ამ კუთხით მუშაობა გასული წლის ნოემბრიდან, იმ დღიდან დავიწყეთ, რაც ჩემი, როგორც მერის უფლებამოსილება ძალაში შევიდა. რამოდენიმე შეხვედრა გავმართეთ რუსთაველ სტუდენტებთან. კონსულტაცია გავლილი გვაქვს რუსთავი-თბილისის

მარშრუტზე კონკურსში გამარჯვებულ კომპანია ,,ინტერტრანსთანაც“, რომელიც ახორციელებს ამ მარშრუტზე მგზავრების გადაყვანას. ამ ეტაპზე სამწუხაროდ სტუდენტური ტარიფის დაწესება რუსთაველი სტუდენტებისთვის არ მოხერხდა, მაგრამ მიმდინარეობს მუშაობა როგორც ალტერნატიული ტრანსპორტის უზრუნველყოფაზე, ვგულისხმობ რუსთავსა და თბილისს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას, რაც ვფიქრობ ძალიან მოსახერხებული იქნება როგორც სტუდენტებისთვის, ისე სხვა ასაკის რუსთაველებისთვისაც, რომლებიც ყოველდღიურად გადაადგილდებიან რუსთავიდან თბილისის მიმართულებით, ისე სტუდენტური ტრანსპორტის დაწესების საკითხზეც და დიდი იმედი მაქვს, რომ რუსთაველი სტუდენტებისთვის ამ თხოვნის შესრულებას სამომავლოდ აუცილებლად შევძლებთ. ახლა რაც შეეხება იმ პროგრამას, რომელსაც დღესდღეობით ვახორციელებთ. პროგრამა სოციალურად დაუცველი (100 000 სარეიტინგო ქულა) მრავალშვილიანი,(150 000 ქულა) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და იძულებით გადაადგილებული ოჯახების წევრი სტუდენტებისთვის, (150 000 ქულა) ყოველთვიური მატერიალური წახალისების სახით, 50 ლარის ოდენობით თანხის დარიცხვას მათ პირად ანგარიშებზე (პროგრამის ამ მუხლით გათვალისწინებული თანხა, სწორედ ამ ბავშვების ტრანსპორტის ხარჯის დაფარვისთვის გავითვალისწინეთ) და მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების (81 ქულა და მეტი 100 ქულიანი შეფასების სისტემაში) სწავლის გადასახადში დახმარებას ითვალისწინებს. 2017 წლისთვის პროგრამის ბიუჯეტი, 57 250 ლარს შეადგენდა. 2018 წლისთვის ამ სერვისისთვის ბიუჯეტში 65 ათასი ლარი გავითვალისწინეთ და მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე, პროგრამით 48 953 50 ლარი უკვე დახარჯულია პროგრამის ორივე მუხლით, ჯამში 529 სტუდენტს აქვს ნასარგებლები.

სოციალური პროგრამა, რომელზეც ახლა ვისაუბრებთ, **რუსთავში რეგისტრირებულ, მრავალშვილიან სოციალურად დაუცველ ოჯახებზეა გათვლილი.** ამ ოჯახებს განსაკუთრებით სჭირდებათ ჩვენი თანადგომა და ვცდილობთ, მუნიციპალიტეტის შესაძლებლობის ფარგლებში, მცირედით მაინც გავუწიოთ დახმარება. პროგრამა, როგორც მოგახსენეთ, რუსთავში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი (150 000-მდე სარეიტინგო ქულა) მრავალშვილიანი ოჯახების (4 და მეტი შვილი) დახმარებას ითვალისწინებს.

2017 წლისთვის პროგრამის ბიუჯეტი 234, 350 ლარს შეადგენდა, ამ ოჯახების ყოველთვიური დახმარება 25 ლარით იყო განსაზღვრული თითო არასრულწლოვან ბავშვზე და სულ წლის განმავლობაში ამ პროგრამით 735-მა ოჯახმა ისარგებლა.

2018 წლისთვის, პროგრამის ბიუჯეტი შეძლებისდაგვარად გავზარდეთ და 264, 600 ლარით განისაზღვრა. 25-დან 30 ლარამდე გავზარდეთ თითო ბავშვზე გათვალისწინებული თანხაც და 2018 წლის დასაწყისიდან დღემდე, პროგრამაზე დახარჯულმა თანხამ 254. 810 ლარი შეადგინა. ჯამში, სულ 7177 ბავშვს გავუწიეთ ეს პატარა დახმარება.

მოქალაქეთა ინდივიდალური სამედიცინო დახმარების პროგრამა.

პროგრამის მიზანია, ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) მოქალაქეებისათვის, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების

დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია სამიზნე ჯგუფი და პროგრამით მოსარგებლეთა შერჩევის წესი, კერძოდ: 1). ავთვისებიანი სიმსივნეების ამბულატორიულ-სტაციონარული მკურნალობის დაფინანსების ზედა ზღვარი შეადგენს 2000 ლარს. თითოეული მოქალაქის დაფინანსება განისაზღვრება ოჯახების ყოველთვიური შემოსავლის ინდივიდუალური ლიმიტის ფარგლებში. 2.) კარდიოქირურგიული მომსახურება (მათ შორის კორონაროგრაფია, სტენტირება და აბლაცია). აღნიშნული მკურნალობის დაფინანსების ზედა ზღვარი 1500 ლარს შეადგენს. თითოეული მოქალაქის დაფინანსება განისაზღვრება ოჯახების ყოველთვიური შემოსავლის ინდივიდუალური ლიმიტის ფარგლებში. 3. გეგმიური ქირურგიული სამედიცინო მომსახურება, რომლის დაფინანსების მაქსიმალური ლიმიტიც 1000 ლარით გვაქვს განსაზღვრული 4. კომპიუტერული გამოკვლევები (CT და MRT კვლევები), რომელიც შეიძლება დაუფინანსდეს მხოლოდ 0-დან 70 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, წლიური თანხის ლიმიტი პროგრამის ამ მუხლში 500 ლარს შეადგენს.

2017 წელს პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 548 263 ლარს.

2018 წელს კი, პროგრამის საწყისი ბიუჯეტი 565000 ლარით განვსაზღვრეთ.

2018 წლის იანვრიდან დღემდე, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 1117 მოქალაქის სამედიცინო მომსახურება და დახარჯული თანხა შეადგენს 499 358,72 ლარს.

მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამა

პროგრამის მიზანია, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების (0-დან 70 001-მდე სარეიტინგო ქულა), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხის დაფინანსება. წლის განმავლობაში, დაფინანსებული თანხის ოდენობა, არ უნდა აღემატებოდეს 100 ლარს. შშმპ პირების შემთხვევაში, მოქალაქის დახმარების გაწევის გადაწყვეტილება მიიღება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მიერ შედგენილი აქტის საფუძველზე, სადაც აღწერილია მოქალაქის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ამ გზით, ჩვენ ვიღებთ რეალურ ინფორმაციას საჭიროებს თუ არა მოქალაქე დახმარებას.2018 წელს პროგრამის ბიუჯეტი 200000 ლარია. 2018 წლის იანვრიდან დღემდე, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 1541 მოქალაქის მედიკამენტები და ბიუჯეტიდან ამ პროგრამაზე დახარჯულმა თანხამ 152 627 ლარი შეადგინა.

შემდეგი, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია **აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა.**

პროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების (ICD-10ით განსაზღვრული კლასიფიკატორები - F84; F78; R62) მქონე 0-12 წლამდე ასაკის ბავშვები (ბენეფიციარები). პროგრამა უზრუნველყოფს სამკურნალო-სარეაბილიტაციო ხარჯების დაფარვას იმ ბენეფიციარისთვის, რომელთაც

დადგენილი აქვს დიანოზი: F78 ან R62 წლიურად არაუმეტეს 600 ლარის ოდენობით, ხოლო იმ ბენეფიციარებისთვის რომელთაც - F84, წელიწადში არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით.

2017 წელს პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 89000 ლარს.

2017 წლის ნოემბერ/დეკემბერში აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა 15 მოქალაქე და დახარჯულმა თანხამ შეადგინა 5250 ლარი.

2018 წელს პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 140790 ლარს.

2018 წლის იანვრიდან დღემდე, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 215 ბენეფიციარი და დახარჯული თანხა შეადგენს 140695 ლარს.

C ჰეპატიტით დაავადებულ პირთათვის საჭირო სამედიცინო კვლევების დაფინანსება

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ C ჰეპატიტის სკრინინგი და მკურნალობა ჩვენი სახელმწიფო პროგრამების ერთ-ერთი პრიორიტეტია და ის შედეგები, რაც ამ პროგრამის ამოქმედების შემდეგ გვაქვს, უპრეცენდენტოა მთელს მსოფლიოში.

პროგრამის მიზანია, C ჰეპატიტით დაავადებული მოქალაქეების „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ მკურნალობაში ჩართვამდე, აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა. პროგრამაში ჩასართავად, აუცილებელია განმცხადებელი რეგისტრირებული იყოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ დიაგნოსტიკის კომპონენტში. დაფინანსების დროს განსაზღვრულია გრადაციები: თუ განმცხადებლის სარეიტინგო ქულა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, არ აღემატება 70 000-ს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია დაფარავს მოქალაქის მიერ ასანაზღაურებელი თანხის სრულ ოდენობას. ხოლო, თუ განმცხადებელი არ განეკუთვნება ამ განსაზღვრულ კატეგორიას, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია, დაფარავს მოქალაქის მიერ ასანაზღაურებელი თანხის ნახევარს.

2017 წელს პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 55000 ლარს.

2018 წელს პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 35000 ლარს.

2018 წლის იანვრიდან დღემდე, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 160 მოქალაქე და დახარჯული თანხა შეადგენს 19 833 ლარს.

როგორც ხედავთ, გასულ წელთან შედარებით, ამ შემთხვევაში, პროგრამისთვის ნაკლები თანხაა გათვალისწინებული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო პროგრამამ რეალური შედეგები დადო ამ მიმართულებით.

რუსთაველების მკურნალობის დაფინანსება ხდება მერის სარეზერვო ფონდიდანაც. მიმდინარე წელს, მერის სარეზერვო ფონდიდან, 236 რუსთაველის სამედიცინო მომსახურება

დაფინანსდა და ამ მიზნით დახარჯული თანხა 118553,37 ლარია. აქვე მინდა განვმარტო, რომ სარეზერვო ფონდიდან მოქალაქის დაფინანსება იმ შემთხვევაში გვიწევს, როცა მკურნალობა, რომელსაც ის საჭიროებს, რუსთავის მერიის სოციალური პროგრამებით არ ფინანსდება.

ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში, მოსახლეობასთან შეხვედრების დროს შესწავლილი პრობლემების და მათი გაანალიზების შედეგად, მივიღეთ გადაწყვეტილება 2018 წლიდან დაგვეფინანსებინა შემდეგი სოციალური პროგრამები:

დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების მატერიალური დახმარების პროგრამა

პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული, რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული მოქალაქეების ტრანსპორტის ხარჯების შემცირების მიზნით გათვალისწინებულ, ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას. მოგეხსენებათ, ჯანმრთელობის ამ პრობლემის მქონე ადამიანებს, კვირაში მინიმუმ სამჯერ უწევთ სამედიცინო პროცედურის ჩასატარებლად კლინიკაში მისვლა. ეს გარკვეულ ფინანსურ დანახარჯს მოითხოვს, შესაბამისად, გადავწყვიტეთ, რომ ეს თანხა ქალაქის ბიუჯეტიდან გამოგვეყო მათთვის.

2018 წელს, პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 36000 ლარს.

2018 წლის იანვრიდან დღემდე, ყოველთვიურად აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ფინანსდება 56-57 მოქალაქე და დახარჯული ჯამური თანხა შეადგენს 26580 ლარს.

რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების კომუნალური დავალიანებების დაფარვის პროგრამა.

2018 წელს პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 8,000 ლარს. პროგრამის მიზანია, რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების კომუნალური დავალიანებების (ელ-ენერგია, ბუნებრივი აირი) დაფარვა, თითო ასეთ ოჯახზე გამოსაყოფი თანხის ზედა ზღვარი 500 ლარითაა განსაზღვრული.

2018 წლის იანვრიდან დღემდე, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, დავეხმარეთ 84 ოჯახს და გახარჯულმა თანხამ 4,469,69 ლარი შეადგინა.

პროგრამის უმთავრეს პოზიტივად ის მიმაჩნია, რომ ამ გზით, ჩვენ შეძლებისდაგვარად ხელს ვუწყობთ, მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვების ოჯახებში დაბრუნებას, რადგან მათ მშობლებს, რომლებმაც თავის დროზე, მძიმე სოციალური პირობების გამო მიიყვანეს ბავშვები მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლებში, ოდნავ მაინც ვუმსუბუქებთ მდგომარეობას იმით, რომ კომუნალური გადასახადების თანხა, მათი ოჯახების ბიუჯეტიდან არ იხარჯება.

ტოტალურ უსინათლოთა გამცილებლის მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამა.

ამ პროგრამის დაფინანსებაც 2018 წლიდან დავიწყეთ. პროგრამის შექმნის თხოვნით, გასული წლის დასასრულს რამოდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ და თავად შშმ პირებმა მოგვმართეს, რომელთა საზოგადოებაში ინტეგრაციაზე ზრუნვაც თითოეული მოქალაქის ადამიანური მოვალეობაა. 2018 წელს პროგრამის ბიუჯეტი 7,400 ლარით განვსაზღვრეთ. როგორც მოგახსენეთ, პროგრამის მიზანი, რუსთავში რეგისტრირებული და მცხოვრები, ტოტალური უსინათლობის პრობლემის მქონე ადამიანების, გამცილებლით უზრუნველყოფაა. სულ პროგრამა 75 რუსთაველს ემსახურება 2018 წლის იანვრიდან დღემდე, კი პროგრამის ფარგლებში, 3, 505,26 ლარია დახარჯული.

შემდეგი პროგრამა რომელიც ასევე 2018 წლიდან ავამოქმედეთ არის

ახალგაზრდა ინიციატორთა პროექტების თანადაფინანსების პროგრამა

ამ პროგრამაზე მე უკვე გესაუბრეთ, მაგრამ უფრო დეტალურად რომ გქონდეთ ინფორმაცია, თუ რატომ გადავწყვიტეთ ამ მიმართულებით თანხის გამოყოფა, საკითხს კიდევ ერთხელ დავუბრუნდები.

პროგრამის მიზანია, ქალაქ რუსთავში განსახორციელებელი, ახალგაზრდა (29 წლამდე) ინიციატორების, ან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ისეთი პროექტების თანადაფინანსება, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციის, საელჩოების, ან საერთაშორისო პროგრამით დაფინანსებული ორგანიზაციის მიერ ფინანსდებიან.

2018 წელს პროგრამისთვის 100,000 ლარი განვსაზღვრეთ. როგორც უკვე მოგახსენეთ, სამწუხაროდ დიდი აქტივობა ამ კუთხით წელს არ ყოფილა და 2018 წლის იანვრიდან დღემდე, პროგრამის ფარგლებში, მხოლოდ ერთი პროექტი დაფინანსდა, გახარჯულმა თანხამ შეადგინა 8 950ლარი შეადგინა.

სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის პროგრამა.

2018 წელს პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 6 000 ლარს. პროგრამის სამიზნე ჯგუფია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, კერძოდ, კი მინდობითი აღზრდიდან და მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო, ამორიცხული ის ახალგაზრდები, რომელთაც სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში, სულ მცირე 2 წელი მაინც გაატარეს. პროგრამა განკუთვნილია 18-24 წლის ახალგაზრდებისათვის.

მოკლედ შევეხები დანარჩენ პროგრამებსაც, რადგან ქალაქის ბიუჯეტის საკმაოდ დიდი ნაწილი, სწორედ სოციალურ პროგრამებზე იხარჯება, მიმაჩნია, რომ ინფორმაცია ამ სერვისების შესახებ, თითოეულ რუსთაველს უნდა ჰქონდეს.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სასმელი წყლის გადასახადზე შეღავათის დაწესების პროგრამა.

პროგრამის მიზანია, 0-დან 57000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, რუსთავში მცხოვრები, ან რეგისტრირებული ოჯახებისთვის სასმელი წყლის გადასახადის დაფარვა, სულზე არაუმეტეს 3 ლარის ოდენობით. მოგეხსენებათ, არცთუ ისე სახარბიელო სოციალური ფონიდან გამომდინარე, კომუნალური გადასახადების დაფარვას, სოციალურად დაუცველი ბევრი ოჯახი ვერ ახერხებს. რა თქმა უნდა, ამით მათ გადასახადების პრობლემას მთლიანად ვერ ვუხსნით, მაგრამ მცირედით დახმარებას მაინც ვახერხებთ. მიმდინარე წელს, პროგრამის ბიუჯეტი 120.000 ლარითაა განსაზღვრული. 2018 წლის იანვრიდან დღემდე, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 11,066 ბენეფიციარს მოვემსახურეთ და 9 თვის განმავლობაში პროგრამის დაფინანსებაზე, ბიუჯეტიდან 43,126 ლარია დახარჯული

რუსთავის მერია აფინანსებს სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მუნიციპალურ ტრანსპორტზე შეღავათის დაწესების პროგრამასაც.

პროგრამის მიზანია, რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული, 0-დან 150 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების, მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის თანხის დაფინანსება. წელს პროგრამის ბიუჯეტი 230,000 ლარს შეადგენს. 2018 წლის იანვრიდან დღემდე კი, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 280,420 ტრანზაქციაა განხორციელებული და გახარჯული თანხა, კი 125 536 40 ლარია.

მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილებას ვუფინანსებთ ვეტერანებსაც. პროგრამის მიზანია, რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) ვეტერანების მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის თანხის დაფინანსება.

2018 წელს პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 27,000 ლარს. 2018 წლის იანვრიდან დღემდე, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელებულია 38,763 ტრანზაქცია. გახარჯულმა თანხამ კი, 17 148 80 ლარი შეადგინა.

მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის თანხას ვუხდით ზოგიერთი ა(ა)იპ-ის და სსიპ-ის თანამშრომლებსაც. გაუგებარი რომ არ იყოს, თუ რატომ ვაფინანსებთ დასაქმებული ადამიანების მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურს, აქვე განვმარტავ, რომ პროგრამით სარგებლობენ ისეთი ა(ა) იპ-ების და სსიპ-ების თანამშრომლები, რომელთა შრომითი ანაზღაურება საკმაოდ დაბალია. საუბარია: ა(ა) იპ ,,რუსთავ სერვისცენტრის“ თანამშრომლებზე, მეეზოვეებზე და დამლაგებლებზე, რომელთა შრომაც, პირველ რიგში უნდა ფასდებოდეს, მუსიკის მასწავლებლებზე, ბაგა-ბაღების პედაგოგებზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც ტოტალურ შრომას ეწევიან და მათი საქმიანობა სათანადოდ არაა დაფასებული. 2018 წელს პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 80,000 ლარს. 2018 წლის იანვრიდან დღემდე, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 140,995 ტრანზაქცია. გახარჯულმა თანხამ შეადგინა 64 604 40 ლარი.

ბიუჯეტიდან ფინანსდება მუნიციპალური ტრანსპორტის გადასახადი შშმ პირებისთვისაც.

ეს პროგრამა, ვფიქრობ განმარტებას არ საჭიროებს. პროგრამით სარგებლობენ უსინათლო რუსთაველი შშმ პირები. 2018 წელს პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 5,000 ლარს. 2018 წლის

იანვრიდან დღემდე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 6,770 ტრანზაქცია. გახარჯულმა თანხამ შეადგინა 3 252 40 ლარი.

ვეტერანების სოციალური დახმარების პროგრამა

პროგრამის მიზანი, საქართველოს ტერიტორიულიო მთლიანობისთვის მომხდარი საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლების და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების ოჯახებისთვის, ელექტრო- ენერგიის და ბუნებრივი აირის გადასახადის დაფარვაა. წლის განმავლობაში, თითოეული ასეთი ოჯახისთვის გასაღები თანხის მაქსიმუმი, ოჯახზე 500 ლარითაა განსაზღვრული. ვფიქრობ, ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ამ ოჯახებს ჩვენი ქვეყნისთვის აქვთ გაღებული და ამიტომ, განსაკუთრებულ განმარტებებს ამ პროგრამაზე აღარ გავაკეთებ. პროგრამის ბიუჯეტი 32,500 ლარია. 2018 წლის იანვრიდან დღემდე, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 57 ბენეფიციარს მოვემსახურეთ, გახარჯულმა თანხამ, კი 20,025,89 ლარი შეადგინა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების დასახმარებლადაა განსაზღვრული შემდეგი პროგრამაც, საუბარია, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში , 2004 წელს შიდა ქრთლში მომხდარი საბრძოლო ოპერაციბის და სამშვიდობო მისიების დროს დაღუპულ რუსთაველ ჯარისკაცთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამაზე. ასეთი სულ 12 ოჯახი გვყავს რუსთავში. პროგრამის ბიუჯეტი 5,500 ლარს შეადგენს, პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს 6,000 ლარია დახარჯული.

ცალკე გვაქვს გამოყოფილი აგვისტოს ომის და შიდა ქართლის კონფლიქტის გარდა მომხდარი სამხედრო დაპირისპირებების დროს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამისთვის წელს 9, 750 ლარი გავითვალისწინეთ და მის ფარგლებში, 65 ასეთ ოჯახს გავუწიეთ დახმარება. 9 თვის განმავლობაში დახარჯულმა თანხამ, 9,750 ლარი უკვე შეადგინა.

ერთჯერად მატერიალურ დახმარებას ვუწევთ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებსაც. პროგრამის ბიუჯეტი წელს 9000 ლარია. სულ რუსთავში მეორე მსოფლიო ომის 13 ვეტერანი და ვეტერანებთან გათანაბრებული 47 ადამიანი ცხოვრობს. პროგრამის ფარგლებში, მათთვის გაღებულმა თანხამ, 9 თვეში 5,710 ლარი შეადგინა.

ისევ კომუნალური გადასახადების დაფარვის საჭიროებას დავუბრუნდები და გეტყვით, რომ რუსთავის მერია კომუნალურ გადასახადებს უხდის მინდობით ოჯახებსაც.

მინდობითი ოჯახების კომუნალური გადასახადების დაფარვის პროგრამა

პროგრამის მიზანი, მინდობითი ოჯახების (35 ოჯახი) კომუნალური დავალიანებების (ელ-ენერგია, ბუნებრივი აირი) დაფარვაა, ოჯახზე არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით.

2017 წელს პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 17,500 ლარს, 2018 წლის იანვრიდან დღემდე, კი აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 171 ბენეფიციარს გავუწიეთ დახმარება და გახარჯულმა თანხამ შეადგინა 10,796,01 ლარი.

კომუნალური გადასახადების, კერძოდ, კი ელ-ენერგიის და ბუნებრივი აირის გადასახადზე შეღავათის გაწევას ითვალისწინებს შემდეგი პროგრამაც, რომელსაც ახლა შევეხები და ესაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამა, რომლის მიხედვითაც, რუსთავში რეგისტრირებულ და მცხოვრებ უსინათლო მოქალაქეებს, გაზის და ელექტრო ენერგიის დანახარჯის საფასურს ვუხდით. სულ რუსთავში ჯანმრთელობის ამ პრობლემის მქონე 195 ბენეფიციარი გვყავს, პროგრამის ბიუჯეტი 93,600 ლარია და უკვე დახარჯულმა თანხამ 24, 505,04 ლარი შეადგინა.

გვაქვს უხუცესთა დახმარების პროგრამაც, რომელიც ასი და ას წელს გადაცილებული რუსთაველებისთვის წელიწადში ერთხელ 300 ლარით დახმარებას გულისხმობს. სულ რუსთავში ასეთი 5 უხუცესი გვყავს და ძალიან ბედნიერები ვიქნებით, თუ მათი რიცხვი გაიზრდება. პროგრამის ბიუჯეტი 1500 ლარით იყო განსაზღვრული და ფულადი საჩუქარი მერიისგან, ოთხმა მათგანმა უკვე მიიღო.

გვაქვს სოციალური ღონისძიებების პროგრამაც. პროგრამის მიზანი, სხვადასხვა საჭიროების მქონე რუსთაველებისთვის, სადღესასწაულო დღეებში საჩუქრების და ტკბილეულის შეძენაა. მოგეხსენებათ, სამწუხაროდ, რუსთავში ბევრია ისეთი ოჯახი, ვისთვისაც ეს მომსახურება მნიშვნელოვანია. 2018 წელს პროგრამის დასაფინანსებლად 30,755 ლარი გავითვალისწინეთ და ამ მიზნით დახარჯულმა თანხამ 17,787,92 ლარი უკვე შეადგინა.

კიდევ ორი სოციალური პროგრამა, რომელსაც შევეხები არის **სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო(დაკრძალვის)ხარჯების დაფარვის პროგრამა**

წელს პროგრამის ბიუჯეტი 9,000 ლარით განისაზღვრა და ჩვენდა სამწუხაროდ, 2,700 ლარი უკვე დახარჯულია. და ბოლოს, ქალაქ რუსთავში აღმოჩენილ არაიდენტიფიცირებად ან იდენტიფიცირებად პირთა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების დაფარვის პროგრამა, ამ მიზნით, ბიუჯეტში 2100 ლარის გათვალისწინება მოხდა და საბედნიეროდ, ჯერჯერობით, მხოლოდ 150 ლარია დახარჯული.

ეს იყო სულ, რაც სოციალური პროგრამების შესახებ მინდოდა მეთქვა, თუმცა, ანგარიშს ისევ სოციალური თემით გავაგრძელებ.

ყველა რუსთაველმა იცის, რომ თბილისის ქუჩაზე, ერთი ძალიან თბილი სახლი **გვაქვს, ეს სახლი ხანდაზმულთა მუნიციპალური თავშესაფარია.** თავშესაფარში დღეისთვის 50 უსაყვარლესი მოხუცი ცხოვრობს. მოხუცთა სახლი მერიის დაფუძნებული ა(ა)იპ-ია და მისი ვალდებულება, ამ ხანდაზმული ადამიანებისთვის კომფორტული გარემოს შექმნაა. ამ სახლის ხშირი სტუმრები ვართ, მის თითოეულ მცხოვრებს პირადად ვიცნობთ და მართლა ვცდილობთ, რომ ღირსეული მოხუცებულობა გავატარებინოთ. **პროგრამის მიზანია,** ქსენონში მცხოვრები ხანდაზმულების პატრონობა, მათი სამედიცინო, სანიტარულ-ჰიგიენური და სოციალური მომსახურება. ამ მიზნით რუსთავის ბიუჯეტიდან, 2018 წელს გამოყოფილია 380 400 ლარი. აქედან, სამეურნეო საქონლის, ჯანმრთელობის, კვების და სან-ჰიგიენური მომსახურებისათვის - 163 980 ლარი. ქსენონში სულ 35 თანამშრომელია დასაქმებული. მათი შრომის ანაზღაურება შეადგენს 216 420 ლარს.

მერიის დაფინანსებით წელს გადაიხურა მოხუცებულთა სახლის ერთი საცხოვრებელი და ადმინისტრაციული კორპუსი.

მიმდინარე წლის 9 თვეში, უშუალოდ ჩვენი და რიგითი რუსთაველების მონაწილეობით, ჩატარდა ოცდაათამდე სხვადასხვა სახის ღონისძიება, რითაც შევეცადეთ, მორალური მხარდაჭერა გვეგრძნობინებინა მათთვის და ცენტრის მცხოვრები ხანდაზმული ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის შეგვეწყო ხელი.

სოციალურ სფეროს განეკუთვნება და ვფიქრობ, რომ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა ა(ა)იპ-ი, რომელზეც ახლა მოგახსენებთ. საუბარია **„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრზე.“**

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი მომსახურებას უწევს 0-დან 33 წლამდე ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემის მქონე შშმ პირებს: გონებრივი ჩამორჩენა ბავშვთა ცერებრალური დამბლა (ბ.ც.დ) დაუნის სინდრომი, აუტიზმი, განვითარების ეტაპების დაყოვნება, ეპილეფსია.

2017 წლის ნოემბერში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“-ს პროგრამებით სარგებლობდა 147 ბენეფიციარი და 60 სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელი.

ცენტრის ბენეფიციარები სარგებლობენ შემდეგი პროგრამებით: ადრეული განვითარების და ოჯახის მხარდაჭერის პროგრამა, სკოლამდელი ინკლუზიური განათლებისათვის მოსამზადებელი პროგრამა, დღის ცენტრის პროგრამა, შრომითი თერაპიის პროგრამა, ინდივიდუალური მომსახურების პროგრამა.

ბენეფიციარები, მათი ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით სწავლობენ:

რელიგიის ისტორიას, კომპიუტერულ უნარ- ჩვევებს.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრში“ ფუნქციონირებს სამედიცინო და ფიზიკური რეაბილიტაციის, ფსიქოლოგიური და ლოგოპედიური კაბინეტები .

მნიშვნელოვანია, რომ თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერიის დაფინანსებით, შშმ პირთა ცენტრში, სკოლამდელი ასაკის ინკლუზიური განათლების ჯგუფში, ძიძის დამხმარედ და მზარეულის თანაშემწედ, დასაქმებულნი არიან ცენტრის ყოფილი ბენეფიციარები.

ცენტრში ასევე ხორციელდება, წინა წლებში გერმანელი პარტნიორების (აღმოსავლეთ ევროპის საპროექტო ჯგუფი) დახმარებით დანერგილი საცხობისა (ჩართულია 4 ბენეფიციარი) და სამრეცხაოს (ჩართულია 2 ბენეფიციარი) პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს ბენეფიციარებს, შრომითი უნარ-ჩვევების შეძენასა და განვითარებაში.

 გასული წლის ნოემბრიდან დღემდე, ცენტრში ჩატარდა ორმოცამდე სხვადასხვა სახის ღონისძიება, რომლებიც ხელს უწყობდნენ ბენეფიციართა მორალურ მხარდაჭერასა და მათ ინტეგრაციას გარემომცველ საზოგადოებასთან.

,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“-ს პროგრამებით ამჟამად სარგებლობს 155 ბენეფიციარი და 60 სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელი.

ადრეული განვითარების და ოჯახის მხარდაჭერის პროგრამა - 39 ბენეფიციარი

სკოლამდელი ინკლუზიური განათლებისათვის მოსამზადებელი პროგრამა - 15 ბენეფიციარი

სკოლამდელი ინკლუზიური განათლების პროგრამა - 13 ბენეფიციარი

დღის ცენტრის პროგრამა - 25 ბენეფიციარი

შრომითი თერაპიის პროგრამა - 22 ბენეფიციარი

ინდივიდუალური მომსახურების პროგრამა - 41 ბენეფიციარი

ბენეფიციართა რაოდენობა განვითარების დარღვევების მიხედვით:

ბ.ც.დ - 22 ბენეფიციარი

გონებრივი ჩამორჩენა - 20 ბენეფიციარი

ფსიქო-მოტორული განვითარების შეფერხება - 37 ბენეფიციარი

განვითარების ეტაპების დაყოვნება - 29 ბენეფიციარი

აუტიზმი და აუტისტური სპექტრი - 14 ბენეფიციარი

განვითარების ზოგადი აშლილობა და ქცევითი აშლილობები - 14 ბენეფიციარი

ჰიპერაქტიობა და ყურადღების დეფიციტი - 4 ბენეფიციარი

დაუნის სინდრომი - 7 ბენეფიციარი

სმენაჩლუნგობა - 8 ბენეფიციარი

კიდევ ერთი ა(ა) იპ-ი, რომელიც რუსთაველების ჯანმრთელობაზე ზრუნვის მიზნით არის შექმნილი, **ააიპ საზოგადოებრივი ჯანმრთერთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრია.**

ა(ა)იპ ქ.რუსთავის საზოგადოებრივი და ჯამრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი ახორციელებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალურ პროგრამას და ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამასაც.

2017 წლიდან დღემდე, შიდა კოორდინაციის და ეფექტური მუშაობის განხორციელების მიზნით, შეიცვალა და დაიხვეწა სამსახურის სტრუქტურა. ტრადიციად ვაქციეთ, პრეზენტაციის წარდგენა გაწეული სამუშაოს შესახებ კვარტალურად და მონაცემთა ერთობლივი ანალიზი და შეფასება.

ქალაქის ტერიტორიაზე, დასრულდა საცხოვრებელი კორპუსების ბუნკერების დალუქვა, რამაც გააადვილა სადერატიზაციო ღონისძიების ჩატარება, საგრძნობლად შეამცირა მღრღნელების რაოდენობა ქალაქში და მათ მიერ ინფექციური დაავადებების გადატანის რისკი.

გასუფთავდა და წყალი გაიშვა მარის არხში, რამაც შეამცირა მალარიის საფრთხე, რადგან მარის არხი აღრიცხულია როგორც ყველაზე რთული მალარიოგენური უბანი.

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში, ცენტრმა შეიმუშავა კითხვარი, საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტებში ინფექციური კონტროლის მიმართულებით არსებული ვითარების შეფასებისთვის და დამტკიცებული იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმაც.

პირველად - 2018 წლიდან:

გამომდინარე იქედან, რომ რუსთავის ტერიტორიაზე განთავსებულია ბევრი საწარმო, რომელიც მავნე ზეგავლენას ახდენს გარემო პირობებზე, საზოგადოებრივი ჯან. დაცვის ცენტრმა, მუშაობა დაიწყო გარემოს მდგომარეობის და მათზე მავნე ზეგავლენის მქონე ფაქტორებზე ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის კუთხით. დამყარდა მჭიდრო თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროსთან და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოებთან. სამუშაო კომუნიკაცია დამყარდა დაახლოებით 20 საწარმოსთან. აქტიურად ვმუშაობთ, ადამიანების ჯანმრთელობაზე გარემოს მავნე ზემოქმედების შემცირების და ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლის შემცირების კუთხით.

ეს იყო, რაც რუსთავის მერიის მიერ, სოციალური კუთხით დაფინანსებული პროგრამების, თუ ა(ა)იპ-ების შესახებ შეიძლებოდა მოკლედ თქმულიყო. სოციალური სფეროს კიდევ უფრო გასავითარებლად და ჩვენი თანამოქალაქეების საჭიროებებზე მოსარგებად ახალ სოციალურ პროგრამებზეც ვმუშაობთ.

ა(ა)იპ ,,რუსთავის სახელოვნებო, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“

2018 წლის 9 თებერვალს, რეორგანიზაციის შედეგად, განხორციელდა სამი არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის შერწყმა - გაერთიანება:

1. ქ. რუსთავის სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრის

2. ქ. რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრის

3. ქ. რუსთავის ახალგაზრდობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის

შედეგად, ჩამოყალიბდა ქ. რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი.

რეორგანიზაციის შედეგად, შესაძლებელი გახდა, კადრების ოპტიმიზაცია, სახელოვნებო, სპორტის და ახალგაზრდობის მიმართულებით დაბალანსებული პროგრამების

შექმნა, ფინანსების ეფექტური და მიზნობრივი ხარჯვა, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, ხელოვნების, სპორტის და ახალგაზრდობის სფეროების ერთმანეთთან დაკავშირება და ამ გზით არსებული რესურსების მაქსიმალური ათვისება. ცენტრში დასაქმებულია 542 ადამიანი, რომელთაგან უმრავლესობა სახელოვნებო და სპორტის დეპარტამენტების თანამშრომლები არიან. კერძოდ: სამუსიკო სკოლის პედაგოგი - 150 პედაგოგი, სპორტული სექციების მწვრთნელ-მასწავლებელი - 74, სხვადასხვა მუსიკალურ ანსამბლებში გაერთიანებული 88 მუსიკოსი.

რეორგანიზაციის შემდეგ ჩამოყალიბდა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა და ცენტრი დაიყო შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებად - დეპარტამენტებად:

ოპერაციული მართვის დეპარტამენტი - ახორციელებს ცენტრის სამართლებლივ, ლოჯისტიკურ და ზედამხედველობით უზრუნველყოფას

სახელოვნებო დეპარტამენტი - ზედამხედველობას უწევს სახელოვნებო განათლებას და სხვა კულტურულ ღონისძიებებს

სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტი - მუშაობს სპორტის, როგორც პროფესიული, ასევე სამოყვარულო მიმართულებით და ახალგაზრდობის კუთხით ორგანიზებას უწევს სხვადასხვა ღონისძიებებს.

სტრუქტურიდან გამომდინარე შესაძლებელი გახდა შრომის დანაწილება, თითოეული დეპარტამენტის ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული.

პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა მოკლევადიანი მიზნები, იმ პრობლემების აღმოსაფხვრელად, რაც ხელს უშლიდა ცენტრის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულებას სწორედ ამიტომ, უპირველეს მიზნად განისაზღვრა ცენტრის ლოჯისტიკის განვითარება, რადგანაც ცენტრი პასუხისმგებელია ქალაქ რუსთავში კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზებაზე.

აქტიურად მიმდინარეობს ზრუნვა ცენტრის ლოჯისტიკური ნაწილის გაძლიერებაზე, კერძოდ, განხორციელდა შემდეგი ტიპის შესყიდვები: აუდიო აპარატურა საქალაქო ღონისძიებებისთვის - (40 000 ლარი) - ქალაქს აღარ მოუწევს გახმოვანების აპარატურის ქირაობა ღონისძიებებისთვის და ამ კუთხით დაზოგილი თანხა ღონისძიებებს მოხმარდება, ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარის შეძენა - (15 000 ლარი)- ტენტი, მაგიდები, სკამები და სხვა მცირეფასიანი ელექტრო ტექნიკა, საოფისე ტექნიკა - კომპიუტერები და საბეჭდი მოწყობილობები - რაც ხელს უწყობს ცენტრის დაქვემდებარებაში არსებული სახელოვნებო და სპორტული ფილიალების ეფექტურ ფუნქციონირებას. ცენტრის ინფრასტრუქტურაში, სრულად ჩანაცვლდა სანათი მოწყობილობები თანამედროვე ეკონომიური დიოდური განათებებით, რამაც ელ. ენერგიის მოხმარება შეამცირა 10% - ით. 2018 წლის ბოლომდე დაგეგმილია განათების აპარატურის შეძენაც. გარდა ამისა, განხორციელდა შემდეგი სახის შესყიდვები: გაფორმებულია 383858 ლარის შესყიდვის ხელშეკრულება, ფაქტიურად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 354550 ლარი - მათ შორის:

ხელოვნება: 200700

სპორტი: 31700

ახალგაზრდობა: 15500

ცენტრი წარმატებით ახორციელებს ქალაქში კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებებს, რისი მთავარი წინაპირობაც საზოგადოებასთან და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან მჭიდრო კომუნიკაციაა - 2018 წლის განმავლობაში, თითქმის ყველა ღონისძიების დაგეგმვაში ჩართული იყვნენ სხვადასხვა ჯგუფები, რამაც შესაძლებლობა მოგვცა, უფრო მეტად ჩაგვერთო საზოგადოება ღონისძიებებში. შედეგად მივიღეთ უპრეცედენტო რუსთავქალაქობა, რომელსაც ასევე უპრეცედენტო აუდიტორია - დაახლოებით 30000 ადამიანი ესწრებოდა.

ღონისძიებების ჩამონათვალი კი ასეთია:

კულტურული ღონისძიებები:

1-5 იანვარი - საახალწლო სპექტაკლი

19 იანვარი - რუსთავის დაარსებიდან 70 - ე საიუბილეო წლის გახსნის ცერემონიალი

დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი

9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება

30 აპრილი - საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალის დახურვა

5 მაისი - საქართველოს სახელმწიფო სიმფონიეტას კონცერტი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

ბავშვთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე

სამუსიკო სკოლების გაერთიანებული კონცერტი („კლასიკური გაზაფხული“)

რუსთავქალაქობა-- 2018

დაფინანსდა რუსთაველი მხატვრების 15 ზე მეტი გამოფენა

აქვე, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ წელს რუსთავს 70 წელი შეუსრულდა. 2018 წლის იანვარში შესრულდა ზუსტად 70 წელი იმ დღიდან, რაც რუსთავს ოფიციალურად მიენიჭა ქალაქის სტატუსი და ყველა ის ღონისძიება, რომელიც წელს გავმართეთ, სწორედ ამ თარიღს დავუკავშირეთ. მასშტაბური გამოგვივიდა რუსთავქალაქობის დღესასწაული, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა და ყველაზე მეტად გამორჩეული იყო იმით, რომ დღესასწაული ქალაქის ყველა უბანში იგრძნობოდა. ანუ ეს არ იყო ტრადიციული

ერთდღიანი ღონისძიება, როცა ყველაფერი ქალაქის ერთ ცენტრალურ მოედანზეა თავმოყრილი. ძალიან საინტერესო და თბილი გამოვიდა ძველ რუსთაველებთან შეხვედრა, ,,არკაზე", სადაც მაქსიმალურად შევეცადეთ, რომ არ გამოგვრჩენოდა არცერთი ღვაწლმოსილი, ძველი რუსთაველი. ქალაქის სამივე თაობა შევიკრიბეთ და ერთად ვიზეიმეთ რუსთავის იუბილე. ძალიან ხალისიანი და ახალგაზრდებისთვის საინტერესო აღმოჩნდა ფერების ფესტივალი და არ შეიძლება არ აღვნიშნო ჯგუფ ,,რეგიონის" კონცერტი, სადაც მთელი რუსთავის ახალგაზრდობა იყო თავშეყრილი. ულამაზესი იყო ეთნოფესტივალიც რუსთავის პარკში, სადაც რუსთაველებთან ერთად, ჩვენი ქალაქის 10 დამეგობრებული ქალაქიდან ჩამოსული სტუმრებიც გვყავდა. ვფიქრობთ, რომ წლევანდელი რუსთავქალაქობა რუსთაველებსაც მოეწონათ და სამომავლოდ, კიდევ ერთხელ მინდა ვთხოვო მათ, რომ ითანამშრომლონ ჩვენთან, რადგან მათი იდეები ჩვენთვის ძალიან საინტერესოა.

სახელოვნებო განათლება:

სახელოვნებო გაერთიანების სამუსიკო სკოლებში, ირიცხება 1400 მოსწავლე, ხოლო სამხატვრო სკოლაში, კი 90 მოსწავლე. მიმდინარეობს ახალ სასწავლო პროგრამებზე მუშაობა, რომელთა ამოქმედებასაც 2019-2020 სასწავლო წლისთვის ვგეგმავთ.

2019 წლის იანვრიდან, სამუსიკო სკოლებს დაემატება თანამედროვე მუსიკის განყოფილება, რითაც მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობა გაიღრმაონ ცოდნა მუსიკის ისეთი ჟანრების მიმართულებით, როგორიცაა: ჯაზი, ბლუზი, როკი, ელექტრონული მუსიკა და ა.შ.

სამხატვრო სკოლაში 2018 წლის დეკემბრიდან გაიხსნება განახლებული საგამოფენო დარბაზი, რომლის რეაბილიტაციაც, პროფესიული გადამზადების ცენტრის „მოდუსი" მხარდაჭერით შევძელით.

სპორტული ღონისძიებები:

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ო. ხმელიძის სახელობის მეშვიდე საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის პეტრე ჯაოშვილის 80 წლისადმი მიძღვნილი ტურნირი

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა: მინი ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, გეზრბენი

გიკო მაისურაძის ხსოვნის ტურნირი ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში

ომარ გუგეშაშვილის სახელობის ტურნირი ბერძნულ- რომაულ ჭიდაობაში

საქართველოს ღია პირველობა კანოე კაიაკში

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, პეტრე ჯიოშვილის 80 წლისადმი მიძღვნილი ტურნირი

საქართველოს ჩემპიონატი კრივში

ფეხბურთის ჩემპიონატი ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტებს შორის

სპორტული სექციები:

ცენტრში ფუნქციონირებს სპორტული სექციები სპორტის 23 სახეობის მიმართულებით, სადაც 1600 მდე სპორტსმენი - მოსწავლე ირიცხება.

ცენტრი სრულად აფინანსებს სპორტსმენ მოსწავლეთა ღონისძიებებში მონაწილეობას - ტრანსპორტის, საცხოვრისის და კვების უზრუნველყოფით, რაზეც 59125 ლარია დახარჯული.

სპორტსმენ - მოსწავლეთა ჩემპიონატებში სამონაწილეო გადასახადმა 13184 ლარი შეადგინა.

ცენტრი ახდენს წარმატებული რუსთაველი სპორტსმენების სტიპენდირებას, რაზეც 2018 წლის განმავლობაში 26850 ლარი დაიხარჯა, ამასთან უნდა ითქვას, რომ ივლისის თვიდან, ოლიმპიური სპორტის სახეობების მიმართულებით, სტიპენდია თითქმის გაორმაგდა.

რუსთაველი სპორტსმენების საზღვარგარეთ მივლინებაში, კი დაიხარჯა 6700 ლარი.

სპორტული მიღწევები:

მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან წარმატებულები ვართ ამ კუთხით, რადგან გვყავს ისეთი სპორტსმენები, რომელთა წარმატებებით, ნებისმიერი ქალაქი იამაყებდა. ამ მონდომების და თავდადებისთვის დიდ მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს. წლის განმავლობაში გამართულ ასპარეზობებზე 161 პირველი ადგილის, 100 მე-2 ადგილის და 109 მესამე ადგილის მფლობელი სპორტსმენი გვყავს. გიორგი მელიქიშვილი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონია მკლავჭიდში, ლაშა გურული, რომელმაც ევროპის პირველობა მოიპოვა კრივში და ბექა გურული, რომელიც მესამე ადგილის მფლობელია ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლე:

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე სხვადასხვა საგანმანათლებლო სექციებით გვაქვს დატვირთული. ამ სექციებში, სასახლის სერვისებით 300-ზე მეტი ბავშვი სარგებლობს.

ცენტრში მუშაობს: ქართული ენის და ლიტერატურის, რუსული ენის და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკა-ქიმიის, ფრანგული ენისა და ლიტერატურის, ხალხური სიმღერის, ცეკვის, ხალხური საკრავების შემსწავლელი, ხატვის, ინგლისური ენის და ლიტერატურის, ჭადრაკის, ჟურნალისტიკის სასწავლო სექციები.

2018 წლის სექტემბრიდან ხორციელდება ცენტრის მომხმარებელთა ელექტრონული რეგისტრაცია, რაც სტატისტიკური მონაცემების მუდმივი განახლების შესაძლებლობას გვაძლევს. ელექტრონული რეგისტრაცია იძლევა საშუალებას შევქმნათ ფასდაკლების სისტემაც სხვადასხვა სექციების მოსწავლეთათვის: მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, სოციალურად დაუცველთათვის, წარმატებული მოსწავლეებისთვის და ასე შემდეგ.

2019 წლის იანვრიდან შესაძლებელი გახდება მოსწავლეთა ელექტრონული რეგისტრაცია ონლაინ რეჟიმშიც.

2019 წლის იანვრიდან სხვადასხვა სექციებში რეგისტრირებული მოსწავლეები, სწავლის გადასახადის გადახდას ონლაინ რეჟიმშიც შეძლებენ, რაც ვფიქრობთ, დამატებითი კომფორტი იქნება მოქალაქეებისთვის.

ეს იყო მოკლედ, რისი თქმაც შეიძლებოდა აღნიშნილი ა(ა) იპ-ის საქმიანობის შესახებ. მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს იმისთვის, რომ რუსთავის 70 წლისთავის ღონისძიებები და ამ თარიღის მნიშვნელობა, ყველა რუსთაველამდე მიიტანეს.

ა(ა) იპ ,,სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის“ მიერ, მიმდინარე წლის განმავლობაში გაწეული ხარჯის შესახებ ინფორმაციას, ანგარიშის ფინანსურ ნაწილში წარმოგიდგენთ.

ა (ა) იპ ბაგა-ბაღების გაერთიანება

ახლა კი, ჩვენი ქალაქისთვის, ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემაზე -- საბავშვო ბაღებში არსებული მდგომარეობის განხილვაზე გადავალ. ეს სფერო ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი შვილები, განათლების პირველ საფეხურს, სწორედ აქ გადიან. წლის დასაწყისში, ბაღების გაერთიანების პროექტის ფარგლებში, მე პირადად შემოვიარე ქალაქში არსებული ყველა ფილიალი. მოსახლეობის მხრიდან, ამას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა, რადგან ვიღაცას შესაძლოა მიაჩნია, რომ ქალაქის მერს ამისთვის არ უნდა ეცალოს, მაგრამ მე სხვაგვარად ვფიქრობ, რადგან თუ ამ ბავშვებს, ბაღის ასაკიდან არ დავუთმობთ მაქსიმალურ ყურადღებას, სასკოლო ასაკშიც კი, უკვე დაგვიანებული იქნება მათთვის სწორი მიმართულების მიცემის მცდელობა.

ა.(ა)ი.პ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა ბაღების გაერთიანების ანგარიში

2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის სექტემბრის ჩათვლით

საბუღალტრო- ფინანსური სამსახური

ა.(ა)ი.პ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა ბაღების გაერთიანების“ ბიუჯეტის ასიგნება 2017 წლის 1 ნოემრიდან 2018 წლის სექტემბრის ჩათვლით შეადგენს;

სულ ხარჯი-5466495 ლარი

ხარჯები-**5446138 ლარი**

შრომის ანაზღაურება-**3489879 ლარი**

ხელფასი-**3489879 ლარი**

თანამდებობრივი სარგო-**3372710 ლარი**

შტატგარეშე მომსახურება-**33513 ლარი**

ოფისის ხარჯი სულ- 671730 ლარი

კომუნალური მომსახურება-**329160 ლარი**

კვების ხარჯი -982560 ლარი

სამედიცინო ხარჯი-დეზინფექცია-6409 ლარი

რბილი ინვენტარი უნიფორმა(ლეიბი, საბნები, ფარდა-ჟალუზები, ხალათები)-**72472 ლარი**

ტრანსპორტის ხარჯი-2262 ლარი

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

წლის განმავლობაში ბაღების გაერთიანებამ შეიძინა სხვადასხვა სახის სასწავლო ნივთები, მეთოდური ლიტერატურა, საკანცელარიო სახატავი ფურცლები, სახატავი ფანქრები, ფუნჯები და ასე შემდეგ. ჩაატარა წყლის მიკრობიოლოგიური კვლევაც ჯამში ყველაფერ ზემოთაღნიშნულში **149855 ლარი დაიხარჯა.**

სოციალურ დახმარებაში დახარჯულია (დრ. შრ. უუნარობის პერიოდის) **35814 ლარი**

დასუფთავების მოსაკრებელში გადახდილია 5156 ლარი

ძირითადი აქტივობების შეძენაში დაიხარჯა (მაცივარი კომპიუტერი სტელაჟი)-**1520 ლარი**

ინფრასტრუქტურა

2018 წლის დასაწყისიდან დღემდე, ოფისისათვის საჭირო საგნებსა და მასალებში ბაღების გაერთიანებას დახარჯული აქვს **36728.55 ლარი.**

აქედან, ყველაზე მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს კარ-ფანჯრების შეცვლა #22 და #32 ფილიალებში, რაც ჯამში **4770.92** ლარი დაჯდა, შეიძინეს ცეცხლის ჩამქრობი მოწყობილობები **(5537,2ლარი)**, შეკეთდა სახურავები# 6 ბაგა-ბაღში (**3975,14 ლარი)** ასევე, N33 ფილიალის სამზარეულოს ჭერისა და N 20 ფილიალის სამზარეულოს მოწყობის პროექტები. (**600 ლარი)**

სხვადასხვა ინფრასტრუქტურული საჭიროებებისთვის დაიხარჯა 20 443, 44 ლარი.

კვებისა და სანიტარული ნორმების ინსპექტირების განყოფილება და ხარისხის კონტროლი:

გასული წლის ნოემბრიდან დღემდე, ორჯერ გამოცხადდა კვების პროდუქტების ტენდერი. ათდღიანი მენიუ-მოთხოვნილების მიხედვით, სულ მენიუში არის **36** დასახელების პროდუქტი. ჩატარებულია **28** ტენდერი და კვების ერთი გამარტივებული შესყიდვა. ყველა დასახელების პროდუქტზე, მოთხოვნის შესაბამისად, წარმოდგენილია სერთიფიკატი და ლაბორატორიული კვლევის ოქმი, რითაც დასტურდება პროდუქტის ხარისხიანობა.

ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, გამოვლინდა კომპანია, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ახორციელებს სადეზინფექციო და სადერატიზაციო სამუშაოებს.

შეძენილია სხვადასხვა დასახელების ჰიგიენური საშუალებებიც. სხვადასხვა ფილიალებისთვის ნაყიდია: საოჯახო ტექნიკა, ბოსტნეულისა და ხორცის გადასამუშავებელი კომბაინები, მაცივრები და გაზქურა.

ამ პერიოდს ემთხვევა N 10 ფილიალის გახსნაც. მოგეხსენებათ, მე-10 ბაღის ფილიალის მშენებლობა 2017 წელს დაიწყო და წელს დასრულდა. ბაღის ახალი შენობა მთლიანად აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს.

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში, ჩატარდა სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური კვლევაც.

ფილიალების მონიტორინგი ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება და თითოეულ მათგანში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, უმკაცრეს კონტროლზეა აყვანილი. ასევე, ყოველდღიურად მოწმდება კვების კალორაჟიც, პროდუქტის შენახვის პირობები და მიღებული პროდუქტის ხარისხიც.

რუსთავის მოსახლეობისთვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქალაქში არსებული 21 ფილიალი ვერ უზრუნველყოფს რუსთავში რეგისტრირებული, ბაღის ასაკის ყველა ბავშვის მიღებას. მოგეხსენებათ, ბაღში ბავშვის ჩარიცხვა ელექტრონული რეგისტრაციის გზით ხდება. ამით ჩვენ ბავშვების თანაბარ პირობებში ჩაყენებას უზრუნველვყოფთ. აბსოლუტურად გამორიცხულია ფილიალებში ბავშვების ნაცნობ-მეგობრობით და სხვა საშუალებებით მიღება. წელს რეგისტრაციის გარეშე მივიღეთ 4-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები, რადგან მათ სასკოლო ასაკამდე ერთი წელიღა რჩებოდათ და ვერ დავუშვებდით, რომ სკოლაში მისვლამდე, ბავშვი ბაღში საერთოდ ვერ მოხვედრილიყო. რეგისტრაციის გარეშე იღებს

ბავშვებს ჭყონდიდელის დასახლებაში არსებული ერთადერთი ფილიალიც, რადგან მოგეხსენებათ, ქალაქის ამ უბანში, სოციალური ფონი გაცილებით მძიმეა. გასული წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების შედეგად, წელს 6 სააღმზრდელო ჯგუფის გახსნა შევძელით. ოდნავ შეგვიმსუბუქა მდგომარეობა მე-10 ფილიალის გახსნამაც. პრობლემა შეგვექმნა, მე-8 და 25-ე ბაღებში, სადაც სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, სასწავლო პროცესის შეჩერება დაგვჭირდა, თუმცა მოვახერხეთ და ეს ბავშვები, სხვა ფილიალებში გადავიყვანეთ დროებით. ორივე შენობა გამაგრებას საჭიროებდა. ამ საკითხზე ჩვენ ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის დროსაც ვისაუბრეთ, მაგრამ კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ორივე ფილიალის გამაგრება-რეაბილიტაციის პროექტი უკვე შესყიდული გვაქვს და სამუშაოები უმოკლეს ვადაში დაიწყება.

სამომავლოდ, რუსთავში ბაგა-ბაღების ახალი ფილიალების აშენება აუცილებლად მიმაჩნია, რადგან არ შეიძლება, ქალაქის მერია, ასეთი აუცილებელი სერვისით მოსახლეობის უზრუნველყოფას ვერ ახერხებდეს. საჭირო თანხის მოსაძიებლად ვმუშაობთ დონორ ორგანიზაციებთანაც. ჩვენი ძალებით გამოვათავისუფლეთ და სარეაბილიტაციოდ მოვამზადეთ 2 ჯგუფისთვის საკმარისი ფართი მე-20 და 3 ჯგუფისთვის საჭირო ფართი 36-ე ფილიალების შენობებში. ამას გარდა, სარემონტოდ გამზადებულია ყოფილი 34-ე ბაღის შენობის ნახევარიც, რომლის ერთ ფლიგელშიც, მოხუცებულთა თავშესაფარია განთავსებული.

შემდეგი სამსახური, რომლის მიერ გაწეული სამუშაოს პრეზენტაციასაც ახლა შემოგთავაზებთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ქალაქისთვის, საუბარია ქონების მართვის და ეკონომიკური განვითარების სამსახურზე.

ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში შესრულებული სამუშაო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებად უძრავი ქონების რეგისტრაციისა და რეგისტრირებულ მონაცემებში გატარებული ცვლილებები

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ აქტიურად იმუშავა ახალი მუნიციპალური ქონების წარმოშობის/შექმნის საკითხებზე. კერძოდ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებად უძრავი ქონების რეგისტრაციის, ასევე რეგისტრირებული მონაცემების ცვლილებების ნაწილში, 2018 წლის 1 იანვრიდან დღემდე განხორციელდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ტერიტორიების აზომვითი სამუშაოები 94 136.05 კვ.მ. ფართობზე, ხოლო სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვუნლ სააგენტო“-ში განხორციელდა 70-ზე მეტი ტრანზაქცია, რომლის ფარგლებშიც, ქალაქ რუსთავის მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირდა 113 ერთეული უძრავი ქონება.

დარეგისტრირებული ქონების უმეტესი ნაწილი წარმოადგენს ძირითად განუსხვისებელ ქონებას - ტროტუარები და მწვანე ნარგავები (სატრანსპორტო და სარეკრეაციო ზონები) ჯამური ფართობით: 116 291 კვ.მ. ხოლო, დამატებითი ქონების სახით რეგისტრირებული ტერიტორიის ფართობია: 26 094 კვ.მ. ასევე მოხდა სოციალური საცხოვრისისთვის განკუთვნილ შენობაში, ფართების ინდივიდუალურ ერთეულებად რეგისტრაცია.

სულ 2017 წლის 01 ნოემბრიდან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული ტერიტორია გაიზარდა - 142 385 კვ.მ-ით.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული რეგისტრაციების ფარგლებში:

- 2018 წლის თებერვალში განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებიდან მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემა და დარეგისტრირდა კულტურისა და დასვენების პარკის ნაწილი (წმ.ნინოს ქუჩის მხრიდან), რომლის ფართობი შეადგენს 38284კვ.მ-ს.

- მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირდა 6 ერთეული სტადიონი და მისი მიმდებარე ტერიტორია, შემდგომში ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების მიზნით.

- 2018 წლის იანვარი-თებერვლის თვეში, განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებიდან მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემა და დარეგისტრირდა უძრავი ქონებები, მდებარე: ქ.რუსთავი, მეგობრობის გამზირი #41 (ს/კოდი: 02.04.02.092.01.505); ქ.რუსთავი, ფალიაშვილის ქუჩა #8ა (ს/კოდი: 02.04.03.243) და ქ.რუსთავი, მეგობრობის გამზირი #49ა (ს/კოდი: 02.03.02.148). აღსანიშნავია, რომ ამ შენობებში განთავსებულია და ფუნქციონირებს ფოლკლორისა და სამუსიკო სკოლები.

- მუნიციპალურ საკუთრებად 2018 წლის იანვრის თვეში დარეგისტრირდა ხაზოვანი ნაგებობა (4485 ცალი გარე განათების ბოძი), რომლის სიგრძეცაა: 99056.5 გრძივი მეტრი.

მუნიციპალური ქონების წარმოშობის ნაწილში, ძალიან მნიშვნელოვანია, რუსთავის სტადიონის ქალაქისთვის გადმოცემის საკითხიც. შპს „რუსთავის ფოლადმა“ წერილობითი მომართვით გამოთქვა სურვილი, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ.რუსთავი, მშენებელთა ქუჩა (სტადიონი), 49820.97 კვ.მ. ფართობით და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით, რომლის განაშენიანების ფართია: 841.88 კვ.მ. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადმოცემის შესახებ. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, საკითხზე მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა შპს „რუსთავის ფოლადის“ საკუთრებაში არსებული სტადიონის (ინფრასტრუქტურით და ინვენტარით) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ჩუქებით) გადმოცემასთან დაკავშირებით. კერძოდ, განხორციელდა საკითხის შესწავლა, ადგილზე გასვლა, ქონების და მასთან დაკავშირებული ინვენტარის დათვალიერება და ინვენტარიზაცია და შედეგად, 2018 წლის 20 სექტემბერს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადმოეცა მშენებელთა ქუჩაზე მდებარე საფეხბურთო მოედანი (სტადიონი). აღნიშნული საკითხი მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალურია, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე თვითმმართველობის საქმიანობისათვის, რადგან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს, საშუალება მიეცა, უფრო მეტი და მასშტაბური სპორტული ღონისძიებები დაგეგმოს.

სულ, დღეის მდგომარეობით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სახელზე (შიდა ფართების ჩათვლით) რეგისტრირებულია 1500-ზე მეტი უძრავი ქონება. აქედან, ქალაქის მასშტაბით მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული ტერიტორიის ოდენობა შეადგენს: 11 350 000 კვ.მ.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა

ადგილობრივ დონეზე, ბიზნესის ხელშეწყობის, ასევე სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი პროექტების გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს წერილობითი მომართვების განხილვის შედეგად, განხორციელდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი ერთეული მოძრავი (ავტომობილი) და ორი ერთეული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად გადაცემა. კერძოდ:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს/კ: 02.06.01.045; ფართობი: 44784 კვ.მ.) ნაწილის - 15000 კვ.მ. ფართობის მქონე ნაკვეთი, რომელზეც სამომავლოდ დაგეგმილია მარილის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა, რისთვისაც განხორციელდება ინვესტიცია - 500 000 ლარის ოდენობით.

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს/კ: 02.03.02.602; ფართობი: 8001 კვ.მ.) ნაწილის - 3500 კვ.მ. ფართობის მქონე ნაკვეთი, შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სარგებლობის უფლებით გადასაცემად.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ან/და დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების სახელმწიფოს მიერ პრივატიზების/სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ განხორციელებული ქმედებები

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის წერილებით წარედგინება სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს წერილობითი მომართვები, რომლითაც მოთხოვნილია მუნიციპალიტეტის მერიის პოზიცია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ან/და დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების სააგენტოს მიერ პრივატიზება/სარგებლობის უფლებით გაცემის თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, თავის მხრივ აწარმოებს შიდა მოკვლევას. მუნიციპალიტეტის მერია, იმის მიხედვით აფიქსირებს თავის მოსაზრებას, თუ რამდენად სრულყოფილადაა სააგენტოსგან ინფორმაცია მოწოდებული. იმის გათვალისწინებით, რომ არ არის კონკრეტული ინფორმაცია გადმოგზავნილი, თუ რის განხორციელება იგეგმება დაინტერესებული მხარის მიერ საპრივატიზებო ნაკვეთზე, ან რა პირობებით და სარგებლობის შემთხვევაში, რა ვადით იქნება ქონება განკარგული. ეს ინფორმაცია აუცილებელია იმისათვის, რომ შესაბამისმა სამსახურმა შეძლოს იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეესაბამება კონკრეტული საქმიანობა და მშენებლობის განხორციელება სხვადასხვა ფუნქციურ ზონასა და ,,სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმძღვანელო პრინციპებს.

- **ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საპროექტო ტერიტორიები.** რაც თავის მხრივ, გულისხმობს, რომ საპროექტო ტერიტორიის დაგეგმარება უნდა მოხდეს შესაბამისი ზონალობისა და მიმდებარედ უკვე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გათვალისწინებით და ამასთან საპროექტო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, აუცილებელია მომზადდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა (გრგ).

- მომართვიანობა ისეთ ტერიტორიებზე, რომლებიც მდებარეობს სარეკრეაციო ზონასა და სატრანსპორტო ზონაში, რომელიც 2013 წლის 11 დეკემბრის ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვიხებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ," #330 დადგენილების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისთვის გადასაცემ ძირითად (განუსხვისებელი) ქონებას წარმოადგენს.

- ისეთი კონფიგურაციის ნაკვეთების საპრივატიზებოდ გატანა, რომელიც შემოსაზღვრულია მუნიციპალურ ან კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებით და მისი პრივატიზება, გამოიწვევს როგორც მომიჯნავედ მდებარე უძრავ ქონებასთან მისასვლელი გზების ჩაკეტვას, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე სივრცითი მოწყობის პრინციპების დარღვევას.

- **საპრივატიზებო ნაკვეთის მდებარეობა, ქალაქში 1990-იან წლებში ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების მიმდებარე ტერიტორიაზე.** რომელთა შესახებ, ინფორმაცია ან არასრულია, ან საერთოდ არ იძებნება. მუნიციპალიტეტს ამ შემთხვევაში მიზანშეუწონლად მიაჩნია მსგავსი ნაკვეთების განკარგვა, ვინაიდან უფლების დამდგენი დოკუმენტი, შესაძლოა ინახებოდეს მხოლოდ მოქალაქესთან.

- საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაკვეთები, რომლებიც შესაძლოა ზედდებაში აღმოჩნდეს სამომავლოდ გასამიჯნი საცხოვრებელი სახლის საკუთრებაზე და სადაც, სამომავლოდ ამხანაგობათა მოთხოვნიდან გამომდინარე, შესაძლოა განხორციელდეს ეზოსა და სკვერის მოწყობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან 2018 წლის პირველი სამი კვარტლის განმავლობაში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული 103 წერილიდან, აღმასრულებელი ორგანოს მიერ უარყოფითი პოზიცია გაიგზავნა - 80 მომართვაზე, დადებითი პოზიცია გაიგზავნა - 20 მომართვაზე, ხოლო 3 მომართვა - განხილვის ეტაპზეა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აუქციონების შედეგად შემოსული თანხები

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, სულ გამოცხადებული იყო 3 ელექტრონული აუქციონი, რომლის შედეგადაც გასხვისდა 3 უძრავი ქონება, ჯამური ღირებულებით: 133 140 ლარი.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გასხვისებული ქონებიდან 2018 წლის პირველ სამ კვარტალში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსული თანხების ოდენობა შემდეგია:

- მიწის ნაკვეთების გასხვისებიდან - 393 785 ლარი
- შენობა-ნაგებობის გასხვისებიდან - 235 337 ლარი,
- სულ ჯამში: 629 122 ლარი

გასხვისებული და სარგებლობის უფლებით გადაცემულ ქონებებზე არსებული ვალდებულებების კონტროლი და შესაბამისი ღონისძიებების გატარება

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 2018 წლის მეორე კვარტალში განხორციელდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებებზე გაფორმებული სარგებლობების ხელშეკრულებების მონიტორინგი. კერძოდ, 100-მდე მოსარგებლე მხარესთან გაიგზავნა წერილობითი მიმართვა, რომლითაც მათ მოეთხოვათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. შედეგად, 2018 წლის პირველი სამი კვარტლის განმავლობაში:

- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა - 71 501.25 ლარი;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა - 31 340.92 ლარი;

სულ 2018 წლის პირველი სამი კვარტლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწისა და შენობების სარგებლობის შედეგად შემოსული თანხის ოდენობა შეადგენს: 102 842.17ლარს.

იმის გათვალისწინებით, რომ მოსარგებლეების ნაწილს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის წინაშე, კვლავ რჩებათ დავალიანება, მიმდინარეობს მუშაობა მოსარგებლის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად დღეის მდგომარეობით გადასახდელი თანხის, მის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული გადახდების და არსებული ნაშთის (დავალიანების) შესახებ ინფორმაციის დაზუსტების კუთხით. შედეგად, თითოეულ მოსარგებლე მხარესთან, მიმდინარეობს შედარების აქტის გაფორმება, რომლითაც განისაზღვრება გადაუხდელი თანხის ოდენობა, გადახდის პერიოდი და საჭიროების შესაბამისად დაისახება საქმეზე გასატარებელი შემდგომი სამართლებრივი ღონისძიებები.

აუქციონით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლი

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა ხორციელდება პირობებიანი ან უპირობო აუქციონის გზით. შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისებას ახდენს სხვადასხვა სახის ვალდებულებებით. ძირითადად განისაზღვრება მშენებლობისა და ინვესტიციის განხორციელების ვალდებულებები. აღსანიშნავია, რომ ქალაქ რუსთავის გენერალური გეგმის ამოქმედებამ , ქალაქის ფუნქციურ ზონებად დაყოფამ, მათგან ნაწილზე საპროექტო ზონის სტატუსის მინიჭებამ და კოეფიციენტების განსაზღვრამ, თავის მხრივ, წარმოშვა დამატებითი მოკვლევის საჭიროება. კერძოდ, ვალდებულებების მქონე მიწის ნაკვეთების ნაწილზე გავრცელდა გარკვეული რეგულაციები. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, აღმასრულებელი ორგანო განსახილველ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, იკვლევს არსებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს და კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად, ხორციელდება აუქციონით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელების, ვალდებულების შესრულების დადასტურების ან ვალდებულებისაგან გათავისუფლების სამართლებრივი აქტის მომზადება/გამოცემა.

2018 წლის იანვრიდან დღემდე, აუქციონით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გაგრძელება განხორციელდა - 4 ქონებაზე, აუქციონით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დადასტურება - 11 ქონებაზე და ვალდებულებისაგან გათავისუფლება - 1 ქონებაზე. სულ, სამართლებრივი ღონისძიებები განხორციელდა 16 ქონებასთან მიმართებაში.

საცხოვრებელი ფართების პრივატიზება

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის #189-ე დადგენილების შესაბამისად, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ საანგარიშო პერიოდში სულ განხორციელდა 94 საცხოვრებელი ბინის პრივატიზება. საცხოვრებელი ბინის პრივატიზებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება კი მიღებულია სულ 5 საქმეზე.

მიმდინარე წელს ამ ეტაპისთვის საცხოვრებელი ბინის პრივატიზების მოთხოვნით ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს 124 განცხადებაზე.

მუნიციპალური ქონების მონიტორინგი/აღწერა

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების აღწერა. პროცესში აქტიურად არიან ჩართული მერიის შესაბამისი სამსახურები და მერის წარმომადგენლები. ხორციელდება ადგილზე გასვლა, უძრავი და მოძრავი ქონების აღწერა-ინვენტარიზაცია, არსებული ინფორმაციების ანალიზი-შეჯერება.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალქეების პრობლემების შესწავლისა და გადაჭრის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების გატარების კუთხით

ასეთი საკითხებია:

ფართების პრივატიზაციის საკითხი ყოფილ საერთო საცხოვრებლებში

ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეების ნაწილის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს საცხოვრებელი ფართების პრივატიზების საკითხი. აღნიშნული, ძირითადად შეეხება საერთო საცხოვრებლებში მდებარე ბინების პრივატიზებას.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაისახა პრობლემების გადაჭრის უმოკლესი გზა, რომელიც სრულყოფილად აღმოფხვრის ყველა მსგავს სიტუაციაში მყოფი კანონიერი მოსარგებლის პრობლემას, კერძოდ ის, რომ საქართველოს მთავრობის #189-ე დადგენილების გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, დელეგირების ფარგლებში მიეცეს უფლებამოსილება „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა განახორციელოს 2007 წლის 2

თებერვლამდე გაცემული, კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვა) საფუძველზე“, რაც თავისთავად რეგულაციაში მოაქცევს ასევე „სახელმწიფო საბინაო ფონდში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების შემდეგ დროებით გადაცემულ არაპრივატიზებულ საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობებს“.

დადებითი შედეგები, რომელსაც ადგილობრივ დონეზე მოიტანს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალურია, როგორც სახელმწიფოსა და თვითმმართველობისათვის, ასევე, პრობლემის წინაშე მდგარი ოჯახებისა და ამხანაგობებისთვისაც. კერძოდ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ადგილობრივ დონეზე უფრო ეფექტურად განახორციელებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის #189-ე დადგენილებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, რომლითაც განსაზღვრულია კანონიერი მოსარგებლეებისათვის, სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა. ეფექტურად შესრულდება საქართველოს მთავრობის დადგენილების ძირითადი მიზანი: ფიზიკურ პირთათვის მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული სახელმწიფო საბინაო ფონდის არაპრივატიზირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის პროცესის დასრულება. დადგენილების რეგულაციის მიღმა დარჩენილი ადგილობრივი ოჯახები, შეძლებენ მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული ფართების საკუთრებაში რეგისტრაციასა და შემდგომში, ქონების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მართვა ან/და განკარგვას.

საკითხის განხილვის, მასზე, შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების გატარებისა და პრობლემის გადაჭრის მიზნით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს. სადაც, მუნიციპალიტეტმა არსებული პრობლების ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან ერთად, დააფიქსირა პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზაც. ჩვენს მიერ წარდგენილი მიმართულება, აქტიური განხილვის პროცესშია და უახლოეს მომავალში ველოდებით გადაწყვეტილებას.

ფართების დაკანონების პრობლემა ბარათაშვილის 27-ში

ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეების ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს იმ ფართების დაკანონების საკითხი, რომლებიც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაა და იქ მცხოვრებ მოსახლეობას არ გააჩნია ფართზე კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასეთი პრობლემა აქვთ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობაში, მდებარე: ქ.რუსთავი, ბარათაშვილის ქუჩა #27 (ს/კოდით: 02.05.05.940) მცხოვრებ მოქალაქეებსაც.

პრობლემის გადაჭრის მიზნით, ასევე, მოქალაქეთა კოლექტიური განცხადების გათვალისწინებით, წერილობით მივმართეთ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო“-ს -ბარათაშვილის ქუჩა #27-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდით: 02.05.05.940) დევნილთა სარგებლობაში არსებული ნაწილის გამიჯვნასა და დევნილი ოჯახებისათვის გადასაცემი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე - შემდგომი სამართლებრივი ღონისძიებების გატარებისთვის. აღმასრულებელი ორგანოს მიერ

საკითხი განსახილველად ასევე გადაეგზავნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს. საერთო კოორდინაციით მიმდინარეობს საკითხის გადაწყვეტის პროცედურები.

ნაგავსაყრელის საკითხი

რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას სამშენებლო ნარჩენებისა და გრუნტის მიწის განსათავსებლად გამოყოფილი ჰქონდა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ტერიტორია, რომელიც დღეის მდგომარეობით გადავსებულია და შეუძლებელია შესაბამისი დანიშნულებით ტერიტორიის შემდგომი გამოყენება. იმ ფონზე, როდესაც ქალაქში მიმდინარეობს რამდენიმე მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა და 2018 წელს უკვე გაცემულია 189 სამშენებლო ნებართვა, სულ უფრო და უფრო იზრდება, სამშენებლო ნარჩენების განსათავსებლად ტერიტორიის არსებობის საჭიროება.

პრობლემის გადაჭრის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიამ მოიძია ადგილები ქ. რუსთავის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარედ, სადაც შესაძლოა განთავსდეს სამშენებლო ნარჩენები და ამოივსოს ტერიტორია. აღნიშნული ნაკვეთების მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირებისა და შემდგომში სამშენებლო ნარჩენებისთვის განკუთვნილი ნაგავსაყრელის მოწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართა სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო“-ს, ამ ეტაპზე ჩვენს მიერ დაყენებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით მიმდინარეობს განხილვა, სამშენებლო ნარჩენებისა და გრუნტის მიწის განთავსებისათვის კონკრეტული ადგილმდებარეობების შერჩევა.

ინვესტიციები:

2018 წლის დასაწყისიდან, აქტიურად დაიწყო ქალაქში არსებული მსხვილი თუ საშუალო სამეწარმეო სფეროსთან კომუნიკაცია, საწარმოებში ადგილზე ვიზიტები, წარმოების პროცესების გაცნობა, მათი პრობლემების (არსებობის შემთხვევაში) ადრესატამდე მიტანა და კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი სამსახურების ჩართულობა პრობლემის გადაჭრის კუთხით. აღნიშნულთან დაკავშირებით, მიმდინარეობს ერთიან ბაზაში დეტალური ინფორმაციის აღრიცხვა. შესაბამის სფეროებთან აქტიური კომუნიკაციით, პარალელურად მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება, 2018 წელს მიმდინარე და განხორციელებული ინვესტიციების შესახებ. დღევანდელი მონაცემებით მიმდინარე და განხორციელებული ინვესტიციის მოცულობამ ქალაქ რუსთავში **63** მილიონ ლარს გადააჭარბა.

ინვესტიციების დიდი წილი მოდის მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობაზე. ამ ეტაპზე, ქალაქში 5 ახალი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს. დასრულებულია, 2 მრავალსართულიანი კორპუსი (შპს „რუსთავი 2015“; შპს „ჯი ბი ჯი“; შპს „ბილდინგ რუსთავი“; შპს „გრინ ჰაუსი“; შპს „სანრაის ჰაუსი“; შპს „ფრიზი L.K.”), რომლის დასრულების შემდგომ, ქალაქი მიიღებს 34 200 კვ.მ. საცხოვრებელ ფართს და 4 600 კვ.მ-ზე მეტ კომერციულ ფართს, ინვესტიციის საერთო მოცულობა კი 28 მილიონ ლარს აღწევს. აქვე აღსანიშნავია ის, რომ კორპუსების მშენებლობას მხოლოდ კერძო ინვესტორები არ ანხორციელებენ. შ.ს. სამინისტროს დაკვეთით, უკვე შეთანხმებულია და ნებართვა გაცემულია

11 123 კვ.მ. საერთო ფართობის საცხოვრებელ კორპუსზე, სადაც სამომავლოდ ასევე განთავსდება პოლიციის განყოფილებაც. შ.ს. სამინისტროს კიდევ ერთი ახალი პროექტია მე 12 მკრ-ის მიმდებარედ 650 კვ.მ. საერთო ფართობზე პოლიციის განყოფილების მშენებლობაც.

ასევე, მიმდინარეობს შეთანხმებები, 5 ახალი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობების შესახებ, სადაც ნაწილზე დასრულებულია განაშენიანების რეგულირების გეგმისა თუ მშენებლობის კოეფიციენტებთან დაკავშირებული დეტალების დაზუსტება და უახლოეს მომავალში, ქალაქი მიიღებს კიდევ 62 000 კვ.მ. საცხოვრებელ და კომერციულ ფართებს. რაც ჯამში, დამატებით 33 მილიონი ლარის ინვესტიციას მოიზიდავს.

ასევე, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ რუსთავში, ინვესტორების მხრიდან, ხშირია დაინტერესება, ახალი საწარმოების გახსნასთან, ან არსებულის გაფართოებასთან დაკავშირებით. წარმოების სექტორში მიმდინარე და განხორციელებული ინვესტიციის მოცულობამ, 16 მილიონ ლარს გადააჭარბა. განხორციელდა 3 ახალი საწარმოს მშენებლობა, მიმდინარეობს 7 ყოფილი საწარმოს რეკონსტრუქცია და გაფართოება. კომერციული დანიშნულების ობიექტებზე, კი ინვესტიციების რაოდენობა 15 მილიონ ლარს სცილდება, განხორციელდა 11 ახალი და მიმდინარეობს 30 კომერციული ობიექტის მშენებლობა/რეკონსტრუქცია.

სხვადასხვა სახის მიმდინარე და განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა, 4 მილიონ ლარს აღწევს. აღნიშნული პროექტები მოიცავს სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს“, არასამთავრობო ორგანიზაცია „რუსთავის საერთაშორისო სკაუტური ცენტრი“-ს და ქვემო ქართლის საოლქო და რუსთავის რაიონული პროკურატურის შენობებს. საერთო ჯამში, ინვესტიციებთან დაკავშირებით, 2018 წელს დასაქმებულთა რაოდენობა ამ ეტაპზე 500 ადამიანს აჭარბებს, ინვესტიციების განხორციელების შემდგომ, კი დასაქმდება 1000 მდე ადამიანი.

უკვე განხორციელებული პროექტებიდან ყველაზე მსხვილი ინვესტიცია განხორციელდა:

სავაჭრო ცენტრი ,,მადაგონი „ - 3 000 000 ლარი, სპორტული დარბაზი და გასართობი ცენტრი (დასაქმებულია- 30 ადამიანი)

შპს. "სოლო" - 2 000 000 ლარი, (დასაქმებულია - 30 ადამიანი)

არასამთავრობო ორგანიზაცია „რუსთავის საერთაშორისო სკაუტური ცენტრი„ - 1 000 000 ლარი, (დასაქმებულია 13 ადამიანი)

შ.პ.ს " მრეტები" - 1 350 000 ლარი, (დასაქმებულია - 43 ადამიანი)

შპს „რუსთავი 2015“ – 4 000 000 ლარი (დასაქმდა - 150 ადამიანი)

მიმდინარე ინვესტიციებიდან ყველაზე მსხვილი ინვესტიციებია:

შპს " ა.ე. ტექსტილი" - 8 000 000 ლარი, (დასაქმებულია-30, დასრულების შემდგომ დასაქმდება - 200 ადამიანი)

შპს „ჯი ბი ჯი“ – 4 000 000 ლარი (დასაქმებულია - 60 ადამიანი)

შპს „ბილდინგ რუსთავი“ - 4 000 000 ლარი (დასაქმებულია - 90-მდე ადამიანი)

შპს. "თეთრი ქუდი" - 2 000 000 ლარი, (დასაქმებულია 110 ადამიანი, დასრულების შემდგომ დასაქმდება - 200)

შპს "რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი"- 1 000 000 ლარი, (დასაქმებულია 20 ადამიანი)

ენერგოეფექტურობის საკითხებთან დაკავშირებული ღონისძიებები:

მიმდინარე წელს, განხორციელდა ლიეტუვას გარემოს დაცვის სამინისტროს დაფინანსებული პროექტი-,,ლიეტუვას ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება საქართველოს მზის ენერგიის ტექნოლოგიის ინსტალაციის მეშვეობით," რომლის ერთ-ერთი ბენეფიციარი იყო რუსთავი. მზის ენერგიის აღჭურვილობა, 60 კვ. ენერგიის მქონე პანელები, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის შენობის სახურავზე განთავსდა. სახურავის 420 m^2 მოცულობის ფართი დაიფარა სოლარ პანელებით. ელექტროენერგია, რომელსაც გამოიმუშავებს მზის ენერგიის პანელები, გამოიყენება რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ. სოლარ პანელების მონტაჟი განხორციელდა ლიეტუველი სპეციალისტების და ადგილობრივი მუშახელის საშუალებით. პროექტის საბოლოო პრეზენტაცია შედგა 2018 წლის 4 აპრილს. პროექტის ღირებულებამ: 64 791,00 ევრო შეადგინა.

ენერგოეფექტურობის კუთხით წლევანდელ პროექტს წარმოადგენდა ,,ენერგოაუდიტორების ტრენინგი და სერტიფიცირება და შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია".

პროექტი განხორციელდა ენერგოეფექტურობის ცენტრ-საქართველოსთან თანამშრომლობით და დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით. ამ პროექტის ფარგლებში, შეირჩა რუსთავის 5 საბავშვო ბაღში, (#17, #18, #27,#31, #33), 2 საშუალო სკოლა (#18,#23) და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა. პროექტი ითვალისწინებდა დეტალურ შესწავლას და ანალიზს მიმდინარე ენერგეტიკული პროცესების და შესაძლო ენერგოდამზოგი ღონისძიებების გამოვლენას. აქედან გამომდინარე, ყოველთვიურად ხორციელდებოდა მონიტორინგის ცხრილის შევსება. პროექტის საბოლოო პრეზენტაცია შედგა 2018 წლის 5 ივნისს. სულ რამოდენიმე დღის წინ, კი პროექტში მონაწილეობისთვის, რუსთავის მუნიციპალიტეტს სერთიფიკატიც გადაეცა. ენერგო ეფექტურობის კვირეულის ფარგლებში, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნება, რუსთავში მდგრადი ენერგეტიკის დღე აღვნიშნეთ. პროექტის ფარგლებში, ჩატარდა კონკურსი - ,,ჩემი ენერგოეფექტური სკოლა", სადაც რუსთავის ხუთი საჯარო სკოლა (#18, #21, #22, #23, #24) მონაწილეობდა, გამარჯვებული გახდა 22-ე საჯარო სკოლა, რომელსაც გადაეცა 500 ლარიანი ფულადი ჯილდო და სასაჩუქრე ნაკრები.

ნოემბრის თვიდან ვიწყებთ SEAP (ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმის) -ის მონიტორინგს, რომელიც მოგვცემს ინფორმაციას თუ რამდენად შემცირდა SEAP-ის მიხედვით, სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ სექტორებში CO2-ის ემისიების გამოფრქვევა 2011 წლიდან დღემდე.

დასაქმება

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს დასაქმების სფერო, მისი მონიტორინგი, საზოგადოებასთან და დამსაქმებლებთან

კომუნიკაცია. აღნიშნული კუთხით, 2018 წლის დასაწყისიდან დღემდე, დასაქმების მსურველის 430 განცხადება შემოვიდა. ისინი დარეგისტრირდნენ, მერიის მონაცემთა ერთიან ბაზაში, თითოეულ მათგანთან მოხდა დასაქმების სპეციალისტის მიერ გასაუბრება, რეზიუმეს შესწავლა და ამ ეტაპზე არსებული შესაბამისი ვაკანტური ადგილის შეთავაზება. დღეის მდგომარეობით, ჩვენი შუამდგომლობით, კერძო სექტორში დასაქმდა 82 ადამიანი, 85 ადამიანს ჩაუტარდა ტრენინგი. სულ წლის განმავლობაში ჩატარდა 5 ტრენინგი.

2018 წლის 19 სექტემბერს რუსთავის მერიის და სოციალური მომსახურების სააგენტოს ორგანიზებით, რუსთავში, გიგა ლორთქიფანიძის სახელობის მუნიციპალურ თეატრში დასაქმების ფორუმი გაიმართა. დასაქმების ფორუმში 20-ზე მეტი მსხვილი და საშუალო, კერძო კომპანია იღებდა მონაწილეობას, (10 კომპანია რუსთავიდან, 13 დედაქალაქიდან) რომლებიც მოქმედ და რეალურ თავისუფალ სამუშაო ადგილებს წარმოადგენენ. ფორუმზე დასწრების რეგისტრაცია გაიარა 193 მოქალაქემ, თავისუფალ დამსწრეთა რაოდენობამ, კი შეადგინა 50 ადამიანი. ფორუმის ფარგლებში, ამ ეტაპისთვის დასაქმებულია 31, რეზერვშია 50 ადამიანი.

დამეგობრებული ქალაქები

ქალაქ რუსთავს, სულ 16 დამეგობრებული ქალაქი ჰყავს, (პოლონეთი- ლოძი, პლოცკი, გდინია, უკრაინა --ივანო ფრანკოვსკი, ვინიცა, ჩერკასი, ხმელნიცკი, კრივოი როგი, თურქეთი--ინეგოლი, ფილიპინები-კაუიანი, სანტიაგო, აზერბაიჯანი- სუმგაითი, ლიეტუვა-აკმენე, ჩინეთი-შაოგუანი ლიეტუვა-პანევეჟისი, ლატვია-დაუგავპილსი.) ასევე სიხარულით გვინდა აღვნიშნოთ, რომ წელს, ჩვენს დამეგობრებულ ქალაქებს შეემატა ბელარუსიის ქალაქი ჟოდინო. 2018 წლის 22 მარტს, პრეზიდენტის სასახლეში, ხელი მოეწერა ქალაქ რუსთავსა და ქალაქ ჟოდინოს შორის დამეგობრების შეთანხმებას. 2018 წლის 25 ოქტომბერს, კი ქალაქ რუსთავში, ხელი მოეწერა დამეგობრების განზრახვის მემორანდუმს, ლატვიის ქალაქ დაუგავპილსთან.

ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა ესპანეთის ქალაქ ლოგრონიოსა და საფრანგეთის ქალაქ ლურდთან დამეგობრების თვალსაზრისით.

როგორც მოგეხსენებათ, დამეგობრებულ ქალაქებთან მჭიდრო ურთიერთობის ფარგლებში, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რათა მოხდეს ხელის შეწყობა და თანამშრომლობა ბიზნესის, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სოციალური დაცვის, სპორტის, ახალგაზრდობის, ტურიზმის სფეროში, გარემოს დაცვის ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს შორის. ასევე მიმდინარეობს რეგულარული კონსულტაციების გამართვა, დელეგაციების გაცვლა, ექსპერტებისა და სპეციალისტების ვიზიტები, გამოცდილების გაზიარების, ახალი პროექტების შემუშავებისა და მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით.

ქალაქი რუსთავი აქტიურად თანამშრომლობს ლიეტუვას ქალაქ პანევეჟისთან. 7-11 ნოემბერს, დაგეგმილია ქალაქ პანევეჟისის დელეგაციის სტუმრობა ქალაქ რუსთავში. ვიზიტის ფარგლებში, სტუმრები გაგვაცნობენ თავიანთი მუშაობის სპეციფიკას და გაგვიზიარებენ გამოცდილებას ადმინისტრაციის, სპორტის და ბიზნესსექტორთან

თანამშრომლობის კუთხით. ასევე დაგეგმილი აქვთ საქველმოქმედო აქცია საბავშვო ბაღებისთვის.

რუსთავქალაქობა:

წელს ჩვენი ქალაქი 70 წლის იუბილეს ზეიმობდა, ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად, ქალაქს 10 დამეგობრებული ქალაქიდან 34 დელეგატი სტუმრობდა. მათ მონაწილეობა მიიღეს ყველა იმ სახალხო ღონისძიებაში, რომელიც რუსთავქალაქობის კვირეულში გაიმართა. დამეგობრებული ქალაქების შესახებ ინფორმაციის შემცველი ბანერი, სტუმრებთან ერთად დავდგით ქალაქის ცენტრში, კოსტავას გამზირზე.

მერიის არქიტექტურის და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის სამსახური

არქიტექტურისა და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 01.11.2017წ. - 26.10.2018წ.				
არქიტექტურის განყოფილება			სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილება	
განცხადებების საერთო რაოდენობა (mms)	3006		განცხადებების საერთო რაოდენობა	1014
განცხადებების საერთო რაოდენობა (edoc)	შემოსული 2708	გასული 2414	განცხადება მშენებლობის დაწყებაზე	202
მშენებლობის ნებართვა	279		განცხადება მშენებლობის გაგრძელებაზე	45
მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება	47		განცხადება მშენებლობის დასრულებაზე	108
პროექტის შეთანხმება	172		განცხადება მშენებლობის ეტაპის დასრულებაზე	379
შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება	224		ტექ.ზედამხედველობის მოსაკრებლის გადახდის შესახებ	29
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები(I ეტაპი)	55		დეკლარაცია ცვლილებების არ არსებობის შესახებ	251
შენობა-ნაგებობის ლეგალიზება	17		მიმდინარე მშენებლობა **2018 წლის**	127
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საზღვრების დადგენა	19		ობიექტის საკონტროლო გადამოწმება (არაგეგმიური)	55
წერილობითი პასუხი	1247		სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება	42
უარი	126		ბრძანება დაჯარიმებაზე	34

საჯარო რეესტრის წერილები	130	გადახდილი ჯარიმის რაოდენობა	33000 ლ.
შიდა წერილები	461		
სხვა	500		
ქალაქ რუსთავის ტერიტორიული გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო	9 სხდომა		

მიმდინარე წლის განმავლობაში, „ქალაქ რუსთავის ტერიტორიული გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 25 ივნისის #226 დადგენილებაში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, რამაც დახვეწა და რეალობასთან შესაბამისობაში მოიყვანა დადგენილი მოთხოვნები.

#226 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებები	
ცვლილება ტექსტში	ავტოსადგომის ლიმიტების შემცირების შესახებ
	მიწის ნაკვეთების ლიმიტების ცვლილების შესახებ
	განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამობის მქონე ნაკვეთებისთვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის შესახებ.
	კ-2 კოეფიციენტის გაზრდის შესახებ

1. კერძოდ, დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები **ავტოსადგომების რაოდენობასთან** დაკავშირებით, გადაიხედა და დაგროვილი გამოცდილებისა და ქალაქის რეალობის გათვალისწინებით დადგინდა, სხვადასხვა გამოყენებებისთვის აუცილებელი პარკინგის რაოდენობები. მოქმედი რედაქციით, ავტოსადგომების მიმართ გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდებოდა არსებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის შემთხვევაშიც, რაც ძრითად შემთხვევებში, გამორიცხავდა დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას და რეალურად, შენობა-ნაგებობის ყველანაირი რეკონსტრუქცია გამორიცხული იყო. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პარკინგთან დაკავშირებული მოთხოვნები ვრცელდება ახალ მშენებლობებზე. არსებული რედაქცია ითვალისწინებდა, საცალო ვაჭრობის ცენტრის საერთო ფართობის ყოველ 10 კვადრატულ მეტრზე 1 ავტოსადგომს, ხოლო ცვლილების მიხედვით იგულისხმება საერთო ფართობის ყოველ 40 კვადრატულ მეტრზე 1 ავტომობილი. აღნიშნული ციფრი მიღებულია გაანგარიშებისა და პრაქტიკის საფუძველზე, მაგალითისთვის: 1000 კვადრატული საერთო ფართობის მქონე ვაჭრობის ცენტრისთვის მოითხოვება 100 ავტომანქანის სადგომი, რაც თავის მხრივ, საჭიროებს ≈2000 კვადრატულ მეტრ მიწის ფართს, რაც არსებული

კოეფიციენტების გათვალისწინებით, არარეალური იყო. ამასთან, რუსთავის რეალობის გათვალისწინებით, არ დგას თითოეულ სავაჭრო ობიექტთან ასეთი რაოდენობის საპარკინგე ადგილების არსებობის აუცილებლობა. არსებული რედაქციით, საცხოვრებელ სახლებში, თითოეულ ერთეულზე მოითხოვებოდა 1 ავტოსადგომი, ხოლო ცვლილების შედეგად, ერთი ავტოსადგომი, საჭიროა საერთო ფართობის ყოველ 150m^2-ზე. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ არსებული მოთხოვნები სცილდებოდა გონივრულ ფარგლებს და სტანდარტების დაცვის შემთხვევაში, ფაქტობრივად, გამოირიცხებოდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, იქედან გამომდინარე, რომ არ იქნებოდა დაცული დადგენილების მოთხოვნები. ცვლილება ეხება ასევე სასტუმროებს/მოტელებს: არსებული რეგულაციით, ყოველ საძინებელ ერთეულზე, მოთხოვნილია 1 ავტოსადგომი, ხოლო ჩვენს მიერ მომზადებული ცვლილების შესაბამისად, ყოველ 2 ნომერზე-1.

2. ცვლილება შეეხო დადგენილებით გათვალისწინებულ **მიწის ნაკვეთის მინიმალურ ფართობებსაც (ლიმიტები)**, კერძოდ, შემცირდა აუცილებელი მინიმალური ფართობები და პირვანდელი რედაქციით გათვალისწინებული მოთხოვნა დარჩა მხოლოდ სასტუმროებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისთვის. აღნიშნული ცვლილება განაპირობა იმან, რომ ხშირ შემთხვევაში, უკვე საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები ვერ აკმაყოფილებდა ლიმიტს და აქედან გამომდინარე, მასზე მშენებლობა გამოირიცხებოდა. იმისთვის, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული მცირე ზომის, ლიმიტს დაუქვემდებარებელი მიწის ნაკვეთების გასხვისება და შემდგომში მათზე მშენებლობის განხორციელება, დადგენილებაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, ასეთ მიწის ნაკვეთზე მშენებლობა დასაშვებია, თუ იგი გასხვისებულია 2018 წლის 1 იანვრამდე, ან ასეთი მიწის ნაკვეთი წარმოქმნილია ამ ტიპის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად. იყო შემთხვევები, როდესაც მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთები ვერ აკმაყოფილებდა ლიმიტს და მათი გაერთიანების შედეგადაც არ მიიღწეოდა დადგენილებით განსაზღვრული მინიმალური ფართობი, თუმცა რეალურად, გაერთიანების შედეგად მიღებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის განხორციელება, ქალაქგეგმარებითი წესების გათვალისწინებით მიზანშეწონილი იყო, ხოლო არსებული რედაქცია გამორიცხავდა მსგავს, გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მიწის ნაკვეთებზე მშენებლობას.

3. დადგენილების შესაბამისად, მოქმედი რედაქცია ითვალისწინებდა საქართველოს მთავრობის 59-ე დადგენილებით დაწესებულ რეგულაციებს, კერძოდ, შეუსაბამო მიწის ნაკვეთების სამომავლოდ განვითარება შესაძლებელი იყო, მხოლოდ შეუსაბამობის შემცირების ან აღმოფხვრის პირობით. წარმოდგენილი რედაქციის მიხედვით, კი გათვალისწინებულია „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესი, რომლის **მიხედვითაც, განპირობებულ (იძულებით) შეუსაბამო ობიექტებისათვის შესაძლებელია დადგინდეს ინდივიდუალური პარამეტრები,** რის თაობაზეც გაფორმდება (სპეციალური) ზონალური შეთანხმება. მაგალითად, აღნიშნულის მიხედვით, შენობებს, რომლებსაც კ-1 კოეფიციენტი გადაჭარბებული აქვთ, დღეს მოქმედ ნორმებთან შედარებით, თუმცა კ-2 კოეფიციენტი არ აქვთ სრულად ათვისებული და ობიექტის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, შესაძლებელია ზონის შესაბამისად ათვისება, ცვლილების მიხედვით, მოთხოვნის შემთხვევაში, დაუდგინდება განვითარების ინდივიდუალური პარამეტრები. თუმცა, ეს ცვლილება ეხება 1990 წლამდე აშენებულ საზოგადოებრივ შენობებს, რომლებსაც არ გააჩნიათ მომიჯნავე ტერიტორიის დამატების პოტენციალი.

4. 2017 წლის ბოლოს დადგენილებაში შევიდა კიდევ ერთი ცვლილება, რომლის თანახმადაც, შესაძლებელი გახდა სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე ზონით გათვალისწინებული **კ-2 კოეფიციენტის გაზრდა, კანონით გათვალისწინებული საფასურის გადახდის შემთხვევაში.** აქვე განისაზღვრა, რომ კ-2 კოეფიციენტის გაზრდა

შესაძლებელია მაქსიმუმ 100%-ით საცხოვრებელ ზონა 5-სა და 6-ში, ხოლო საცხოვრებელ ზონა 2-სა და 3-ში მაქსიმუმ 10%-ით.

აღსანიშნავია, რომ 2017-2018 წლები გამოირჩეოდა მშენებლობების მაღალი აქტიურობით, მათ შორის როგორც საზოგადოებრივ-კომერციული დანიშნულების განვითარების კუთხით, ასევე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსებით. ქალაქში მიმდინარეობს 10 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, საპროექტო წინადადება შემოსულია 5 მრავალერთეულიან საცხოვრებელ სახლზე, 47 საზოგადოებრივ-კომერციული დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის პროცესი, კი დაწყებულია.

არქიტექტურის განყოფილების თანამშრომლები პარალელურად აქტიურად არიან ჩართულები ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტირების კონცეფციის შემუშავებაში. მაგლითად:
მამედ მამედოვის მიერ შესრულებული სამშენებლო დოკუმენტის პროექტი (სრული პროექტი) - **კულტურისა და დასვენების პარკში სანაოსნო სასპორტო კომპლექსი;**
დავით გველესიანის მიერ შესრულებული პროექტებია:
1. ფალიაშვილის ქუჩის N14 საცხოვრებელი სახლის - **ეზოს კეთილმოწყობის კონცეპტუალური პროექტი;**
2. ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე (ყოფილი კუკუშკის და მიმდებარე ჭალის ტერიტორიაზე) - **მომავლის ცენტრალური პარკის -** საპრეზენტაციო ალბომი;
3. ქალაქის შემოსასვლელში - **გზამკვლევი რუკის -** კონცეფცია/ვიზუალიზაცია;
4. გერმანულ-ქართული საპილოტე პროექტისათვის-**საფუძველი მასალის მომზადება;**
5. ქუჩის მანიშნებლების -**პროექტი;**
6. ქუჩის ელ. ბიბლიოთეკის პროექტში თანამონაწილეობა;
7. მემორიალებისათვის **საინფორმაციო დაფების კონცეფცია/ვიზუალიზაცია;**
8. პარკში ყოფილი ზოოპარკის ტერიტორიაზე - **სივრცის რევიტალიზაციის კონცეფცია/ვიზუალიზაცია;**
9. მეტალურგიული ქარხნის სამმართველოს შენობის მიმდებარე მოედნის- **დეტალური ანაზომის მომზადება;**
10. შარტავას გამზირზე **ლიტერატურის სკვერის** მოწყობის პროექტი;
11. სანაგვე ურნების დიზაინი;
12. ვარდების ბაღის პროექტი;
13. ლეონიძის ქუჩის მიმდებარედ **არსებული სკვერის** პროექტი;

არქიტექტურულ-სამშენებლო ზედამხედველობის განყოფილებაში შექმნილია ორი ჯგუფი. თითო ჯგუფი განყოფილების ხელმძღვანელის ჩათვლით, შედგება ორი თანამშრომლისგან, რომლებიც ახორციელებენ კონტროლს ქალაქის მასშტაბით მიმდინარე მშენებლობებზე. აღნიშნული გულისხმობს მშენებლობის ობიექტების გადამოწმებას ეტაპობრივად (მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმების, ტექ. ზედამხედველობისა და შემოსული კორესპონდენციის საფუძველზე), ასევე, განყოფილების საქმიანობის გათვალისწინებით, ობიექტების არაგეგმიურ შემოწმებას, ხოლო დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, ნებართვის მფლობელის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყებას. საქმიანობის უკეთ განხორციელების მიზნით, სამსახურმა შეისყიდა დამატებითი მანძილმზომი, რამაც კიდევ უფრო ნაყოფიერი და ოპერატიული გახადა სამუშაო პროცესი.

შედარებით დახვეწილი და მოქნილი გახდა მოქალაქეებთან ურთიერთობის პროცესიც. მაქსიმალურად ვახდენთ მოსახლეობის ინფორმირებას, მშენებლობის სანებართვო

პირობების დაცვის აუცილებლობასთან დაკავშირებით. მოქალაქეებთან კომუნიკაცია ხდება როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში, ისე წერილობითი ფორმით.

სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების პროცესში, ყოველთვის უზრუნველყოფილია დამრღვევი მხარის აქტიური ჩართულობა და საკუთარი პოზიციის ნათლად და მკაფიოდ დაფიქსირების შესაძლებლობა. მოქალაქეებს აქვთ განცდა იმისა, რომ სამსახური მათ მიმართ სამართლიანი და ობიექტურია, ეს კარგად ჩანს გადახდილი ჯარიმებიდან და გამოსწორებული დარღვევებიდან.

2018 წლის 5 მარტიდან, მას შემდეგ, რაც მოხდა სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების შემოერთება, დღემდე დაჯარიმებულია 30 ობიექტი, ხოლო ჯარიმის სახით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადახდილი თანხა მთლიანობაში შეადგენს 33000 ლარს.

ვფიქრობთ, არქიტექტურისა და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილებების გაერთიანებამ, საკმაოდ დადებითად იმოქმედა ამ ორი განყოფილებისა და მთლიანად სამსახურის საქმიანობის ხარისხსა და მუშაობის შედეგებზე.

მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია გაწვევის სამსახური და სფერო, რომელსაც ის ემსახურება, უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისთვის.

რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური

მიმდინარე წლის ივნისში, მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტის მიერ შექმნილ წვევამდელთა აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში, სამსახურმა 6784 წვევამდელის შესახებ ინფორმაცია და პირადი მონაცემი შეიყვანა.

პირველადი აღრიცხვის განყოფილება

პირველად აღრიცხვაზე აყვანილია:

1998 წელს დაბადებული 731 პირი (88 პირადი საქმე გადაგზავნილია რეგისტრაციის მიხედვით).

1999 წელს დაბადებული 742 პირი (90 პირადი საქმე გადაგზავნილია რეგისტრაციის მიხედვით).

2000 წელს დაბადებული 653 პირი (94 პირადი საქმე გადაგზავნილია რეგისტრაციის მიხედვით)

2001 წელს დაბადებული 622 პირი (18 პირადი საქმე გადაგზავნილია რეგისტრაციის მიხედვით)

2001 წელს დაბადებული 28 პირი

გამოიწერა და გაიცა 212 წვევამდელის სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა.

აღრიცხვაზე აყვანის მიზნით, ინფორმირებულია 2001 წელს დაბადებული 23 პირი და მიცემული აქვთ კონკრეტული ვადა სამსახურში გამოსაცხადებლად.

მითითებულ მისამართებზე ვერ მოიძებნა 2001 წელს დაბადებული 56 პირი და მათი მონაცემები, მოძიებისთვის გადაეგზავნება შესაბამის უწყებას.

აღრიცხვაზე ასაყვანად ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა 2001 წელს დაბადებულ 87 პირზე, რომლებიც არ სწავლობენ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 31 მოქალაქეზე, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფება, შექმნილია შესაბამისი აქტი.

გაწვევის განყოფილება

2017 წლის ნოემბერ-დეკემბერი

1. გაწვევის განყოფილებამ შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში სამედიცინო შემოწმების გასავლელად გადაიყვანა 36 წვევამდელი.

2. ვერ მოხერხდა 34 წვევამდელის ადგილსამყოფელის დადგენა, რის გამოც, სამსახურმა დახმარებისთვის მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის სამმართველოს.

3. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგა 44 წვევამდელზე და ოქმები წარედგინა ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

4. სავალდებულო სამსახურის გადავადების შესახებ, გადაწყვეტილება სამსახურმა 263 წვევამდელთან დაკავშირებით მიიღო.

2018 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევა

1. გეგმა-დავალება შემოიფარგლა 405 (ოთხასხუთი) წვევამდელით.

2. უწყება გაიგზავნა 3411 (სამიათასოთხასთერთმეტი) წვევამდელთან.

3. 454 წვევამდელი გადაყვანილი იქნა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში სამედიცინო შემოწმების გასავლელად.

4. 63 წვევამდელი ჩაირიცხა შეიარაღებულ ძალებში.

5. 26 წვევამდელი გაწვეულია არასამხედრო ალტერნატიულ შრომით სამსახურში.

6. 353 წვევამდელზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების შესახებ.

7. 750 წვევამდელის მოძიება ვერ განხორციელდა და სამსახურმა დახმარებისთვის მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის სამმართველოს.

8. 391 წვევამდელზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას გადაეგზავნა მონაცემები საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით.

9. 96 წვევამდელთან დაკავშირებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა და მათი ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში წარდგენა.

10. ხუთმა წვევამდელმა ისარგებლა კანონით „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ 30 მუხლის ,,დ,, პუნქტით და გადაიხადა მოსაკრებელი.

11. 366 წვევამდელი ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ'' 21–ე მუხლის მე–3 პუნქტის საფუძველზე ჩაირიცხა რეზერვში.

12. 224 წვევამდელს მიეცა გადავადება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის ,,ლ,, პუნქტით (მღვდელთმსახური).

13. გამოიწერა და გაიცა 440 წვევამდელის სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა.

სამობილიზაციო განყოფილება

სულ აღრიცხვაზეა:

7 395 ნამსახურები რეზერვისტი,

სამხედრო კათედრა გავლილი 857 რეზერვისტი,

9 311 რეზერვისტი, რომელსაც არ უმსახურია საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურგავლილი 329 რეზერვისტი. თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურში ნამსახურები რეზერვისტების რაოდენობა, რომელთა პირადი საქმეები შექმნილია და ირიცხება სამობილიზაციო განყოფილებაში, შეადგენს 995 რეზერვისტს.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სამობილიზაციო განყოფილებაში, მიმდინარე წლის სექტემბრის თვის მონაცემებით, სულ ირიცხება 18 374 რეზერვისტი, მათ შორის 291(ორასოთხმოცდათერთმეტი) რეზერვის ოფიცერი.

2018 წლის 9 თვის განმავლობაში, წელს სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ გაწეული ხარჯი შეადგენს 181 789 ლარსა და 70 თეთრს ხელფასის ჩათვლით.

ამ პერიოდშივე სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შენობაში შეიცვალა 28 ფანჯარა და ცენტრალური კარი, რაშიც 9792 ლარი და 29 თეთრია დახარჯული. გაკეთდა სამსახურის დასახელების აღმნიშვნელი აბრა. (180 ლარი)

სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის ეზოში სამომავლოდ სკვერის მოწყობას ვგეგმავთ, სადაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ ჯარისკაცთა მემორიალი გვინდა განვათავსოთ.

ხშირ შემთხვევაში, წვევამდელები თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს და ეს ამ ანგარიშშიც ჩანს. ვფიქრობ, ამ მიმართულებით, საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად და ზოგადად, სამხედრო სამსახურის პოპულარიზაციისთვის, სხვადასხვა პრ ღონისძიებებია გასახორციელებელი, რადგან ქვეყნის თავდაცვა, საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის პრიორიტეტი უნდა იყოს.

ქალაქის ისტორიული მუზეუმი.

ქალაქის შემდგომი განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რუსთავისთვის ახალი ნიშის მოძიება. ამ ანგარიშის დასაწყისში, ქალაქის რევიტალიზაციის პროგრამაზე გესაუბრეთ და ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც ქალაქმა სამომავლოდ შეიძლება აირჩიოს, ტურიზმის განვითარებაა. ტურიზმის განვითარება კი, ვერ მოხერხდება, თუ იმ ისტორიულ სიძველეებს არ დავიცავთ, რაც გაგვაჩნია და უყურადღებოდ დავტოვებთ, თუნდაც უახლესი წარსულის, საბჭოთა კავშირის დროინდელ ინფრასტრუქტურას. სწორედ ამიტომ, მერის ანგარიშში, რუსთავის ისტორიული მუზეუმის მიერ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციაც შევიტანეთ. თავშივე გეტყვით, რომ მიუხედავად იმ სირთულეებისა, რაც ამ მუზეუმმა წლების განმავლობაში გადაიტანა, არ შეიძლება არ აღინიშნოს საქმისადმი ის თავდადება, რომელიც ჩვენი მუზეუმის თანამშრომლებმა გამოიჩინეს იმისთვის, რომ თითოეული ექსპონატი, რომელიც ამ კედლებში ინახება, დაცული ყოფილიყო და მომავალი თაობებისთვის შეენახათ.

რუსთავის მუზეუმის ფონდსაცავი მოწყობილია ნულოვან სართულზე, აქ 35800 ერთეულზე მეტი ექსპონატი ინახება.

2017 წლის ოქტომბერ-დეკემბერში მუზეუმის ფონდების კურატორებმა აღრიცხვაზე აიყვანეს და არქეოლოგიური განყოფილების ფონდებში განათავსეს მუზეუმის ექსპედიციის მიერ რუსთავის ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე ჩატარებული საკვლევ-საძიებო სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალები, სულ 186 ერთეული (ამათგან - 139 თიხის, 16 რკინის, 3 ბრინჯაოს, 1 მინის, 20 ქვის, 1 ობსიდიანის, 2 კაჟის, 1 კვარცის, 2 წიდის და 1 მონეტა). შეირჩა და საგამოფენო განყოფილებას გადაეცა ფოტო-დოკუმენტური მასალები გამოფენისა და საგანმანათლებლო პროგრამის - „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“, „ილია ჭავჭავაძე - 180“ მოსამზადებლად.

2017 წლის დეკემბერში, რუსთავის მუზეუმმა მიიღო და აღრიცხვაზე აიყვანა არქეოლოგ ზურაბ ბრაგვაძის მიერ საქართველოს პრეზიდენტის ფონდის დაფინანსებით, ტაბახმელა-კოჯორის თავდაცვითი სიმაგრეების, კერძოდ #4 სანგრის არქეოლოგიური კვლევების შედეგად აღმოჩენილი მასალები: შაშხანის გილზები, ქსოვილის ნაშთები და სხვ. სულ 185 ერთეული.

2018 წლის იანვარ-თებერვალში, რუსთავის 70 წლის იუბულისადმი მიძღვნილი ღონისძიებებისათვის შესაბამისი ექსპონატებიც მუზეუმმა მოიძია და მოამზადა ანოტაციები თითოეული მათგანისთვის.

2018 წლის მაისში, მუზეუმის თანამშრომლებმა ფონდში დაცული ძვირფასი ლითონებისა და ქვების, ნუმიზმატიკური მასალის გეგმიური ინვენტარიზაცია ჩაატარეს.(ოქმი№1, 03. 05)

2018 წლის მაისი-ივლისში, ჩატარდა ფონდში დაცული თანამედროვე პერიოდის მეცნიერების, დიდი სამამულო ომის ამსახველი ფოტო-დოკუმენტური მასალის ინვენტარიზაციაც.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, 2018 წლის მაისში, მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ულამაზესი ღონისძიება- „ღამე მუზეუმში“ , სადაც საღამოზე მისული ყველა რუსთაველი, იმ ფოტო, თუ ვიდეო მასალაში, რომელიც იმ დღეს მუზეუმმა წარმოადგინა, საკუთარი ოჯახის წევრს თუ არა, ძველ მეგობარს აუცილებლად ნახავდა.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ განახლდა არქეოლოგიური გათხრები რუსთავის ციხეზე. 2018 წლის სექტემბრიდან არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად, 145 ერთეული არტეფაქტია მოპოვებული.

წელსვე, მუზეუმის ფონდებში, ქალაქის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის - მიწის სამუშაოების დროს აღმოჩენილი, შემთხვევითი არქეოლოგიური და თანამედროვე ყოფის ამსახველი დოკუმენტური მასალებიც შემოვიდა.

მუზეუმი ახალი სამეცნიერო კრებულის - „რუსთავი V” გამოსაცემად ემზადება, რისთვისაც, 1959, 1965, 1972 წლებში ციხე-სიმაგრის სამხრეთ უბანზე მოპოვებული მასალა (279 არტეფაქტი, მოხდა მასალის ციფრული ფოტოგადაღება, გრაფიკული ჩანახატების და კატალოგის შედგენა) დამუშავდა.

რუსთავის ისტორიული მუზეუმი სისტემატურად მონაწილეობს სხვადასხვა სახის გამოფენებში.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ქალაქ რუსთავის ციხე - სიმაგრის ტერიტორიაზე ჩაატარა არქეოლოგიური საკვლევ-საძიებო სამუშაოები.

2017 წლის 18 სექტემბრიდან 30 ნოემბრამდე, ექსპედიციამ იმუშავა რუსთავის ციხე-სიმაგრის სამხრეთ, სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ უბნებზე, სადაც სრულად გამოვლინდა ციხის I,II, III ზღუდე- გალავნის კურტინა და ბურჯები, ადრექრისტიანული ხანის ზღუდისა და გვიანი შუასაუკუნეების ნამოსახლარები (ანგარიში წარედგინა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს, წერილი №97, 25.12.2017)

2017 წლის 15- 30 ნოემბერს, მუზეუმის სამეცნიერო განყოფილება, საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს თხოვნით, მონიტორინგს უწევდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, გერმანელ სამხედრო ტყვეთა საფლავებზე ზრუნვის სახალხო კავშირის მიერ, ქ. რუსთავში მაზნიაშვილის ქუჩაზე, გერმანელ ტყვეთა სასაფლაოს ტერიტორიაზე მიმდინარე საცდელ-კვლევით სამუშაოებს. 2018 წელს 18 ივნისს

განახლდა სამუშაოები გერმანელ სამხედრო ტყვეთა სასაფლაოზე და ამჟამადაც მიმდინარეობს.

2017 წლის ბოლოდან დღემდე, რუსთავის მუზეუმი 5174 ვიზიტორს მოემსახურა. მიიღო სტუმრები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან, კანადიდან, მაკედონიიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან, ირლანდიიდან, უკრაინიდან, დანიიდან, აზერბაიჯანიდან, პოლონეთიდან, ლატვიიდან და თურქეთიდან.

2018 წელს, რუსთავის ისტორიული მუზეუმის ბიუჯეტი 202999 ლარით განისაზღვრა, აქედან 179000 ლარი რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტის სუფსიდიაა, ხოლო 23 999 ლარი საკუთარ შემოსავალს წარმოადგენს.

ა(ა) იპ გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი

2018 წელს განხორციელებული სპექტაკლები

მიმდინარე წელს რუსთავის მუნიციპალურმა თეატრმა 8 ახალი სპექტაკლი ითამაშა.

1. „შეშლილის წერილები“ - რეჟისორი სოსო ნემსაძე
2. „თეთრი ბაირაღები“ - რეჟისორი ლევან სვანაძე, სოსო ნემსაძე
3. „დრაკონი“ - რეჟისორი - გიორგი ქანთარია
4. „ელისაბედ, ელისაბედ“ - რეჟისორი -გურამ ბრეგაძე
5. „პიკნიკი“ - რეჟისორი - გიორგი ოსეფაშვილი
6. „დაბადების დღე“ - რეჟისორი -სოსო ნემსაძე
7. „ბურატინო“ - რეჟისორი - ლილი ბურბითაშვილი
8. „დონ ჟუანი“ რეჟისორი - სოსო ნემსაძე (მიმდინარეობს რეპეტიციები, პრემიერა დაგეგმილია დეკემბრის დასაწყისში)

კონკურსები

ძალიან მნიშვნელოვანი იყო წელს, საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავასადმი მიძღვნილი სპექტაკლი და კონკურსი, რომელიც ამ თემაზე შექმნილი საუკეთესო სცენარის გამოსავლენად, თეატრთან ერთად გამოვაცხადეთ. კონკურსში ნინო სადღობელაშვილის პიესამ, „დაბადების დღე“ გაიმარჯვა და პრემიერა, 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს წარმოადგინა რუსთავის თეატრის დასმა. ეს იყო პირველი პრეცენდენტი, როცა ჟიული შარტავას ცხოვრებასა და გმირობაზე სპექტაკლი დაიდგა ქართული თეატრის სცენაზე. საოცრად ემოციური იყო პრემიერის დღე და მადლობა მინდა გადავუხადო რუსთავის თეატრს, ამ საინტერესო პროექტის მხარდაჭერისა და განხორციელებისთვის.

გრანტები და ასიგნებები

წელს, რუსთავის თეატრმა მოიპოვა 10 000 ლარის ოდენობის გრანტი სპექტაკლისთვის- „დონ ჟუანი“. გრანტი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ დააფინანსა.

შემოქმედებითი ჯგუფი:

მიმდინარეობს აქტიური მუშაობა დასში ახალგაზრდა მსახიობების მოწვევაზე. პრიორიტეტი ენიჭებათ რუსთაველ ახალგაზრდებს, რომლებსაც დამთავრებული აქვთ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი.

გასვლითი წარმოდგენები:

1. კომედიის საერთაშორისო ფესტივალი
2. ფოთის საერთაშორისო ფესტივალი
3. ნ.დუმბაძის სახელობის თეატრალური ფესტივალი
4. სპექტაკლის „თეთრი ბაირაღები“ ჩვენება კასპში
5. სპექტაკლის „თეთრი ბაირაღები“ ჩვენება ბოლნისში
6. სპექტაკლის „კვარტეტი“ ჩვენება ზუგდიდის თეატრში

მაყურებელთან კომუნიკაცია

1. ამოქმედდა ონლაინ ჯავშნის სისტემა, რომელიც 10:00 – 02:00 საათამდე მუშაობს
2. ბილეთების შეძენა გახდა შესაძლებელი biletebi.ge-ზე. რეგიონის თეატრებიდან ონლაინ ბილეთების გაყიდვებზე, მხოლოდ რუსთავის თეატრია წარმოდგენილი.
3. დაემატა გარე სალარო, “უნიფესი“ ოფისში.
4. ასევე ამოქმედდა თეტრის საინფორმაციო ტელეფონი, რომელიც 10:00-23:30 მუშაობს.

სხვა დანარჩენი სამუშაოები:

თეატრში მუდმივად მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები.

გარემონტებულია ადმინისტრაციის ოფისები.

პროცესშია საამქროების მოწყობა.

პერიოდულად ხორციელდება აუცილებელი ტექნიკის შემოტანაც.

ა(ა)იპ ,,ბიბლიოთეკების გაერთიანება“

რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში, მიმდინარე წლის განმავლობაში 150- მდე სხვადასხვა სახის ღონისძიება ჩატარდა. მოეწყო ლიტერატურული საღამოები, გამოფენები, მკითხველთან შეხვედრები, წიგნების პრეზენტაციები, ფილმის ჩვენებები. ამ ღონისძიებებით გაერთიანება ცდილობს, პოპულარიზაცია გაუწიოს ზოგადად ბიბლიოთეკების სერვისს და მისი საჭიროება თვალსაჩინო გახადოს რუსთაველებისთვის.

წელს გაერთიანებამ, გარკვეული სიახლეც დანერგა და ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე, ელექტრონული ბიბლიოთეკის სტენდები განვათავსეთ, რითაც მოსახლეობას საშუალება მიეცა, მოიძიოს და ჩამოტვირთოს სასურველი ლიტერატურა. ქალაქის შემოსასვლელში შეიქმნა ,,მწერლების ხეივანი", სადაც ცნობილი ქართველი კლასიკოსი და რუსთაველი მწერლების სახელობითი ბანერები გვაქვს გამოფენილი. შედეგად, ჩვენს ქალაქში შემოსული თითოეული ადამიანი, სტუმარი იქნება ეს, თუ რიგითი რუსთაველი, მისდაუნებურად, მინიმალურ ინფორმაციას მაინც მიიღებს, ჩვენი ქვეყნისთვის და ქალაქისთვის საამაყო ადამიანების შესახებ.

გაერთიანებას აქვს საკმაოდ საინტერესო გრძელვადიანი პროექტებიც:

1."სურვილების სკივრი"--- სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათვის.

2.მობილური ბიბლიოთეკა მოხუცთა სახლის მცხოვრებლებისთვის -„ჩვენი თბილი მოხუცები."

3.ინგლისურენოვანი კლუბი-"conversation club", რომელიც ემსახურება ინგლისური ენის შესწავლას და ინგლისურენოვანი ლიტერატურის პროპაგანდას .(სასწავლო თვეები კვირაში 2*)

4.,,სამშობლოს მცოდნეობა"-- პროექტს საბიბლიოთეკო გაერთიანება საქართველოს ჩოხოსანთა კავშირთან ერთად ახორციელებს.

5. "ერთი ზღაპრის დილა"-სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის (თვეში 2*)

6.,,გადაარჩინე ხეები "-მაკულატურის ჩაბარების აქცია

7.მობილური ბიბლიოთეკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცენტრში

8.ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები- „აქ ცხოვრობს მეზღაპრე"

9.მობილური ბიბლიოთეკა საბავშვო ბაღებისათვის- „მოვალ მოგეფერებით"

10. „კინო ბიბლიოთეკაში", რომელიც, ითვალისწინებს კინოჩვენებას ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ეს იყო მოკლედ 2018 წლის განმავლობაში, რუსთავის მერიაში მოქმედი 9 სამსახურის და მერიის დაფუძნებული ა(ა) იპ-ების მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ.

ანგარიშს 2018 წლის ფინანსური მიმოხილვით დავასრულებ, ანუ საფინანსო სამსახურის ანგარიშს წარმოგიდგენთ.

ბიუჯეტში და ხარჯთაღრიცხვებში განხორციელებული ცვლილებები:

2017 წლეს რსუთავის საკრებულოს მიერ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა განხორციელდა 14-ჯერ, 2018 წელს, კი 10-ჯერ.

საკრებულოს მიერ დამტკიცებულმა ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებმა 2017 წლის განმავლობაში -86 ერთეული შეადგინა, ხოლო 2018 წლის მონაცემებით -12 ერთეული.

მერის ბრძანებით განხორციელებული საბიუჯეტო (5%-იანი) ცვლილება 2017 წლის განმავლობაში არ მომხდარა, ხოლო 2018 წლის მონაცემებით, კი შეადგინა 7 ერთეული.

მერის ბრძანებით განხორციელებული ხარჯთაღრიცხვის ცვლილებები 2017 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა, ხოლო 2018 წლის მონაცემებით, კი შეადგინა 35 ერთეული.

შემოსულობების შესრულება:

საგადასახადო შემოსავლების ფაქტიური მაჩვენებელი, 2017 წლის მონაცემებით, 9 920 ათასი ლარია, ხოლო 2018 წელს, ეს მაჩვენებელი 10 506 ათას ლარს შეადგენს. მათ შორის: საშემოსავლო გადასახადიდან 2017 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 2 091 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის მონაცემით - 2 569 ათასი ლარი. ქონების გადასახადიდან 2017 წლის მონაცემებით, დაფიქსირდა 6 800 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის მონაცემით - 7 673 ათასი ლარი; მიწის გადასახადიდან 2017 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 988 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის მონაცემით - 233 ათასი ლარი; სხვა გადასახადებიდან 2017 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 40 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის მონაცემით - 32 ათ. ლარი.

გრანტების შემოსავლებიდან, ფაქტიური მაჩვენებელი 2017 წლის მონაცემებით, 10 701 ათასი ლარია, ხოლო 2018 წელს, ეს მაჩვენებელი 13 743 ათ. ლარს შეადგენს.

ფაქტიური მაჩვენებელი სხვა შემოსავლებიდან 2017 წლის მონაცემებით, 4 555 ათასი ლარია, ხოლო 2018 წელს, ეს მაჩვენებელი 4 221 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის: იჯარებიდან 2017 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 44 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის მონაცემით - 72 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან 2017 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 2 113 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის მონაცემით - 1535 ათასი ლარი; დასუფთავების მოსაკრებლიდან 2017 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 650 ათასი, ხოლო 2018 წლის მონაცემით, კი 640 ათასი ლარი; ჯარიმებიდან 2017 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 844 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის მონაცემით - 1 299 ათასი ლარი; სხვა დანარჩენი შემოსავლებიდან 2017 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 904 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის მონაცემით, კი 675 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან ფაქტიური მაჩვენებელი 2017 წლის მონაცემებით 1 110 ათ. ლარია, ხოლო 2018 წელს, ეს მაჩვენებელი 629 ათასი ლარს შეადგენს.

დეტალური შემოსულობები

გადასახდელების შესრულება:

გადასახდელების ფაქტიური მაჩვენებელი 2017 წლის მონაცემებით, 28 337 ათ. ლარია, ხოლო 2018 წელს, ეს მაჩვენებელი 27 057 ათ. ლარს შეადგენს. მათ შორის: შრომის ანაზღაურების მუხლიდან 2017 წლის მონაცემებით დაიხარჯა 2 559 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის მონაცემით - 2 684 ათასი ლარი; საქონელი და მომსახურების მუხლიდან 2017 წლის მონაცემებით დაიხარჯა 2 228 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის მონაცემით - 2 218 ათასი ლარი; პროცენტის მუხლიდან 2017 წლის მონაცემებით დაიხარჯა 229 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის მონაცემით - 236 ათასი ლარი; სუბსიდიების მუხლიდან, 2017 წლის მონაცემებით დაიხარჯა 12 793 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის მონაცემით - 13 026 ათასი ლარი; გრანტების მუხლიდან 2017 წლის მონაცემებით დაიხარჯა 3 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის მონაცემით - 4 ათასი ლარი; სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან 2017 წლის მონაცემებით დაიხარჯა 1 830 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის მონაცემით - 2 060 ათასი ლარი; სხვა ხარჯების მუხლიდან 2017 წლის მონაცემებით დაიხარჯა 2 149 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის მონაცემით - 1 285 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან 2017 წლის მონაცემებით დაიხარჯა 4 714 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის მონაცემით - 4 960 ათასი ლარი; ვალდებულებების კლების მუხლიდან 2017 წლის მონაცემებით დაიხარჯა 1 830 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის მონაცემით - 584 ათასი ლარი.



ჩატარებული ტენდერების შესახებ:

ჩატარებული ტენდერებიდან, 2017 წლის 9 თვის მდგომარეობით, დაიდო 87 ხელშეკრულება, ხოლო 2018 წელს - 54 ხელშეკრულება. უარყოფითი შედეგით დასრულდა 2017 წელს - 8 ტენდერი, 2018 წელს - 6 ტენდერი, შეწყდა 2017 წელს 4 ტენდერი, ხოლო 2018 წელს - 1 ტენდერი. არშემდგარი ტენდერების რაოდენობა 2017 წელს შეადგენს 16 ერთეულს, ხოლო 2018 წელს - 23 ერთეულია.

ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის საფუძველზე, შესყიდვების გეგმის ცვლილება:

2017 წელს - 29 ცვლილება

2018 წელს - 33 ცვლილება.

ტენდერის (გამოცხადება-შერჩევა/შეფასება) მიმდინარეობის ეტაპები
4-5 სამ. დღე
მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება
3 სამ. დღე
3 სამ. დღე
საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენა
საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება
5 სამ. დღე
3 სამ. დღე
შესყიდვის ობიექტის ექსპერტიზის (ადეკვატურობა) წარმოდგენა
ექსპერტიზის (ადეკვატურობა) შეფასება
3 სამ. დღე
3 სამ. დღე
ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება
დაზუსტებული დოკუმენტაციის შეფასება
20 კალ. დღე
5 სამ. დღე
ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა/შეფასების დაწყება
ტენდერი გამოცხადებულია

ჩატარებული ტენდერების რაოდენობების შედარება 2017-2018 წლების III კვარტლის მიხედვით
2017 წელი
2018 წელი
100
80
60
40
20
0
87
54
8
6
4
1
16
23
ხელშეკრულება დადებულია
უარყოფითი შედეგით
შეწყვეტილი
არ შედგა
რაოდენობების შედარება 2017-2018 წლების III კვარტლის მიხედვით
2017 წელი
2018 წელი
90
80
70
60
50
40
30
20
10
0
29
33
82
59
შესყიდვების გეგმის ცვლილება
ჩატარებული კომისია

შესყიდვის საშუალებების შედარება:

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 2017 წელს გაფორმებულ იქნა - 726 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება (მათ შორის გამარტივებული შესყიდვა-350 ათასი ლარი, გადაუდებელი აუცილებლობით - 107 ათასი ლარი და ექსკლუზიური უფლებამოსილებით - 269 ათასი ლარი), ხოლო 2018 წელს - 600 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება. (მათ შორის გამარტივებული შესყიდვით -130 ათასი ლარი, გადაუდებელი აუცილებლობით - 201 ათასი ლარი და ექსკლუზიური უფლებამოსილებით - 269 ათასი ლარი)

2017 წლის განმავლობაში, ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 12 812 ათ. ლარის ღირებულების ხელშეკრულება, ხოლო 2018 წელს - 12 142 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება.

2017 წლის განმავლობაში, კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა - 278 ათ. ლარის ღირებულების ხელშეკრულება, ხოლო 2018 წელს - 395 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება.


შესყიდვის საშუალებების შედარება 2017-2018 წლების III კვარტლის მიხედვით (ათ. ლარი)
2017 წელი
2018 წელი
14,000
13,000
12,000
11,000
10,000
9,000
8,000
7,000
6,000
5,000
4,000
3,000
2,000
1,000
0
726
600
12,812
12,142
278
395
გამარტივებული შესყიდვა
ელექტრონული ტენდერი
კონსოლიდირებული ტენდერი



ვალდებულებები საერთო მოცულობის შესახებ:

მიმდინარე ვალდებულებების საერთო მოცულობა შეადგენს 6 პროექტს, 2018 წლის 1 ოქტომბრამდე გადახდილია 7 973 ათასი ლარი, დარჩენილია 3 723 ათასი ლარი.

მიმდინარე ვალდებულებების საერთო მოცულობა

პროექტის დასახელება	01.10.2018 წლამდე გადახდილი თანხა	01.10.2018 წლიდან გადასახდელი (ნაშთი)		
		2018 წ	2019 წ	2020-2026 წწ
ქ.შარტავას გამზირის რეაბილიტაცია (2010წ)	890 197	25 155	41 875	67 030
ფალიაშვილის და თბილისის ქუჩების რეაბილიტაცია (2011წ)	855 760	26 169	104 676	157 025
შიდა ქუჩების (სანაპიროს, ზარათაშვილის, სუმგაით-მეტალურგთა, დონეცკ-მეტალურგათა, 9 მაისის,სარაჯიშვილის, არაყიშვილის ქუჩები) რეაბილიტაცია (2011წ)	1 968 949	58 044	174 123	232 167
ქუჩების რეაბილიტაცია (დუმბაძის ქ (კოსტავას ქ-დან ზალანჩივაძის ქ-მდე), მეგობრობის #2 დან ცენტრალურ ხიდამდე (ცურტაველის მოედნის ჩათვლით და თაგორაშვილის ქ.მონაკვეთის)) (2011წ)	2 924 020	92 028	368 112	644 199
თბილისის ქუჩის მონაკვეთის და ცურტაველის რეაბილიტაცია (2012 წ)	1 260 615	47 523	190 092	570 280
საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტით ქონების (კომპაქტორერიანი თვითმცლელი ნაგავმზიდები და ნარჩენების კონტეინერები) გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში სესხი (ხელშ 13/03/2017წ) 10 წლიანი - 2026 წლამდე	73 464	28 896	97 597	1 076 477
ჯამი	7 973 005	277 815	976 475	2 747 178

მუნიციპალიტეტის მხარჯავი დაწესებულებების მიერ ათვისებული სახსრების შესახებ:

თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ჯამურმა დაფინანსებამ 2017 წლის მონაცემებით შეადგინა 14 012 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის მონაცემებით - 13 819 ათასი ლარი.



ა(ა)იპ ქ. რუსთავის მუნიციპალური არქივი

2017 წლის 9 თვის გეგმა 79 735 ლარი, ფაქტიური შესრულება 75 188 ლარი - 95%.

2018 წლის 9 თვის გეგმა 70 950 ლარი, ფაქტიური შესრულება 64 747 ლარი - 92 %.

ა(ა)იპ ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო

2017 წლის 9 თვის გეგმა 35 000 ლარი, ფაქტიური შესრულება 35 000 ლარი - 100%

2018 წლის 9 თვის გეგმა 37 500 ლარი,ფაქტიური შესრულება 35 100ლარი - 94%

ა(ა)იპ რუსთავის კორპუსი

2017 წლის 9 თვის გეგმა 1 409 745 ლარი, ფაქტიური შესრულება 1 259 152 ლარი - 89%

2018 წლის 9 თვის გეგმა 1 350 400 ლარი, ფაქტიური შესრულება 912 486 ლარი - 68%



ა(ა)იპ რუსთავსერვის ცენტრი

2017 წლის 9 თვის გეგმა 3 997 274 ლარი, ფაქტიური შესრულება 3 797 947 ლარი - 95%

2018 წლის 9 თვის გეგმა 4 143 885 ლარი,ფაქტიური შესრულება 3 716 673 ლარი - 89%

შპს რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო

2017 წლის 9 თვის გეგმა 406 715 ლარი, ფაქტიური შესრულება 406 120 ლარი - 99%

2018 წლის 9 თვის გეგმა 528 015 ლარი,ფაქტიური შესრულება 474 587 ლარი - 89%



ა(ა)იპ ქ. რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება

2017 წლის 9 თვის გეგმა 3 729 674 ლარი, ფაქტიური შესრულება 3 651 081 ლარი - 97%

2018 წლის 9 თვის გეგმა 4 207 038 ლარი,ფაქტიური შესრულება 4 185 536 ლარი - 99%



ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი

2017 წლის 9 თვის გეგმა 276 945 ლარი, ფაქტიური შესრულება 258 873 ლარი - 95%

2018 წლის 9 თვის გეგმა 295 455 ლარი,ფაქტიური შესრულება 249 757 ლარი - 85%



ა(ა)იპ ქ. რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი

2017 წლის 9 თვის გეგმა 2 427 433 ლარი, ფაქტიური შესრულება 2 369 514 ლარი - 98%

2018 წლის 9 თვის გეგმა 2 424 803 ლარი,ფაქტიური შესრულება 2 161 654 ლარი - 89 %



ა(ა)იპ რაგბის კლუბი რუსთავის ხარები

- 2017 წლის 9 თვის გეგმა 240 300 ლარი, ფაქტიური შესრულება 100%
- 2018 წლის 9 თვის გეგმა 210 000 ლარი, ფაქტიური შესრულება 100%

მპს საკალათბურთო კლუბი რუსთავი 1991

2017 წლის 9 თვის გეგმა 480 367 ლარი, ფაქტიური შესრულება 470 193 ლარი - 98%

2018 წლის 9 თვის გეგმა 566 850 ლარი,ფაქტიური შესრულება 494 649 ლარი - 87 %

ა(ა)იპ გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი

2017 წლის 9 თვის გეგმა 438 832 ლარი, ფაქტიური შესრულება 428 150 ლარი - 98%

2018 წლის 9 თვის გეგმა 571 450 ლარი,ფაქტიური შესრულება 538 259 მლარი - 94%



ა(ა)იპ რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა

2017 წლის 9 თვის გეგმა 240 393 ლარი, ფაქტიური შესრულება 234 584 ლარი - 98%

2018 წლის 9 თვის გეგმა 232 110 ლარი,ფაქტიური შესრულება 228 888 ლარი - 99 %



ა(ა)იპ რუსთავის ისტორიული მუზეუმი

2017 წლის 9 თვის გეგმა 150 680 ლარი, ფაქტიური შესრულება 133 972 ლარი - 92%

2018 წლის 9 თვის გეგმა 132 750 ლარი,ფაქტიური შესრულება 118 807 მლარი - 89%



ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი

2017 წლის 9 თვის გეგმა 179 785 ლარი, ფაქტიური შესრულება 176 696 ლარი - 98%

2018 წლის 9 თვის გეგმა 184 405 ლარი,ფაქტიური შესრულება 158 013 მლარი - 85%



დასასრულს მინდა გითხრათ, რომ კიდევ არაერთი საინტერესო პროექტი გვაქვს მომავალი წლსთვის დაგეგმილი. იმედს ვიტოვებ, რომ 2019 წლის ბოლოს, უფრო წელგამართულები წარვსდგებით მოსახლეობის წინაშე.